პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—39.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— გადადგა ბულგარეთის მთავრობა.
— მოკლეს პენსილვანიის მემარცხენე მემაღაროეთა ლიდერი ფრანც ბონიტა.
— საფრანგეთში არსდება საჰაერო ფლოტის სამინისტრო.
— პოლონეთის დელეგაცია ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.
— „კრასინ"-ის შეხვედრა „ბრაგანცა"-სთან.
— ხანძარი ხორვატიის პარტიის შენობაში.
— ამნისტიის პროექტი ავსტრიაში.
— საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას პლენუმი შესდგება 10 ოქტომბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 7 სექტემბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 208 (2251)

დღეს, 7 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია საქართველოს კომპარტიის (ბ)

თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება

დღის წესრიგში სდგას მოხსენება: კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგები — მომხსენებელი ამხ. მანუილსკი.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ამ.-კავკ. საკონტროლო კომისიის, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას, საკონტრ. კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები ბილეთებით, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას რაიკომებში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4-ე

მორიგი პლენუმი

მაზრკომების და ოლქკომების მდივნებთან ერთად

გადადებულია აიწ. 18 სექტემბრისათვის

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ლოლობერიძე

თესვის კამპანიის დეფექტები

საშემოდგომო თესვის კამპანიის მნიშვნელობასა და ამ კამპანიის ტეხნიკურ ორგანიზაციის საკითხებზე საკმაოდ ბევრი დაიწერა და ითქვა. სათანადო ცენტრალური ორგანოებმა ამ მიმართულებით შესაფერი ადმინისტრატიული ხასიათის ღონისძიებებიც მიიღეს. მიუხედავად ყოველივე ამისა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აგიტაცია-პროპაგანდისა და ოფიციალური მიმოწერის იქით საქმე ბევრ ჩვენს მაზრებში შორს არ წასულა: სჩანს საკმაო არ არის ის შეცდომები, რომელნიც დაშვებულ იქნა საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს. იმის ნაცვლად, რომ გაზაფხულის თესვის კამპანია გამოგვეყენებია, როგორც გაკვეთილი, ჩვენ ბევრგან ეხლაც ვიმეორებთ ამ კამპანიის დროს დაშვებულ შეცდომებს და ამნაირად საშემოდგომო თესვის კამპანიას საფრთხეში ვაგდებთ.

ეს სხვათა შორის ცხადჰყო ამ დღეებში შემდგარ რესპუბლიკანურ თათბირმაც, რომელიც მოწვეული იყო საშემოდგომო თესვის ჩატარების საკითხების განსახილველად. მაზრის წარმომადგენელთა მოხსენებებიდან, რომელიც მოსმენილ იქნა ამ თათბირზე, ირკვევა, რომ საშემოდგომო თესვის კამპანიას მრავალი დაბრკოლებები ელობება წინ. ყველაზე პირველად აღსანიშნავია ერთ ერთი მთავარი დაბრკოლება. ეს მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთ ადგილობრივ ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ შეითვისეს ან არ შეითვისეს საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარების მთელი მნიშვნელობა. ამას მოწმობს ის, რომ ზოგიერთ მაზრებში მუშაობა ჯერ კიდევ არ გაშლილა სათანადო ტემპით. ზოგიერთ ადგილებში ანგარიშს ვერ უწევენ იმ გარემოებას, რომ თესვის კამპანია სასეზონო მოვლენაა, რომ მის ჩასატარებლად საჭიროა არ მარტო ენერგიული, არამედ სწრაფი და დროული ნაბიჯების გადადგმა.

რას ვხედავთ სინამდვილეში? როგორც ზემოაღნიშნულ თათბირზე გამოირკვა, ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევას. მაშინ როდესაც, თბილისის მაზრა საშემოდგომო თესვის კამპანიის გატარებას შეუდგა 15 ივნისიდან, გორის მაზრა, ამავე კამპანიისათვის სამზადისს იწყებს მხოლოდ აგვისტოს პირველ რიცხვებში, ე.-ი. თითქმის ორი თვის შემდეგ, ასეთი შეუსაბამობა კამპანიის დაწყების ვადაში, უკვე იმას მოწმობს, რომ ყველგან ერთნაირი მონდომებით და სიმტკიცით არ ეკიდებიან საქმეს.

ამ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთ ადგილებში საშემოდგომო თესვა უკვე დაიწყო, ორგანიზაციული ხელი კი არსად სჩანს, რადგან იქ თესვის მოსამზადებელი მუშაობა არ ჩაუტარებიათ და მხოლოდ ეხლა ემზადებიან საამისოდ.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თესვის კამპანიის საქმიან ნიადაგზე დაყენებას. გადაჭარბებულ სიჩქარეს, გარეგნულ ეფექტის გამოდევნებას, როგორც ყოველთვის, აქაც ზარალის მოტანის მეტი, არაფერი შედეგის მოცემა შეუძლია. ამიტომ სრულიადაც საჭირო არ არის განუხორციელებელ დაპირებების მიცემა გლეხებისათვის, როგორც ეს მოხდა კახეთში, ახმეტის თემში. აქ „სოფლის კავშირი"-ს წარმომადგენელმა აღუთქვა თემს, რომ ის (თემი) მიიღებს ტრაქტორს, სოფელმა ამ დაპირებას შეუფარდა თავისი მუშაობა, მოეწყო კოლმეურნეობები, მაგრამ დაპირებული ტრაქტორი ახმეტის თემს დღემდისაც არ უნახავს თვალით.

ცენტრალური ორგანოები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ იმისათვის, რომ საშემოდგომო თესვამ გაამართლოს მასზე დამყარებული იმედები. რამდენადაც ეს ჩვენს შესაძლებლობას შეეფერება, სათანადო ცენტრალური ორგანოები ნივთიერ და ფულად დახმარებას უწევენ ადგილობრივ ორგანიზაციებს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. ამ მიზნით უკვე გადადებულია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი. მიღებულია ზომები მთესველთა გაუმჯობესებულ ტეხნიკურ იარაღით და მუშა-საქონლით უზრუნველყოფისათვის და სხვა.

ადგილობრივ ორგანიზაციებს, იქ, სადაც კამპანია ჯერ კიდევ სათანადოთ არ გაფართოებულა, მართებთ მეტი ფხა გამოიჩინონ. დაყოვნება აქ დანაშაულს უდრის. საკითხი საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის მზადების აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ გაზაფხულიდან იდგა ჩვენს წინაშე. სანამ კიდევ დრო ითმენს, საჭიროა ენერგიული მუშაობის გაჩაღება.

პარიზის ხელშეკრულება, იმპერიალისტები და საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირის მთავრობის განცხადებამ იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა მოაწეროს ხელი კელოგის ხელშეკრულებას, ამჟამად ფართოდ იხილავენ ყველანი—მეგობრები და მტრები, მშრომელნი და კაპიტალისტები; მას იხილავენ მუშათა უბნებში და საერთაშორისო დიპლომატიის კაბინეტებში, მას იხილავს პროლეტარიატის პრესა და ბურჟუაზიის პრესა. ამხ. ლიტვინოვის ნოტას სამართლიანად სთვლიან უკანასკნელი ხანის ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენად.

საბჭოთა კავშირის მუშებმა, მშრომელებმა და გლეხებმა მშვენივრად იციან, რომ ჩვენ მტკიცედ და გადაჭრით ვატარებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას. ჩვენი პასუხი კელოგის ხელშეკრულებაზე, ისე როგორც მთელი ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა, მათ მიაჩნიათ ისეთ მოქმედებათ, რომელიც სავსებით შეეფერება მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს. ჩვენს ნოტაში ისინი ხედავენ მშვიდობიანობისა და განიარაღების პოლიტიკის ერთ-ერთ რგოლს, იმ პოლიტიკის, რომელსაც ჩვენ დღემდე ვაწარმოებდით და მომავალშიაც ვაწარმოებთ, მიუხედავად იმპერიალიზმის გაფთრებული წინააღმდეგობისა და სოციალ-დემოკრატიის ცილისწამებისა. ასევე უეჭველია, რომ საბჭოთა მთავრობის ნაბიჯს სრულის თანაგრძნობით შეხვდებიან მშრომელი მასები საზღვარ-გარედ. იმპერიალისტებმა სწორედ მშრომელთა ზეგავლენის გამო გახდნენ იძულებულნი მიეწვიათ ფორმალურად საბჭოთა კავშირი. და ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მომავალშიაც, ისე როგორც დღემდე, ჩვენი პროგრამა მშვიდობიანობისა და განიარაღებისა მხურვალე გამოძახილს ჰპოვებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს შორის, რომელთაც იციან „თავიანთი" მთავრობების „მშვიდობიანობაზე" ლაყბობის ნამდვილი ფასი.

როგორ მოეპყრა ჩვენს ნოტას საზღვარგარეთის ოფიციალური „საზოგადოებრივი აზრი", ე. ი. მსოფლიო კაპიტალისტური პრესა? უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა პასუხმა უმეტეს შემთხვევაში „სენსაციის" შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგიერთ „დარბაისელ" ევროპიულ და ამერიკულ გაზეთებს ამ „მოულოდნელმა ამბავმა" უცებ დაუდუმა ენა. ცნობებს ჩვენი ნოტის შესახებ სრულებით უკომენტარიოთ ათავსებდნენ. აშკარა გახდა, რომ ჩვენი პასუხი მარჯვეთ გასროლილი ისარივით მოხვდა ნიშანში და გაარღვია დიპლომატიური სტრატეგიის ქსელი, რომელიც იმპერიალისტებმა დიდის გულმოდგინებით მოქსოვეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ზოგიერთი გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის „მოხერხებულ ნაბიჯზე" და ბოლშევიკური მთავრობის „ვერაგობაზე", რადგან არ ძალუძთ რამდენადმე გონიერად, გარკვეულად შეაფასონ ჩვენი პოზიცია არსებითად. პრესის ნაწილი, განსაკუთრებით ლიბერალური და სოციალ-დემოკრატიული პრესა, სცდილობს ფარისევლურად „განმარტოს" ჩვენი ნაბიჯი და პირფერულად აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობა ეხლა მაინც, „როგორც იქნა", დასთანხმდა „[illegible]" [illegible]ნის მშვიდობიანობაზე, რომელზედაც დღემდე თავგამოდებით ზრუნავდნენ იმპერიალისტური კეთილმოყვარენი. ამ ვაჟბატონებს ყოველთვის სჩვევიათ შავს უწოდონ თეთრი და თეთრს უწოდონ შავი, და იმპერიალისტები გამოაცხადონ კეთილშობილ „მშვიდობიანობის მოყვარეებად" ხოლო პროლეტარული ქვეყანა „მშვიდობიანობის დამრღვევად".

ბოლოს, ყველაზე უფრო თავაშვებულმა რეაქციონურმა პრესამ, იმ სახელმწიფოების პრესამ, რომელთა „შენიშვნები" ისევე უწყობს ხელს მშვიდობიანობის საქმეს, როგორც ნავთი ხანძრის ჩაქრობას, გააფთრებული კამპანია ასტეხა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი ხელშეკრულებას შეუერთდა და ამას ხსენებული პრესა ადარებს „მგლის შევარდნას ცხვრების ფარეხში". ამასთანავე „ცხვრების" როლს ამ „შემაძრწუნებელ" სურათში თამაშობენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალისტური სახელმწიფოები. ისინი, ვინც ყველაზე უფრო მეტად და უფრო გულმოდგინედ სცდილობდნენ გამოეყენებინათ ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების იარაღად, გაბედულად აცხადებენ „უკმაყოფილებას" ჩვენი გადაწყვეტილების გამო. პოლონეთის ოფიციოზი „პოლსკა ზბროინა" ილაშქრებს კერძოდ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ იმ მოწინავე წერილის „მებრძოლი ტონის" წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა კელოგის ხელშეკრულების საკითხს. სავსებით გასაგებია, რომ „პრავდა"-ს „ტონი", რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება მებრძოლი ორგანო, არ მოსწონთ პოლონელ ავანტიურისტებს და მილიტარისტებს. მათაც აქვთ თავისი „მებრძოლი ტონი", სალდაფონებისა და მშვიდობიანობის დამრღვეველთა ტონი, პოლონეთის პროლეტარიატისა და ეროვნული უმცირესობის დამპყრობთა ტონი. ჩვენი მებრძოლი პროგრამა მშვიდობიანობისა, განიარაღებისა, რომელსაც დღემდე ვიცავდით, ხელის მოწერის შემდეგაც დავიცავთ. არ შეიძლება მოეწონოს ამ ვაჟბატონებს და მათ „უმაღლეს მფარველთ". მაგრამ ეს სრულებითაც არ შეუშლის ხელს პროლეტარულ სახელმწიფოს, შეუპოვრად გაატაროს მშვიდობიანობის პოლიტიკა.

ჩვენ მაშინვე შევაფასეთ კელოგის ხელშეკრულების საერთაშორისო პოლიტიკური აზრი. ხელშეკრულების ინიციატორები მზად იყვნენ ეს ხელშეკრულება გადაექციათ ბრძოლის იარაღად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენ მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგაც შეეცდებიან „შენიშვნების გმირები" გამოიყენონ ეს შენიშვნები ჩვენს წინააღმდეგ. ამ შეფასებას ჩვენ იოტის ოდნადაც არ ვსცვლით. ვუერთდებით რა ხელშეკრულებას, ჩვენ სავსებით ვიცავთ ჩვენს პოლიტიკურ ხაზს მშვიდობიანობისა და ომის ძირითად საკითხებში და სავსებით ვიცავთ მშვიდობიანობის ჩვენს რეალურ პროგრამას.

ჩვენ სრულ ანგარიშს ვაძლევთ კელოგის ხელშეკრულების საერთაშორისო პოლიტიკურ მხარეებს, რომლებიც შეეხებიან ძალთა შინაგან განწყობილებას კაპიტალისტურ ბანაკში. მთელი საერთაშორისო პოლიტიკური და დიპლომატიური ბრძოლა ხელშეკრულების გარშემო სწარმოებდა და სწარმოებს ინგლის-ამერიკის ანტაგონიზმის ცენტრალური ღერძის ირგვლივ. თვით ხელშეკრულება არის საშუალება იმისა, რომ შეერთებული შტატების წინაშე დაიჩოქოს ერთა ლიგამ, რომელიც, მიუხედავად თვალთმაქც სოციალ-დემოკრატების ხოტბისა, დღითი-დღე ხდება თავისებურ „დაუკრძალავ გვამად". ერთა ლიგის ეხლანდელი სხდომები საუცხოვოდ ადასტურებენ ამ დახასიათებას. ინგლის-საფრანგეთის შენიშვნებს, რომლებსაც ჩვენ ვამხილებდით და მომავალშიაც ვამხილებთ, ვსთვლით ევროპის, უმთავრესად ინგლისის, იმპერიალისტების კონტრინტრიგას ამერიკის წინააღმდეგ.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვუერთდებით ხელშეკრულებას და ამით ვბორკავთ იმპერიალისტებს იმ, თუნდაც წმინდა ფორმალური და აშკარა ორპირული ვალდებულებებით „საზოგადოებრივი აზრის" წინაშე, რომლებსაც ხელშეკრულება აკისრებს მასზე ხელის მომწერ სახელმწიფოებს. ყველა დაინახავს, რომ ეს უმნიშვნელო ვალდებულებებიც კი ფეხ-ქვეშ იქნება გათელილი, ყველა დაინახავს იმასაც, თუ ვინ დაარღვევს სისტემატიურად ამ ვალდებულებებს.

როცა ჩვენ ვაცხადებთ, რომ თანახმანი ვართ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას, ამით ჩვენ ნამდვილ მშვიდობიანობის პროგრამას არავითარ შემთხვევაში არ ვამსგავსებთ იმ თვალთმაქცურ, ყალბ, „მშვიდობიანობის პროგრამას", რომელიც თავიანთ დროშაზე დაწერეს სისხლისმსმელმა იმპერიალისტებმა.

მათი მაღალფარდოვანი ფრაზები მშვიდობიანობაზე და მათი შენიშვნები, რომლებიც ყოველ აზრს უკარგავენ თვით იმასაც კი, რასაც ეს „შენიშვნები შეეხება", არის სიყალბე, მასების მოტყუების საშუალება და ომის მომზადების იარაღი. ნოტა მთელი თავისი შინაარსით ააშკარავებს ხელშეკრულების ამ ორგანიულ ნაკლს.

„მოქმედების თავისუფლება", რომელიც ხელშეკრულებაზე ხელისმომწერმა ყოველმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ უზრუნველჰყო თავისთვის,—ეს მოქმედების თავისუფლება არის პატარა ერების და ჩაგრული ხალხების ჩახჩობის, ძლიერების მიერ სუსტების დამონების თავისუფლება, ეს არის ოკუპაციის და ინტერვენციის თავისუფლება, დასჯისა და ზარბაზნების ენით ლაპარაკის, შეიარაღებისა და ომის დაწყების თავისუფლება. ჩვენ კი, ვაწერთ რა ხელშეკრულებაზე ხელს, ვიტოვებთ სრულ თავისუფლებას ვიმოქმედოთ ნამდვილი მშვიდობიანობისა და განიარაღებისათვის.

მათი ცრუ-პაციფიზმი მხოლოდ ნიღაბია მილიტარიზმისათვის. ხოლო ჩვენი პროგრამა არის ბრძოლა მილიტარიზმთან და ბრძოლა განიარაღებისათვის, როგორც მშვიდობიანობის რეალური გარანტია.

მათი პროგრამა შეიცავს იდუმალ სანქციას: შეიარაღდი ომისათვის. ჩვენი პროგრამა კი შეიცავს—განიარაღდი მშვიდობიანობისათვის.

როცა ჩვენ ვაცხადებთ თანხმობას მოვაწეროთ ხელი ხელშეკრულებას, ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ, რომ ეს ხელშეკრულება რაიმე ახალ ხანას ქმნის. დეე, ილაყბონ ამაზე სოციალ-შარლატანებმა რამდენიც სურთ. არ გვწამს არავითარი „მშვიდობიანი" სასწაული იმპერიალისტური წყობილებისა და წესების არსებობის დროს. ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტები დაარღვევენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. მათ უკვე მეათასეჯერ მოაწერეს ხელი სხვადასხვაგვარ ვალდებულებებს და მრავალი „აღთქმა" დასდევს. ამ ვალდებულებებს და დაპირებებს ისინი არღვევენ ეხლაც (ჩინეთი, ნიკარაგუა, პოლონეთ-ლიტვა, რეინის ოლქი).

კელოგის ხელშეკრულების საკითხში იმპერიალისტებს ორჯერ უნდოდათ ლახვარი ჩაეცათ საბჭოთა კავშირისათვის, გაეტეხათ მისთვის სახელი და დაეწამათ ცილი.

იმპერიალისტებმა პირველად არ მიიწვიეს საბჭოთა კავშირი. ისინი თითქოს ეუბნებოდნენ მასებს: ჩვენ ვსწყვეტთ დიდ საკითხს—მუდმივი მშვიდობიანობის საკითხს და ვამბობთ, რომ ომი სასტიკად აკრძალულია, საბჭოთა კავშირი კი განზე სდგას. ხოლო განზე სდგას იგი იმიტომ, რომ მას არაფერი არ შეიძლება ჰქონდეს საერთო მშვიდობიანობის საქმესთან.

ასეთი „სტრატეგია" ძალიან მალე გაკოტრდა. მასებმა მაშინვე დაინახეს საქმის არსებითი მხარე და მიხვდნენ, რომ ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება ფაქტიურად არ იყოს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ხოლო ჩიჩერინის ინტერვიუმ ცივი წყალი გადაასხა იმპერიალისტური სტრატეგებს და ბოლომდე გამოაშკარავა მთელი მათი ოინბაზობა.

ბოლოს იმპერიალისტებმა მიიწვიეს საბჭოთა კავშირი. მათი ანგარიში ასეთი იყო: აი, ხედავთ, ჩვენ მას ვიწვევთ შეუერთდეს ხელშეკრულებას, ხოლო ის არ თანხმდება. იცოდეთ ყველამ: საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის წინააღმდეგია.

მაგრამ იმპერიალისტებმა მეორეჯერაც ვერ მოახერხეს თავიანთი პროვოკატორული როლის შესრულება. ჩვენ განვაცხადეთ, რომ თანახმანი ვართ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას, და ამასთან ერთად აღვნიშნეთ, რომ ჩვენ, იმპერიალისტებისაგან განსხვავებით, მშვიდობიანობას ვემხრობით არა სიტყვით, არამედ საქმით. ჩვენ ვიძლევით წინადადებას განხილულ და განხორციელებულ იქნას განიარაღების ჩვენი პროგრამა. ჩვენ ამითაც ვააშკარავებთ იმპერიალისტების სიყალბეს და სიცრუეს.

თუ გსურს მშვიდობიანობა—რაც შეიძლება ბევრი ილაყბე იმის შესახებ, ხოლო ლაყბობასა და ხმაურობაში კი ემზადე ომისათვის.—ასეთია იმპერიალისტების ნამდვილი ხაზი. თუ გსურს მშვიდობიანობა—განიარაღდი,—ასეთია ჩვენი ხაზი. იმ ფაქტსაც, რომ ჩვენ განვაცხადეთ თანხმობა მოვაწეროთ ხელი ხელშეკრულებას, არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს მიჩქმალოს და მიაფუჩეჩოს ამ ორი ხაზის, ამ ორი პროგრამის პრინციპიალური წინააღმდეგობა.

საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა იციან თავიანთი მთავრობის პოლიტიკა. ისინი სავსებით ემხრობიან ამ ხაზს კელოგის ხელშეკრულების საკითხში. ისინი დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს იმას, თუ როგორ დაიცავს ყოველგვარ, უძნელეს პირობებშიაც კი, მშვიდობიანობის საქმის ჩვენი დიპლომატია, რომელსაც ზურგს უმაგრებენ მრავალი მილიონი მასები. ხოლო ჩვენი საზღვარგარეთელი ძმები, რომლებიც იმპერიალიზმის უღელ ქვეშ გმინავენ, მუშები და გლეხები მშვიდობიანობის და ომის საკითხში ენდობიან მხოლოდ პროლეტარული სახელმწიფოს პოლიტიკას, რომლის დასაცავადაც ისინი გამოვლენ მაშინვე, როგორც კი იმპერიალისტები შეეცდებიან ჩაშალონ ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანობისათვის.

„პრავდა", 6 სექტემბერი.

განიარაღების საკითხი ერთა ლიგის სესიაზე

ინგლისი და საფრანგეთი სასარგებლოდ სთვლიან „მსუბუქ" კრიტიკას განიარაღების საკითხში

მიულერის მოლაპარაკება ბრიანთან რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ

ერთა ლიგის სესია

ჟენევა, 5 სექტემბერი. ჩინეთის დეპუტატის, შემდეგ გენერალური მდივნის მოხსენების შესახებ გამართულ კამათში გამოვიდა ჰოლანდიის დელეგატი **ვან-ბლოკლანდი.** ორატორმა განაცხადა, რომ კელოგის პაქტი და ინგლის-საფრანგეთის კომპრომისი საზღვაო შეიარაღების საკითხში უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიან შეიარაღების შესამცირებლად, ვიდრე ერთი წლის წინედ იყო. ვან-ბლოკლანდს იმედი აქვს, რომ ინგლის-საფრანგეთის კომპრომისი დააჩქარებს განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მუშაობას. დასასრულ, ვან-ბლოკლანდი ფრთხილ ფორმაში უერთდება წინადადებას—შეიქმნას ერთა ლიგასთან მუდმივი კომისია ნაციონალურ უმცირესობათა საქმეებისათვის.

მაგრამ ამასთანავე ვან-ბლოკლანდმა დასძინა, რომ იმ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათ ეხება, უსათუოდ უნდა უზრუნველყოფილი იქნას პატივისცემა არსებულ ხელშეკრულებებისადმი და საშუალება უნდა წაერთვას „ბოროტგამზრახველ ელემენტებს, რომ მათ ნაციონალურ უმცირესობათა პრობლემა პოლიტიკური აგიტაციის იარაღად გამოიყენონ".

მესამე ორატორად გამოდის შვეციელი სოციალ-დემოკრატი **უნდენი,** რომელიც იმედს გამოსთქვამს, რომ ერთა ლიგის საბჭო მხარს დაუჭერს არბიტრაჟის გაფართოებას იმ კონვენციების სახით, რომლებიც გამომუშავებულ იქნა უშიშროების კომიტეტის მიერ. შემდეგ უნდენი აცხადებს, რომ მას იმედები გაუცრუვა გენერალური მდივნის ანგარიშის იმ ნაწილმა, რომელიც განიარაღების საკითხს ეხება. უნდენის სიტყვით, თუ მოსამზადებელი კომისიის მუშაობამ ახლო მომავალში დამაკმაყოფილებელი შედეგები არ მოგვცა, საზოგადოებრივი აზრი იმ დასკვნას გამოიტანს, რომ მიუხედავად ერთა ლიგის წესდებისა, ლოკარნოს შეთანხმებისა და კელოგის პაქტისა, სახელმწიფოთა ქიშპიანობა მაინც ძალაში რჩება. (ადს)

სოციალ-დემოკრატები ლიგის პლენუმზე

ჟენევა, 5 სექტემბერი. ჰოლანდიის დელეგატის ვანბლოკლანდისა და შვეციის დელეგატის უნდენის გამოსვლამ წამოაყენა საკითხი განიარაღების შესახებ. საბჭოთა პროექტი ნაწილობრივი განიარაღების შესახებ ჯერ არავის უხსენებია, სოციალ-დემოკრატ უნდენსაც კი. უნდენის გამოსვლა განიარაღების მოსამზადებელი მუშაობის დაჩქარების სასარგებლოდ, პოლიტიკური წრეების აზრით, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ლიგაში ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელ წრეების განზრახვებს. ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისსა და საფრანგეთს, საზღვაო კომპრომისის დადების შემდეგ, თავიანთი გავლენის უფრო გასამტკიცებლად ლიგაში, სასარგებლოდ მიაჩნიათ დაუშვან ლიგაში მსუბუქი „თვითკრიტიკა" განიარაღების დარგში. დიდის ინტერესით მოელიან პლენუმზე გერმანიის რეიხსკანცლერის მიულერის გამოსვლას. პოლიტიკურ წრეებში აინტერესებთ რამდენად დასთანხმდება მიულერი ბრიანთან რეინის ოლქის შესახებ წარმოებული მოლაპარაკების ინტერესებს მსხვერპლად შესწიროს გაბედული და გულწრფელი დასმა განიარაღების საკითხისა. კერძოთ კი ინტერესით მოელიან, დასვამს თუ არა მიულერი საკითხს ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტის შესახებ. (ადს).

მიულერისა და ბრიანის შეხვედრა

ჟენევა, 5 სექტემბერი. მოხდა პირველი საქმიანი შეხვედრა მიულერისა და ბრიანის. საფრანგეთისა და გერმანიის დელეგაციის წრეებში აღნიშნავენ, რომ ამ შეხვედრის დროს მიულერმა წამოაყენა საკითხი რეინის ოლქის ვადამდე ევაკუაციის შესახებ. ეხლა უნდა მოხდეს მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან, რომელნიც მონაწილეობას იღებენ რეინის ოლქის ოკუპაციაში. მიულერისა და ბრიანის შეხვედრას წინ უძღოდა თათბირი ბრეიტშეიდისა ბონკურთან, გუმბახთან, ჟუოსთან და ერთა ლიგის პლენუმში მონაწილე სხვა სოციალისტებთან. პოლიტიკური წრეების აზრით, ამ თათბირს არავითარი კონკრეტიული შედეგები არ მოჰყოლია. (ადს).

ვინ შეუერთდა კელოგის პაქტს

ვაშინგტონი, 5 სექტემბერი. საგარეო საქმეთა მინისტრი იუწყება, რომ დღემდე ოფიციალური განცხადებები იმის შესახებ, რომ განზრახვა აქვთ შეუერთდნენ კელოგის პაქტს, გამოგზავნეს: ავსტრიამ, დანიამ, ბოლივიამ, კუბამ, კოსტარიკამ; სან-დომინგომ, სამხრეთ-სლავიამ, ფინლიანდიამ, ლუქსემბურგმა, ჰოლანდიამ, შვეიცარიამ, პანამამ, ურაგვაიმ, ჰაიტიმ, ლატვიამ, ეგვიპტემ, აბისინიამ, პორტუგალიამ და შვეციამ. ფორმალური მხარე ჯერ-ჯერობით შეასრულეს მხოლოდ პერუმ და ლიბერიამ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, გარეშე საქმეთა მინისტრის ცნობით, მისთვის ჯერ არ გადაუციათ ლიტვინოვის ოფიციალური ნოტა. (ადს).

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი. იმ სახელმწიფოთა სიას, რომელნიც შეუერთდნენ კელოგის პაქტს, უნდა მიემატოს ვენეცუელა და ესტონეთი, რომელთაც შეატყობინეს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მათ განზრახვა აქვთ პაქტს ხელი მოაწერონ; პაქტს უერთდება აგრეთვე რუმინეთიც, რომელმაც შეასრულა ხელშეკრულებისათვის შეერთების ყველა ფორმალური მხარე. (ადს).

დანია პაქტს უერთდება

კოპენჰაგენი, 5 სექტემბერი. დანიის მთავრობამ დაადგინა, შეუერთდეს კელოგის პაქტს იმ პირობით, თუ მას პარლამენტი მიიღებს. (ადს).

გერმანიის სახალხო მეურნეობის კომიტეტი

რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის დასაჭერად

ბერლინი, 5 სექტემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„სრულიად გერმანიის მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით, დაარსებულ იქნა გერმანიის სახალხო მეურნეობის კომიტეტი რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის დასაჭერად. ამ კომიტეტში წარმოდგენილია მრეწველობის, ვაჭრობის, ბანკებისა და გზების ყველა ის დარგი, რომელიც დაინტერესებულია რუსეთ-გერმანიის ეკონომიური ურთიერთობით. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ეკონომიური საბჭოს წევრი კრამერი. კომიტეტი დაარსდა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებას, აგრეთვე მთლიანი აზრის გამომუშავებას გერმანიის სახალხო მეურნეობის შიგნით იმ საკითხების ირგვლივ, რომელნიც რუსეთ-გერმანიის ეკონომიურ ურთიერთობას შეეხებიან. კომიტეტი უნდა წარმოადგენდეს ცენტრალურ ორგანოს პრინციპიალური საკითხების გამო მოლაპარაკების საწარმოებლად საბჭოთა მთავრობის სავაჭრო წარმომადგენლობასთან ბერლინში და საბჭოთა სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან. (ადს).

ბულგარეთის მთავრობის გადადგომა

ვენა, 5 სექტემბერი. სოფიიდან იუწყებიან, რომ მას შემდეგ, რაც გადადგა ცანკოვის მომხრე სამი მინისტრი—საგარეო საქმეთა მინისტრი ბუროვი, ვაჭრობის მინისტრი ბობოშევსკი, სასოფლო-მეურნეობის მინისტრი ხრისტოვი, პრემიერმა ლიაპჩევმა მეფეს გადასცა თხოვნა მთელი კაბინეტის გადადგომის შესახებ. მეფის ბრძანებით, სოფიიდან პროვინციაში გადაყვანილ იქნა 10 კაცი ბულგარეთის უმაღლესი აფიცრობის წრიდან. ყველა გადასახლებული ცანკოვის მომხრეებია. პოლიტიკურ წრეებში ამ ღონისძიებას უყურებენ, როგორც მეფის უნდობლობის დემონსტრაციას სამხედრო მინისტრ ვოლკოვის მიმართ, რომელიც ლიაპჩევის მომხრეა. (ადს).

ინგლისის პროფკავშირთა კონგრესი

სვონსი, 5 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა კონგრესმა მიიღო მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშათა კავშირის მიერ შეტანილი რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია: რადგან კაპიტალი გაერთიანდა ტრესტებსა და კონცერნებში, ამიტომ მუშათა კლასმა უნდა შექმნას პროფკავშირული ორგანიზაციების უფრო მძლავრი ფორმები, ვიდრე დღეს არსებობენ ინგლისში.

შემდეგ გაიხსნა კამათი იმ რეზოლიუციის გამო, რომელიც გენსაბჭოს ანდობს— გამოიკვლიოს რასკოლნიკური ელემენტების მოქმედება და მეთოდები პროფმოძრაობის შიგნით (ეს რეზოლიუცია მიმართულია კომუნისტებისა და უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ). რეზოლიუციის კრიტიკით გამოვიდა ტომკინსი (მეავეჯეთა კავშირი).

„მემაღაროეთა ფედერაციას,— სთქვა **ტომკინსმა,**—ინტერესებს საკითხი რასკოლნიკური ელემენტების შესახებ, ვინაიდან 1926 წლის გაფიცვის დროს რასკოლნიკური ტაქტიკა განახორციელეს გენერალური საბჭოს წევრებმა".

ტომკინსის შემდეგ გამოვიდა **ტომასი,** რომელმაც იერიში მიიტანა კუკზე. მან მოითხოვა კუკის მოქმედების დაუყოვნებელი გამოკვლევა. შემდეგ სიტყვის წარმოსათქმელად მოისურვა ხორნერმა (კომუნისტი, მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის წევრი), მაგრამ ჰერბერტ სმიტმა განაცხადა, რომ ხორნერს გამოსვლის უფლება არა აქვს, რადგან მისი აზრები ეწინააღმდეგებიან მემაღაროეთა ფედერაციის გადაწყვეტილებებსაო. მაგრამ კონგრესის თავმჯდომარემ ბენ ტერნერმა სცნო, რომ ხორნერს, როგორც კონგრესის დელეგატს, გამოსვლის უფლება აქვს. **ხორნერმა** განაცხადა:

„რეზოლიუცია სასარგებლო იქნებოდა, ის რომ უფრო ნათლად და გარკვეულად იყოს შედგენილი; იმ სახით კი, როგორც დღეს არის შედგენილი, რეზოლიუცია გამოყენებული იქნება პროფმოძრაობის გასათიშად და იმისთვის, რომ საბოლოოდ გაქარწყლდეს პროფმოძრაობის მთლიანობის ყოველი იმედი. ტომასმა ნათლად გაგვაგებია, რომ პროფკავშირის ყოველი წევრი და ყოველი ორგანიზაცია, რომელიც მუშათა პარტიას მხარს არ დაუჭერს, წამოყენებული რეზოლიუციის მიხედვით, რასკოლნიკურ ელემენტად უნდა ჩაითვალოს".

შემდეგ გამოვიდა **ჰერბერტ სმიტი,** რომელმაც განაცხადა: მემაღაროეთა ფედერაციის წევრები, რომელნიც ლოიალურად არ ეკიდებიან პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს, უნდა გავიდნენ ფედერაციიდანო.

„თუ უმცირესობის მოძრაობა და კომუნისტები არ თანაუგრძნობენ და არ ემხრობიან საერთო ხაზს,—სთქვა ჰერბერტმა სმიტმა,—მაშინ ისინი ციმბირში უნდა წავიდნენო".

კენჭის ყრის დროს რეზოლიუცია მიღებულ იქნა ხმების დიდი უმრავლესობით.

მემარცხენე რევოლიუციონურ წრეებში აღნიშნავენ, რომ რეზოლიუციის მიღება „რასკოლნიკური ელემენტების წინააღმდეგ" მოასწავებს კომუნისტებისა და მემარცხენე მოძრაობის დევნის გაძლიერებას პროფკავშირების შიგნით (ადს).

სვონსი, 5 სექტემბერი. პროფკავშირთა კონგრესის სხდომაზე 5 სექტემბერს მემაღაროეთა ფედერაციის წარმომადგენელმა **დევისმა** განაცხადა პროტესტი გენერალური საბჭოს ანგარიშის მე-80 პარაგრაფის წინააღმდეგ. ამ პარაგრაფში გადმოცემულია ის პირობები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამხრეთ-უელსის მემაღაროეების ფეხით გამგზავრებასთან ლონდონში წარსული წლის ოქტომბერს. როგორც ცნობილია, გენერალურმა საბჭომ უარი სთქვა—მიეცა ოფიციალური სანქცია ამ მგზავრობაზე. დევისმა მოითხოვა ამ პარაგრაფის უარყოფა, რადგან მასში მეტად ტენდენციურად არის გადმოცემული მოვლენები და მთლად იგი ნაკარნახევია კომუნისტებისადმი სიძულვილითო. დევისს საპასუხოდ, გენსაბჭოს მდივანმა **სიტრინმა** წაიკითხა ერთი ადგილი 1928 წლის 27 ივლისის „პრავდა"-დან, სადაც გადმოცემულია უმუშევართა მოძრაობის ლიდერის კომუნისტის განინგტონის სიტყვა კომინტერნის კონგრესზე. განინგტონმა ვითომ განაცხადა, რომ კომუნისტების მიერ მოწყობილი ფეხით მგზავრობა სამხრეთ უელსის მემაღაროეებისა წარმოადგენდა უდიდეს მოვლენას მუშათა მოძრაობაშიო. სიტრინის განცხადებას ხმამაღალი სიცილით შეხვდნენ. რკინის გზელთა ნაციონალური კავშირის დელეგატმა ლებერმა ეჭვი შეიტანა თარგმანის სისწორეში. კონგრესმა მიიღო ანგარიშის მე-80 პარაგრაფი.

შენიშვნა: „პრავდა"-ს ანგარიშში, სადაც გადმოცემულია კომინტერნის კონგრესზე წარმოთქმული სიტყვა განინგტონისა, ნამდვილად ნათქვამია: „სამხრეთ უელსის უმუშევარ მემაღაროეთა ფეხით მგზავრობა ლონდონში წარმოადგენდა უდიდეს მოვლენას ინგლისის მუშათა მოძრაობაში 1927 წელს". ამრიგად, განინგტონის სიტყვით, მემაღაროეთა მოგზაურობა მუშათა მოძრაობაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა არა საზოგადოდ, არამედ მხოლოდ 1927 წელს (ადს).

გერმანიის პროფკავშირთა ყრილობის გარშემო

კონტრ-დემონსტრაცია

ბერლინი, 5 სექტემბერი. იმ მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ჰამბურგის სენატმა გამართა, გერმანიის პროფკავშირთა კონგრესის დელეგატების პატივსაცემად, მოედანზე, ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობის წინ, შეიკრიბნენ მუშები, ფიზკულტურელები და მომღერალი საზოგადოებები. კომუნისტებმა და მემარცხენე პროფკავშირთა უმცირესობის წარმომადგენლებმა მოაწყვეს მძლავრი კონტრ-დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ გაფანტა. მოხდა რამდენიმე შეტაკება. არიან დაჭრილები. დააპატიმრეს მრავალი დემონსტრანტი. (ადს).

„კრასინი"-ის შეხვედრა „ბრაგანცა"-სთან

რომი, 5 სექტემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ გემი „ბრაგანცა" როდესაც კინგსბეისაკენ სურსათისათვის მიემართებოდა, 31 აგვისტოს შეხვდა „კრასინ"-ს. „ბრაგანცა"-ს უფროსი და მეზღვაურები ესაუბრეს პროფესორ სამოილოვიჩს, რომელსაც გაუზიარეს ცნობები უკანასკნელი გამოკვლევების შესახებ. „ბრაგანცა"-ს ექსპედიციის მონაწილეებმა აცნობეს სამოილოვიჩს, რომ უკანასკნელი ფრენის დროს ძალიან დაზიანდა თვითმფრინავები, რომელთაც ყინულის მძიმე ნაჭრებმა ფრთები დაუმტვრიეს. კუნძულ ვევერლიოზე მოწყობილია სპეციალური ბაზა, რომელიც საკმარისია ექვსი კაცისათვის 10 თვის განმავლობაში. ნორვეგიელი მონადირეები იკვლევენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიწას და კუნძულ ფოილს. დღემდე გამოკვლევები უშედეგოა. (ადს).

ბონიტას მოკვლა

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი. გამოურკვეველ პირობებში მოჰკლეს პენსილვანიის მემარცხენე მემაღაროეთა ბელადი ფრანც ბონიტა. დააპატიმრეს მოკლულის სახლში მკვლელობის დროს მყოფი სამი კაცი, რომელთაგან ორი დაჭრილი აღმოჩნდა და საავადმყოფოში გაგზავნეს.

„უორკერს პარტი"-ს გაზეთი „დეილი უორკერ"-ი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბონიტა მოკლულ იქნა ერთი კვირით ადრე მომავალი პიტსბურგის კონფერენციამდე, რომელსაც მიზნად ჰქონდა მემარცხენე მემაღაროეთა დამოუკიდებელი კავშირის შექმნა.

გაზეთი ფიქრობს, რომ მკვლელები უნდა იყვნენ აგენტები მემაღაროეთა გაერთიანებული კავშირის ხელმძღვანელის, ცნობილი რეაქციონერის ლიუისისა. (ადს).

დაუესის გეგმის მეხუთე წელი

ბერლინი, 5 სექტემბერი. დაუესის გეგმა 1 სექტემბრამდე კიდევ ერთგვარ შეღავათს ანიჭებს გერმანიას: დაუესის გეგმის მოქმედების პირველი ოთხი წლის განმავლობაში გერმანიამ სულ გადაიხადა 5 ნახ. მილიარდი ოქროს მარკა. ეხლა, დაუესის გეგმის მეხუთე წლიდან გერმანიამ ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს 2 ნახ. მილიარდი მარკა. ეს არის მინიმუმი, რომელიც შეიძლება იქნეს გადიდებული, თუ აღმოჩნდა, რომ გერმანიის გადახდის უნარიანობა გაუმჯობესდა. გერმანია სარეპარაციო გადასახადებს დღემდე იხდიდა მხოლოდ და მხოლოდ საგარეო სესხების ხარჯზე. ამერიკის კაპიტალი უკანასკნელ ხანებში არა თუ არ აძლევს კრედიტებს გერმანიას, არამედ უკან მიაქვს ის თანხებიც, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შეცვლილი საფრანგეთის და ინგლისის თანხებით და ისიც უმთავრესად გრძელვადიანი კრედიტების სახით. საქმიან და პოლიტიკურ წრეებში ეშინიათ, რომ თუ ეს მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, აუცილებელი გახდება ანგარიში გაეწიოს გერმანიის სახალხო მეურნეობის მომავალ კრიზისს და იმას, რომ გერმანია ვერ შესძლებს შეასრულოს სარეპარაციო ვალდებულებანი. ამ მდგომარეობას ართულებს აგრეთვე ხელსაყრელი კონიუნქტურის თანდათანობითი გაუარესება, რომელიც დღემდე გრძელდება. (ადს).

პოლონური ფაშიზმის მსხვერპლი

ვარშავა, 5 სექტემბერი. როგორც აღნიშნული იყო, ახალგაზრდობის დემონსტრაციაში, რომელიც ვარშავაში გაიმართა ახალგაზრდობის დღეს, შვიდი მონაწილე მძიმედ დაიჭრა. ამ დაჭრილებიდან ორი უკვე გარდაიცვალა. ერთი 14 წლისაა, მეორე—24 წლის. (ადს).

ვენიზელოსის ავადმყოფობა

ათინა, 5 სექტემბერი. ვენიზელოსი ავად გახდა ციებ-ცხელებით, რომელიც ამჟამად ძალიან გავრცელებულია ათინაში. ათინისა და პირეის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ნაწილი ავად არის ამ ეპიდემიით. ციებ-ცხელების ეს მძაფრი ფორმა განსაკუთრებით საშიშია იმ გართულების გამო, რომელიც მას მოსდევს. შემოდგომის მოახლოება და გრილი ამინდი იმედს იძლევა, რომ ეპიდემია, რომელიც უკანასკნელ დღეებში შენელდა, სრულიად შესწყდება. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირის ნოტა კელოგის ხელშეკრულების შესახებ

მოსკოვი, 6 სექ. 6 სექტემ. გარეშე საქმეთა სახ. კომისრის მოვალეობათა დროებით აღმასრულებელმა ამხ. ლიტვინოვმა საფრანგეთის ელჩს გადასცა საბჭოთა კავშირის ნოტა კელოგის ხელშეკრულების შესახებ. ნოტასთან დართულ წერილში ამხ. ლიტვინოვი გამოსთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირი მიიღებს იმ ქვეყნების სრულ სიას, რომელთაც მიეცა წინადადება შეუერთდნენ ხელშეკრულებას, და აგრეთვე ცნობას პაქტისადმი მათი შეერთების შესახებ (ადს).

საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების წერილი

ლონდონი, 6 სექტემბერი. საბჭოთა რუსეთის მეგობართა ინგლისურმა კომიტეტმა ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის ყველა დელეგატებს მიმართა წერილით, რომელშიაც ნათქვამია: „წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისის პროფკავშირთა კონგრესმა გაწყვიტა კავშირი საკავშირო პროფსაბჭოსთან და დღემდე არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა ურთიერთობის აღდგენისათვის. ინგლისის პროფკავშირთა კონგრესმა აუცილებლად უნდა იკისროს ამ ურთიერთობის აღდგენის ინიციატივა. ინგლისის მთავრობა მტკიცედ ატარებს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო პოლიტიკას და სცდილობს შექმნას ხელსაყრელი პირობები თავდასხმისათვის. ინგლისის პროფკავშირებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ შეუძლებელი გახდეს ომი საბჭოთა კავშირთან. ამიტომ აუცილებელია ურთიერთობის განახლება საბჭოთა პროფკავშირებთან, რათა ორივე ქვეყნის მუშებმა შესძლონ ერთად აწარმოონ ბრძოლა იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ" (ადს).

„ლ—55"-ის მეზღვაურთა ნეშტის გადატანის გარშემო

ლონდონი, 5 სექტემბერი. დღეს ღამით კრეისერ „ჩემპიონ"-ით პორტსმუტში ჩამოიტანეს წყალქვეშა ნავის „ლ—55"-ის 41 მეზღვაურის გვამი, რომლებიც 9 წლის წინედ დაიღუპნენ ჩრდილოეთის წყლებში ბრძოლის დროს (ადს).

ლონდონი, 6 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი" ხაზს უსვამს იშვიათ მზრუნველობას, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა წყალქვეშა ნავის „ლ—55"-ის დაღუპულ მეზღვაური გვამი, რომლებიც 9 წლის წინედ რულ გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ თავისი მოქმედებით მადლობა დაიმსახურა. „იშვიათია,—დასძენს გაზეთი,—ისეთი ღირსეული და კეთილშობილური გრძნობით გამსჭვალული მოქმედება, როგორსაც კრონშტატში ჰქონდა ადგილი ერთი კვირის წინედ მეზღვაურთა ნეშტის გადაცემის დროს" (ადს).

რადიო „კრასინი"-დან

ყინულის მჭრელი „კრასინი", 5 სექტემბერი. კინგსბეიში ცუდი ამინდის გამო ჩუხნოვსკი აღარ გაფრინდა ბევერლიზუნდში. დღეს ბევერლიზუნდში ცუდი ამინდი დაიწყო. წვიმს, ნისლი ჩამოიშვა. დღეს ვნახეთ თავშესაფარი და სურსათი, რომელიც „ბრაგანცამ" დასტოვა ალექსანდრის და ამუნდსენის ჯგუფისათვის. ყინულის მერელზე საჰაერო ტურნირი სწარმოებს (ადს).

პირველი კონტრაქტი

ტოკიო, 5 სექტემბერი. საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილემ იაპონიაში **ტრეტიაკოვმა** ნეფტესინდიკატის სახელით და ადმირალმა ნაკასატომ იაპონიის ნავთის კამპანიის (სახალინზე) სახელით ხელი მოაწერეს პირველ კონტრაქტს ნავთის სინდიკატის პირობის თანახმად იაპონიის ნავთის კამპანია 65.000 ტონა ნავთის შესყიდვის შესახებ. მნიშვნელოვან ავანსს იხდის. (ადს).

მოკვდა ბახმეტიევი

პარიზი, 5 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, მოკვდა ბახმეტიევი—ჯერ მეფის, ხოლო შემდეგ დროებით მთავრობის ყოფილი ელჩი ვაშინგტონში. (ადს).

კომინტერნის VI კონგრესის შედეგების განხილვა

მოსკოვი, 6 სექტემბერი. 4 სექტემბერს მოხდა მოსკოვის პარტაქტივის კრება კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესის შედეგების მოსასმენად. კრებას დაესწრო 3.000 კაცი. კონგრესის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბუხარინმა, რომელსაც კრება ხანგრძლივი ტაშით მიეგება. მოხსენება 4 საათს გაგრძელდა. თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. ბუხარინმა შეაფასა კონგრესის მუშაობის მნიშვნელობა. მოხსენების მთელი პირველი ნაწილი შეეხებოდა კომინტერნის მიერ მიღებულ პროგრამას. მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. ბუხარინმა გააშუქა კონგრესის დღის წესრიგის დანარჩენი საკითხები. ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო აქტივმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მთლიანად და სავსებით იწონებს კონგრესის გადაწყვეტილებებს. (ადს).

ლენინგრადი, 6 სექტემბერი. ვიბორგის მხარის საერთო რაიონულ მიტინგზე, კულტურის სახლში, შეიკრიბა ვიბორგის მხარის საწარმოთა 2.000 მუშა და მუშა-ქალი. კომინტერნის კონგრესის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო ილაპარაკეს გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრებმა ამხ. ტელმანმა, ლეიმანმა, მორინმა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ბელადმა კაშენმა და იტალიის, ჩინეთის და კანადის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებმა. კრებამ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ კომინტერნის მე-6 კონგრესმა სწორად დააყენა ომის საკითხებთან ბრძოლის და იმპერიალიზმის ყველაზე ერთგულ აგენტების—სოციალ-დემოკრატების ზედა ფენებისათვის ნიღბის ახსნის პრობლემა. (ადს).

ლენინგრადი, 6 სექტემბერი. სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში მოხდა ვასილეოსტროვის რაიონის აქტივის რაიონული კრება, რომელზედაც მოისმინეს მოხსენება კომინტერნის კონგრესის შედეგების შესახებ. კრებას დაესწრო 3.000 კაცამდე. მოხსენების გამო გამოვიდნენ გერმანიის კომპარტიის ბელადი ტელმანი. საფრანგეთის კომპარტიის ბელადი კაშენი და ჩინეთის და ბოლგარეთის კომპარტიების წარმომადგენლები. მიღებულ რეზოლიუციაში კრება მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის კომინტერნს. (ადს).

ლაშევიჩის გვამი მოსკოვში წაასვენეს

ხარბინი, 5 სექტემბერი. 3 სექტემბერს მოსკოვში წაასვენეს ლაშევიჩის გვამი. გაცილებას დაესწრნენ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობისა და სარევიზიო კომიტეტის საბჭოთა წევრები, საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული მარტინოვი და საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი კოროვკინი. ცხედარი გააცილეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის უმაღლესმა აგენტმა, პროფკავშირების კოლექტივებმა და რკ. გზის ყველა განყოფილების და საწარმოს დელეგატებმა. პროცესიაში მონაწილეობა მიიღო 20.000-ზე მეტმა საბჭოთა მოქალაქემ და ჩინელმა. წესრიგი სამაგალითო იყო, თუმცა თეთრგვარდიელები რამდენჯერმე შეეცადნენ პროვოკაცია გამოეწვიათ. კუბოს წინ მიუძღოდა 200-მდე გვირგვინი. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჩემბერლენი აღარ დაუბრუნდება თავის მოვალეობის ასრულებას

რამ გამოიწვია ჩემბერლენის წასვლა

მოსკოვი, 6 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტი ვენიდან—**გორკინი** ჩემბერლენის ავადმყოფობასთან დაკავშირებულ ხმების შესახებ იტყობინება შემდეგს:

მიღებულია ცნობა სრულიად სანდო წყაროებიდან, რომ ლონდონის პოლიტიკურ წრეებში სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ ჩემბერლენის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დატოვების შესახებ. თითქმის გადაჭრით ამბობენ, რომ ჩემბერლენი აღარ დაუბრუნდება თავის მოვალეობის ასრულებას. ამასთან ერთად ასახელებენ ახალ კანდიდატებს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ჩემბერლენის ადგილს დაიჭერს ახალშენების მინისტრი ემერი.

ჩემბერლენის წასვლას კომპეტენტური წრეები სთვლიან, როგორც დათმობას ინგლისის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე. ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნით ინგლისის მთავრობა ცდილობს აღადგინოს წონასწორობა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

ნავთის გადამამუშავებელი ახალი ქარხნები

მოსკოვი, 6 სექტემბერი. სახელმწიფო ვაჭრობის მთავარ სამმართველომ წინადადება მისცა ნავთის მრეწველობის საბჭოს, რათა ამ უკანასკნელმა დაამუშაოს საკითხი ნავთის პროდუქტების გადამამუშავებელ ახალი ქარხნების აგების შესახებ.

აღნიშნული ქარხნები აგებულ უნდა იქნას არა იმ რაიონებში, სადაც სწარმოებს ნავთის ამოღება, არამედ იქ, სადაც ნავთის პროდუქტები საღდება. პირველ რიგში ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები აგებულ უნდა იქნას სამრეწველო რაიონში.

„იზვესტია" ნოხების წარმოების შესახებ ამ.-კავკასიაში

მოსკოვი, 6 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტია"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „კავკასიის ნოხები".

გაზეთი აღნიშნავს, რომ ნოხებს საბჭოთა კავშირის ექსპორტში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს. ამ მიზნით ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობამ და სხვა სათანადო ორგანოებმა, რომელთაც კავშირი აქვთ ნოხის საქმესთან, ზომები უნდა მიიღონ ნოხების თავმოსაყრელად ერთ ცენტრში.

გარდა ამისა, რომ ნოხების წარმოება სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული, გაზეთის აზრით, საჭიროა ამიერ-კავკასიაში დაარსებულ იქნას სპეციალური ტეხნიკუმი, რომელიც ხელს შეუწყობს ნოხის წარმოების ცოდნის გავრცელებას.

დახმარება ამ.-კავკ. რკ. გზებს ნიაღვრებისაგან მიყენებულ ზიანის გამოსასწორებლად

მოსკოვი, 6 სექტემბერი. გზათა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს დადგენილებით ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს, სხვებთან ერთად მიეცა დახმარების სახით 100 ათასი მანეთი იმ დაზიანებათა გამოსასწორებლად, რომელიც რკინის გზას მიაყენა დიდმა ნიაღვრებმა.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა
სექტემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

კომინტერნის მეექვსე კონგრესის რეზოლუციები

საქ. კომპარტიის (ბ) მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 6 სექტემბერი. კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე მსოფლიო კონგრესი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ დიდ პროცესს, რომელიც მიღწეულ იქნა მეხუთე მსოფლიო კონგრესის შემდეგ, ოთხი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მომქმედ პროლეტარიატის ამ ერთად-ერთ სამშობლოში.

პროდუქციამ საერთოდ გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს და მისი ზრდის ტემპი აღემატება პროდუქციების გადიდების ტემპს კაპიტალისტურ ქვეყნებში. სწრაფად ძლიერდება ქვეყნის მეურნეობა. სოციალისტური სექტორის განვითარება უფრო ჩქარია, ვიდრე საერთოდ მთელი მეურნეობის განვითარება, მსხვილი მრეწველობა და ელექტროფიკაცია სწრაფ პროგრესს განიცდიან: ახალი გიგანტიური მშენებლობანი—ვოლხოვსტროი, დნეპროსტროი, თურქესტან-ციმბირის რკინისგზა და უდიდესი ახალი საფაბრიკო მშენებლობანი—გვიჩვენებენ ძლევამოსილი პროლეტარიატის შემოქმედებით ძალას და მოწმობენ სოციალიზმის მშენებლობის თვალსაჩინო წარმატებას.

წინააღმდეგ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებისა, მეურნეობის აღდგენა მოხდა უცხოელთა სესხის გარეშე, მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით, კაპიტალისტური გარემოცვის შეურიგებელი წინააღმდეგობისა და მტრული მოქმედების პირობებში.

პროლეტარიატის მდგომარეობა სწრაფად გაიზარდა. ხორციელდება შვიდი საათის სამუშაო დღე, ექვსი საათის სამუშაო დღე მიწისქვეშ-მემაღაროებისათვის, რეალური ხელფასი ერთი-ორად გადიდდა 1923 წელთან შედარებით და ამჟამად იგი აღემატება ომის წინადროინდელ დონეს, გარდა იმისა, რომ თვალსაჩინო ანარიცხები სოციალურ დაზღვევას ხმარდება.

თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა აგრეთვე სოფლის მშრომელი ფენების, ე. ი. წვრილი და საშუალო გლეხების მდგომარეობა, რომლებსაც რევოლუციამ მისცა მიწა და რომლებიც მან დავალიანებისაგან იხსნა. მათ ახლა ენერგიულად ეხმარება პროლეტარიატის დიქტატურა მეურნეობის ზრდის საქმეში.

გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის დონის ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების განვითარებასთან, კერძოდ ახალი საბჭოთა მეურნეობის მასიურ შექმნასთან და ბრძოლის გაძლიერებასთან სოფლის კაპიტალისტური ელემენტების, ე. ი. კულაკობის წინააღმდეგ.

პროლეტარულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ ვიწრო ჩარჩოებში შეაჩერა ქალაქისა და სოფლის კაპიტალიზმის ჩანასახები, რომლებიც აუცილებლად უნდა განვითარებულიყვნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე, აღმოაჩინა და ჩაახშო უმაღლესი სპეციალისტების იმ ნაწილის კონტრ-რევოლუციონური საბოტაჟი, რომელსაც ფინანსებს აწვდიდნენ ყოფილი მესაკუთრენი და საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი მთავრობანი. არ გამართლდა კაპიტალისტებისა და სოციალ-დემოკრატების იმედი იმის შესახებ, ვითომც ახალი ეკონომიური პოლიტიკა გულისხმობდა კაპიტალიზმის დაბრუნების დასაწყისს. კაპიტალისტური ელემენტები კი არ იზრდებიან სოციალისტური სექტორის ხარჯზე, არამედ პირიქით: სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის მნიშვნელობა და ხვედრითი წონა შეუფერხებლად იზრდება, იგი უფრო და უფრო შესამჩნევად ავრცელებს თავის გავლენას კერძო მეურნეობის სექტორზე.

მეექვსე მსოფლიო კონგრესი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის მიღწევანი აძლიერებენ რევოლუციონურ პოზიციებს საერთაშორისო მუშათა კლასისას, რომელსაც საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში ხელმძღვანელობას უწევს მოწინავე პროლეტარული ავანგარდი კომპარტიების სახით: ეს მიღწევანი აჩქარებენ კაპიტალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მშრომელთა უფართოესი მასების გარევოლუციონერებას და წინანდელზე უფრო მეტად ჰქმნიან მსოფლიო რევოლუციის ბურჯად საბჭოთა კავშირსა და ლენინურ ავანგარდს—საკავშირო კომპარტიას, რომლის უდიდესი გამოცდილების წყალობით იდეოლოგიურად იზრდება და პრაქტიკულ ცოდნას იძენს კომინტერნის ყველა სექცია.

მეექვსე კონგრესი ადასტურებს საკავშირო კომპარტიის (ბ) მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამასთანავე აღნიშნავს:

„მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური სამეურნეო სექტორი ხელმძღვანელ როლს ასრულებს და მისი მნიშვნელობა თანდათან იზრდება,—საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საწარმოო ძალების ზრდას აუცილებლად თან ხდევს კლასობრივ წინააღმდეგობათა ნაწილობრივი გაძლიერება.

საბჭოთა სამეურნეო აპარატის ზოგიერთ ბიუროკრატიულ ელემენტებთან დაკავშირებული ქალაქისა და სოფლის კერძო-კაპიტალისტური ფენები ცდილობენ უფრო ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიონ მუშათა კლასის შემოტევას და პროლეტარული დიქტატურისათვის საზიანო გავლენა მოახდინონ მოსამსახურეების, ინტელიგენციის განსაზღვრულ ფენებზე და შინამრეწველთა, ხელოსანთა, გლეხთა და მუშათა ჩამორჩენილ ფენებზე. კაპიტალისტური ელემენტების ამ მტრულ გავლენას და გადიდებულ აქტივობას მუშათა კლასმა, საკავშირო კომპარტიის (ბ) მეთაურობით, დაუპირისპირა პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის განმტკიცება და პროლეტარული მასების აქტივობის, თვითმოქმედების და კულტუროსნობის კიდევ უფრო მეტი გაძლიერება“; (მეთოთხმეტე ყრილობის რეზოლუცია ც. კ.-ის ანგარიშის გამო).

კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში და ყველა მშრომელის დედა-ბურჯის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მსოფლიო კაპიტალის თანდათან გაძლიერებული შემოტევის დროს, იმ შემოტევისა, რომელიც აძლიერებს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების აქტივობას პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ,—სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადალახვა—როგორც ეს ახლახან დაგვანახვა პურის დამზადების საქმის გართულებამ—აუცილებლად მოითხოვს პროლეტარული სახელმწიფოს აქტიურ პოლიტიკას ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნის საქმეში კოლექტივიზმის მიმართულებით. ამ სიძნელეთა დაძლევასთან დაკავშირებულია გადამწყვეტი ბრძოლა მეურნეობის კერძო კაპიტალისტურ ელემენტებთან, უფრო მეტად განმტკიცება კავშირისა გლეხობის ძირითად მასებთან (საშუალო გლეხობასთან) და ენერგიული ბრძოლა კულაკებთან იმ მიზნით, რომ პროლეტარიატი მკვიდრად დაეყრდნოს ღარიბ გლეხობას.

მეექვსე მსოფლიო კონგრესი აღნიშნავს საკავშირო კომპარტიის (ბ) ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას როგორც საბჭოთა კავშირისა, ისე მსოფლიოს მშრომელთა შორის.

კონგრესი აღნიშნავს საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრთა მასის რიცხვობრივ ზრდას დაზგის მუშათა ხარჯზე, პროლეტარული დემოკრატიის ზრდასა და გაძლიერებას, მუშათა კლასის ულრმესი ნდობის გადიდებას თავისი სახელოვან ლენინური პარტიის—საკავშირო კომპარტიის (ბ) მიმართ.

მეექვსე მსოფლიო კონგრესი აღნიშნავს, რომ თანმიმდევრული კომუნისტური პოლიტიკის მეოხებით, საკავშირო კომპარტიამ (ბ) მოახერხა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და სოციალიზმის მშენებლობის საქმის წარმატებით გაძღოლა. კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექციის უყოყმანო დახმარებამ ხელი უნდა შეუწყოს საკავშირო კომპარტიის (ბ) მუშაობას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

კონგრესი ადასტურებს მეთოთხმეტე პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებს და აგრეთვე კომინტერნის აღმასკომის მე-9 პლენუმის რეზოლუციას ოპოზიციის გამორიცხვის შესახებ პარტიიდან. იგი ჰგმობს ყოფილი ოპოზიციონერების სამარცხვინო კონტრრევოლუციონურ და მენშევიკურ მოქმედებას მათი გამორიცხვის შემდეგ. კონგრესი მოუწოდებს საკავშირო კომპარტიას (ბ), ენერგიულად განაგრძოს ბრძოლა ისედაც რიცხვობრივად უმნიშვნელო ტროცკისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ, ხოლო კომინტერნის ყველა დანარჩენ პარტიას მოუწოდებს—იდეურად და ორგანიზაციულად ებრძოლონ ტროცკისტული ოპოზიციის შექმნის ყოველგვარ ცდას მათ რიგებში და სათავეშივე ჩაკლან იგი.

წინააღმდეგ ყოფილი ოპოზიციის ცილისწამებისა, პროლეტარიატის დიქტატურას საბჭოთა კავშირში საფრთხეს უმზადებს არა მისი გადაგვარება, არამედ შეიარაღებული თავდასხმა მსოფლიო ბურჟუაზიისა, რომლის ბატონობას უფრო და უფრო მეტ საფრთხეს უქმნის პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს წარმატება. ამიტომ მეექვსე მსოფლიო კონგრესი მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს, მთელი მსოფლიოს დაჩაგრულებს და გაყვლეფილებს—ყოველგვარი ძალ-ღონე იხმარონ, რათა მუშების ერთად-ერთმა სამშობლომ—საბჭოთა კავშირმა—თავიდან აიცილოს მომზადებული თავდასხმა. მთელი მსოფლიოს მშრომელებმა ყოველგვარ ზომას უნდა მიმართონ საბჭოთა კავშირის დასაცავად, შეინარჩუნონ მსოფლიო პროლეტარიატის ეს პირველი ძლევამოსილად დაპყრობილი პოზიცია, რომელიც საიმედო ბაზას წარმოადგენს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის განვითარებისათვის.

დადგენილებანი VI კონგრესის მიერ მიღებულ განცხადებათა გამო

1. ტროცკის, საპრონოვის და სხვათა საქმის შესახებ

კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე მსოფლიო კონგრესი გაეცნო საკავშირო კომპარტიიდან (ბ) გამორიცხული ტროცკის, საპრონოვის და სხვა ოპოზიციონერების განცხადებებს, რომელნიც თხოულობენ პარტიაში უკან მიღებას, და დაადგინა:

1) მსოფლიო კონგრესი მთლიანად იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებას და კომინტერნის აღმასკომის მეცხრე პლენუმის რეზოლუციას იმის შესახებ, რომ ერთიმანეთთან შეუთავსებელია, ერთის მხრით, ტროცკისტული ოპოზიციის წევრობა და მისი აზრების პროპაგანდა და მეორეს მხრით, ბოლშევიკური პარტიის წევრობა. საპროგრამო, პოლიტიკურ და საორგანიზაციო საკითხებში ტროცკისტული ჯგუფი დაექანა მენშევიზმის პოზიციამდე და ობიექტიურად გარდაიქცა ბრძოლის ორგანოდ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ მისი გამორიცხვა პარტიიდან სწორი და აუცილებელი იყო.

2) მსოფლიო კონგრესზე შემოტანილი გამორიცხულთა განცხადება ახალ საბუთს წარმოადგენს იმისას, რომ ტროცკი და ერთი მუჭა მისი მომხრეები, რომლებიც, ყოფილი ოპოზიციონერების დიდი უმრავლესობის მსგავსად, არ დაემორჩილენ მეთოთხმეტე ყრილობის პირობებს, განაგრძობენ თავიანთ ბრძოლას, თავიანთ გამთიშველ მუშაობას, ცილისწამების კამპანიას საკავშირო კომპარტიის (ბ) და პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ. კონგრესი ზედმეტად სთვლის დისკუსიას კომინტერნის მტრებთან ტროცკისტული პლატფორმის კონტრ-რევოლუციონური პოლიტიკური შინაარსის შესახებ მას შემდეგ, რაც ყველა კომპარტიის წევრთა მთელმა მასამ არა ერთხელ უარჰყო გადაჭრით ოპოზიციის თვალსაზრისი.

3) მეექვსე მსოფლიო კონგრესი ადასტურებს საკავშირო კომპარტიის (ბ) მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებას ტროცკისტების გამორიცხვის შესახებ, იგი აღიარებს აგრეთვე, რომ ოპოზიციის ლიდერების მიმართ მიღებული შემდგომი ღონისძიებანი მთლიანად გამომდინარეობდნენ რევოლუციონური საჭიროებიდან, და უარჰყოფს ტროცკის, რადეკის, საპრონოვის და სხვა გამორიცხულთა შუამდგომლობას მათი დაბრუნების შესახებ პარტიაში.

2. მასლოვის და რუტ-ფიშერის საქმის შესახებ

მეექვსე მსოფლიო კონგრესმა განიხილა მასლოვისა და რუტ ფიშერის წერილი 1928 წლის 23 აგვისტოს თარიღით, და დაადგინა:

1) მსოფლიო კონგრესი ადასტურებს მასლოვისა და რუტ ფიშერის ტროცკისტული ჯგუფის შესახებ გამოტანილ ყველა დადგენილებას, რომლებიც მიიღეს კომინტერნის აღმასკომის პლენარულმა სხდომებმა და პრეზიდიუმმა და აგრეთვე გერმანიის კომპარტიამ.

2) ამ ჯგუფის ბელადთა მთელი კონტრ-რევოლუციონური და გამთიშველი მოქმედება შეუძლებლად ხდის რაიმე ნდობის გამოჩენას მათი განცხადებების გულწრფელობისადმი და გვიდასტურებს, რომ მათ არც სურთ და არც შეუძლიათ გადაიქცნენ ბოლშევიკ მებრძოლებად გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში.

3) ამიტომ მსოფლიო კონგრესი უარჰყოფს მასლოვისა და რუტ ფიშერის შუამდგომლობას პარტიაში უკან მიღების შესახებ და გადადის დღის წესრიგზე.

4) ამავე დროს მსოფლიო კონგრესი იწონებს გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის განცხადებას იმის შესახებ, რომ გერმანიის კომპარტიაში შესვლის გზა გახსნილია ყველა იმ მუშებისათვის, რომლებიც გამორიცხულნი არიან პარტიიდან ტროცკისტული ჯგუფების წევრობისათვის, მაგრამ რომლებიც კავშირს გაწყვეტენ მასლოვთან, რუტ ფიშერთან და კომუნიზმის დანარჩენ რენეგატებთან და უყოყმანოდ დაემორჩილებიან კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა დადგენილებას.

3. სიუზანა ჟიროს და სხვების საქმის შესახებ

სიუზანა ჟირო, რომელიც საფრანგეთში იქნა გამორიცხული პარტიიდან თავისი უაღრესად ანტი-კომუნისტური მოქმედებისა და ფრაქციული მუშაობისათვის, გამორიცხულ იქნა იმ პატარა ჯგუფთან ერთად, რომელიც სცემდა ოპოზიციონურ ორგანოს „ლენინსკოე ედინსტვო“-ს, შუამდგომლობს, ზოგიერთ თავის პოლიტიკურ მეგობრებთან ერთად, რომ ისევ მიღებულ იქნას პარტიაში. იმის გამო რომ სიუზანა ჟირო და მისი პოლიტიკური მეგობრები კვლავ იცავენ თავიანთ წინანდელ ოპოზიციონურ-პოლიტიკურ პლატფორმას, არ აღიარებენ თავიანთ შეცდომებს, არ გმობენ ფრაქციულ ბრძოლას, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებდა საერთაშორისო მასშტაბით, და განსაკუთრებით იმის გამო, რომ ისინი არ სცნობენ სწორად კომინტერნის აღმასკომის მერვე და მეცხრე პლენუმის გადაწყვეტილებებს და აგრეთვე საკავშირო კომპარტიის (ბ) მეთოთხმეტე ყრილობის დადგენილებებს, რომელნიც მოიწონა ეხლანდელმა კონგრესმა,—მეექვსე მსოფლიო კონგრესი არ იწყნარებს სიუზანა ჟიროს და მისი მეგობრების, „ლენინსკოე ედინსტვო“-ს ჯგუფის წევრთა შუამდგომლობას პარტიაში მიღების შესახებ.

მეექვსე მსოფლიო კონგრესმა არ შეიწყნარა აგრეთვე აპელაცია ტრენის ჯგუფისა და „კლასობრივი ბრძოლის“ ჯგუფისა, რომლებიც ტროცკიზმის პლატფორმაზე რჩებიან.

4. ვაინკოპის ჯგუფის საქმის შესახებ

კონგრესი გაეცნო ეგრედ წოდებული ვაინკოპის ჯგუფის დეპეშა-წერილს, იმ ორგანიზაციის დეპეშა-წერილს, რომელიც თავისთავს უწოდებს: „ჰოლანდიის კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტი“.

ამ დოკუმენტებში გამოთქმულია „ერთგულება“ კომინტერნის პროგრამისა და პოლიტიკის მიმართ; მისი ავტორები სთხოვენ მსოფლიო კონგრესს—„გამონახოს გზები და საშუალებანი, რათა, ჰოლანდიაშიც საერთაშორისო კომუნისტური ტაქტიკის გამოყენების ნიადაგზე, აღდგენილ იქნას კომინტერნის ჰოლანდიის სექცია“.

ეს დოკუმენტები წარმოადგენენ ჰოლანდიის მუშების მოტყუების უხეშ ცდას. ვაინკოპის ჯგუფს არა აქვს არავითარი უფლება უწოდოს თავის-თავს კომუნისტური პარტია, მას საერთო არაფერი აქვს არც კომუნიზმთან და არც კომინტერნთან.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მთელი რიგი წლების განმავლობაში არა ერთხელ განიხილა გულდასმით ამ ჯგუფის მეთაურთა პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ყოველთვის აღსავსე იყო უხეში ოპორტიუნისტული გადახრებით, ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებშიაც—კი, როგორიც არის, მაგალითად, კოლონიურ პროფკავშირთა საკითხი. ამასთან ერთად ვაინკოპის ჯგუფის მეთაურები ისევ და ისევ არღვევდნენ ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებს, ვიდრე დისციპლინის რამდენჯერმე აშკარად დარღვევით არ დააყენეს თავიანთი თავი მსოფლიო კომუნისტური [illegible] ისინი სცდ[illegible] კომუნისტური ინტერნაციონალის ჰოლანდიის სექციას დაუპირისპირონ თავიანთ სექტანტური და გამთიშავი ორგანიზაცია. ჰოლანდიის სექცია სრულებითაც არ საჭიროებს „აღდგენას“, იგი არსებობს, როგორც მესამე ინტერნაციონალის სექცია. ჰოლანდიის რევოლუციონური მუშებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენი რიგების გარეშე დგანან, არსებობს ერთად-ერთი გზა მსოფლიო კომუნისტური პარტიის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად,—ეს გზა არის შესვლა კომუნისტური ინტერნაციონალის ჰოლანდიის სექციაში, ნაციონალური და საერთაშორისო დისციპლინის აღიარება ყოველგვარი პირობის გარეშე, პარტიის ყრილობებზე და კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კეთილსინდისიერად გატარება.

ვაინკოპის ჯგუფის დანაშაულებრივი გამთიშავი მოქმედება დიდ ზიანს აყენებს არა მარტო ჰოლანდიის პროლეტარიატის გარევოლუციონერებას, არამედ იმ მამაცი ინდონეზიელი ამხანაგების რევოლუციონურ მოძრაობასაც, რომელთაც თავიანთ ბრძოლაში ესაჭიროებათ ჰოლანდიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჰოლანდიის მძლავრი და გაზრდილი კომუნისტური პარტიის დახმარება.

ამიტომ კონგრესი მოუწოდებს ჰოლანდიის რევოლუციონურ მუშებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იმყოფებიან მის რიგებში, შევიდნენ ჰოლანდიის კომპარტიაში—მესამე ინტერნაციონალის სექციაში.

ახალი პარტიათა მიღება კომინტერნში

რეზოლუცია კუბის, კორეის, ახალი ზელანდიის და პარაგვაის კომპარტიების, ირლანდიის მუშათა ლიგის, ეკვადორის სოციალისტური პარტიის და კოლუმბიის რევოლუციონური სოციალისტური პარტიის კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

კომუნისტური ინტერნაციონალის ზრდა კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში თავის ორგანიზაციულ გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ წარმოიშვენ ახალი კომუნისტური პარტიები, ხოლო მუშათა რევოლუციონური პარტიები უერთდებიან ინტერნაციონალს.

კონგრესი ესალმება ამ ახალი სექციების შექმნისა და მათი კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის ფაქტს, რაიც წარმოადგენს ჩაგრული ხალხების მუშათა და გლეხთა მასების მხრივ ნდობის კვლავ გამოცხადებას კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი ხელმძღვანელობისადმი კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და აგრეთვე კომინტერნის მსოფლიო მასშტაბით წარმოებული მუშაობის მოწონებას.

ამიტომ კონგრესი ადასტურებს აღმასკომის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს მეხუთედან მეექვსე მსოფლიო კონგრესამდე იმის შესახებ, რომ კომინტერნის სექციებად მიღებულ იქნან კორეის, კუბის კომპარტიები და ირლანდიის მუშათა ლიგა, და, გარდა ამისა, იგი კომინტერნის შემადგენლობაში იღებს ახალი ზელანდიის კომპარტიას და პარაგვაის კომპარტიას.

გადაწყვეტილება კომინტერნში შესვლის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ეკვადორის სოციალისტური პარტიის უკანასკნელ ყრილობის მიერ და რომელიც დაადასტურა რეფერენდუმმა მთელი ეკვადორის ორგანიზაციებში, ამგვარივე გადაწყვეტილება, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული კოლუმბიის რევოლუციონური სოციალისტური პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე, წარმოადგენს იმის დემონსტრაციას, რომ ამ ორი ქვეყნის მუშათა მასები მზად არიან იბრძოლონ კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, იმ კომუნისტური ინტერნაციონალის, რომელსაც ისინი სცნობენ საერთაშორისო რევოლუციონურ მოძრაობის ერთ-ერთ ბელადათ.

მსოფლიო კონგრესი ესალმება მათ გადაწყვეტილებას კომინტერნში შესვლის შესახებ, როგორც იმის გამოხატულებას, რომ ამ ქვეყნების ჩაგრული მასები, აღზნებულნი რევოლუციონური ცეცხლით მზად არიან იბრძოლონ კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, რომელსაც შეუძლია დაიხსნას ისინი და უხელმძღვანელოს მათ განთავისუფლებისაკენ მისწრაფებაში, როგორც იმის გამოხატულებას, რომ ეს მასიური პარტიები სცდილობენ გადაიქცნენ ნამდვილ ბოლშევიკურ პარტიებად. მეექვსე მსოფლიო კონგრესი იღებს კომინტერნის სექციებად ეკვადორის სოციალისტურ პარტიას და კოლუმბიის რევოლუციონურ პარტიას. მაგრამ ითვალისწინებს, რომ ეს ორი მასიური პარტია არც თავისი სტრუქტურით და არც თავისი იდეოლოგიით ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი კომუნისტური პარტია, ამიტომ იგი ავალებს აღმასკომს—მისცეს ამ პარტიებს აუცილებელი დირექტივები და რჩევა-დარიგებანი და გაუწიოს მათ დახმარება, რომელიც ამ პარტიებს გადააქცევს ნამდვილ კომუნისტურ პარტიად, გადაახალისებს და განამტკიცებს მათ ორგანიზაციას, აწევს მათ იდეოლოგიურ დონეს, გააღრმავებს მათ კლასობრივ შეგნებას. ამავე დროს შენარჩუნებულ და უფრო მეტად გაძლიერებულ უნდა იქნას მათი მასიური ხასიათი.

ამ შვიდი ახალი სექციის მიღებით თავის რიგებში კომუნისტური ინტერნაციონალი უფრო მჭიდროთ უკავშირდება მუშათა და გლეხთა ახალ მილიონიან მასებს, რომლებსაც ჰყვლეფავენ და ჩაგრავენ იმპერიალისტური ყაჩაღები.

კომუნისტური ინტერნაციონალი, აკავშირებს რა მათ ბრძოლას მეტროპოლიის პროლეტარიატის ბრძოლასთან, საბჭოთა კავშირის განთავისუფლებული ერების მუშებისა და გლეხების ბრძოლასთან და იმპერიალიზმის მრავალი მილიონი მონების ბრძოლასთან კოლონიებში, უფრო და უფრო ფართო ნიადაგზე ავითარებს და აწყობს ჩაგრულთა რევოლუციონურ სოლიდარობას—წინასწარ პირობას მათი მსოფლიო გამარჯვებისათვის ბურჟუაზიასა და იმპერიალიზმზე.

კომინტერნის აღმასკომის და ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის ახალი შემადგენლობა

კომინტერნის აღმასკომის წევრები: ამერინო, ლედო, ბარბე, ბელლი, ბლენკლე, ბოშკოვიჩი, ბუხარინი, ვიზერი, გპოლდი, გომეცი, გორტვალდი, დექგელი, ჟაკმოტი, ილენი, კარილო, კატო, კატაიამა, კემბელი, კოლაროვი, ბელა-კუნი, კუუსინენი, კოპლენგი, ლენსკი, ლიკუანგი, ლოვსტონი, ლოზოვსკი, მაპნერი, მანუილსკი, მიცკევიჩი, მოლოტოვი, მუსო, პიკი, პესკუ, პრუხნიაკი, პიატნიცკი, რემელე, რესტი, რიკოვი, სამუელსონი, სემარი, სერკი, სიფნეოსი, სპექტორი, სკრიპნიკი, სტალინი, ტელმანი, ტორეზი, ფერდი, ფერმინი, არან ფურშტრი, ფურუბოტი, ხიტაროვი, ხოინგი, კლარა ცეტკინა, ციუპი, ჰიტო ჩატერჯი, ჩილ ბუში, შმერალი, ერკოლი, ემბერ დრო.

კომინტერნის აღმასკომის კანდიდატები

ასანო, ბიიუ, ბოშნიჩი, ვარგა, ვერჩიკი, დევისერი, განზემი, გარლანდი, გეკერტი, გიტლოუ, გოპნერი, გუაზლი, გუსევი, გიუისვუდი, დარსონო, დიმიტროვი, დორიო, ზაპოტოცკი, კალი, პოლიტი, პურმანი, რეიმანი, მონმუსო, მოიროვა, ნაოროჯი, პასკალი, პოლიტი, პურგანი, რეიმანი, რ. ჯულიო სილენი, სოკოლიკი, ტეგჩრსონი, ტური, ულბრიხტი, ფარაშონი, ფორნერი, ჩანგ პია-ო, ჩენ კუანგი, შოუკი, შნელერი, ევერტი, იაროსლავსკი.

ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის წევრები

ანველტი, ანგარეიტისი, ვაინსტონი, ვაიო, გორნიჩი, ისკროვი, კაშენი, კოდევილა, ფელიქს კონი, მაჯი, მერფი, გონდოკი, სიროლა, სოლცი, სტეფანესკუ, სტრუჩკა, სიუზანა ფაიგი, ჩანგ ჩენი, შარგი, ებერლეინი.

კოლმეურნეობათა მშენებლობა საქართველოში

ს. კ. პ. (ბ) ცეკას პრეზიდიუმის დადგენილება

მოისმინა რა ამხ. ცაგარელის მოხსენება კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ საქართველოში, ცეკას პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიწის დიდი ნაკლებობა და მცირეშეძლების გლეხთა მნიშვნელოვანი ფენების არსებობა სოფლად, რომელსაც ინდივიდუალური წესით არ შეუძლიათ საგრძნობლად გააუმჯობესონ თავისი მეურნეობა, ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებს უკარნახებს დაადგნენ კოლექტივიზაციის გზას.

მცირეშეძლების გლეხთა მისწრაფება კოლექტივიზაციისაკენ მნიშვნელოვნად გაძლიერდა პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ, განსაკუთრებით საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში.

თვით კოლმეურნეობათა მოწყობა უმეტეს შემთხვევაში სწარმოებდა პარტიულ, საბჭოთა და განსაკუთრებით სოფლის კოოპერატიული ორგანოების და აგრონომიული ძალების მონაწილეობისა და ხელმძღვანელობის გარეშე.

ამის შემდეგ წარმოიშვა წვრილი და უწვრილესი კოლმეურნეობანი ექსტენსიური და მცირესაქონლიანი მეურნეობით.

კოლმეურნეობათა ცენტრის შექმნის მომენტიდან კი კოლმეურნეობათა მშენებლობის ხელმძღვანელობა გაძლიერდა.

ცეკას პრეზიდიუმი კოლმეურნეობათა მშენებლობაში სახელმძღვანელოდ მომავლისათვის შემდეგ დებულებებს იძლევა:

1) აღებულ იქნას მტკიცე კურსი კოლმეურნეობათა მოწყობისა და არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებისაკენ როგორც ახალი მეურნეობების ჩაბმით, ისე მეზობლად მყოფ წვრილ კოლმეურნეობათა გაერთიანების გზით. ამასთან დაკავშირებით წინადადება მიეცეს მიწადმოწყობის ორგანოებს 1929 წლის 1 იანვრამდე დაამთავრონ კოლმეურნეობათა მიწადმოწყობა; ეს მუშაობა კოლმეურნეობათა შემდეგი ზრდის და განმტკიცების უმთავრეს მომენტად უნდა იქნას მიჩნეული.

2) შესწყდეს მიწის ნაჭრების გამოყოფა კოლმეურნეობიდან გამოსულ წევრთათვის. შემუშავებულ და საკანონმდებლო ორგანოებში იქნას შეტანილი კანონის პროექტი, იმის შესახებ, რომ აიკრძალოს საზოგადოებრივი ფონდიდან მიწის ნაჭრების გამოყოფა კოლმეურნეობათაგან გამოსული წევრებისათვის. ეს წევრები დაკმაყოფილებულ უნდა იქნენ სახელმწიფო ფონდიდან, ან იმ პირთა მიწის ნაჭრებით, რომლებიც კოლმეურნეობაში ახლად შედიან.

3) აუცილებელია კოლმეურნეობათა მოწყობა მიმართულ იქნას უფრო ძვირფასი ტეხნიკური კულტურების და აგრეთვე მესაქონლეობის განვითარების ხაზით.

ამ მიზნით მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს რაიონები ცალკე კულტურების რენტაბელობის და საქონლიანობის გამოსარკვევად, რომლის მიხედვითაც უნდა მოეწყოს კოლმეურნეობანი.

4) მიღწეულ იქნას არსებული და ახლად მოსაწყობ მარტივ გაერთიანებათა გადასვლა კოლმეურნეობათა უმაღლეს ფორმაში (სასოფლო-სამეურნეო არტელები, კომუნები) ამ ფორმების უპირატესობაში დარწმუნებისა და ეკონომიური წაქეზების საშუალებით. ამასთან ერთად ხელი შეეწყოს მარტივ გაერთიანებათა ქსელის შემდგომ გაფართოებას.

5) აუცილებლად იქნას ცნობილი ახლად დასამუშავებელი მიწების მაქსიმალურად გამოყენება სასოფლო-მეურნეობის კოლექტიური ფორმების განსავითარებლად.

ამ მიზნით დაევალოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს მიწადმოწყობის სამუშაოთა ჩატარების დროს იმ მიწებიდან, სადაც ახლად ტარდება მელიორაცია (ტირიფონის, ალაზნის ველი და სხ.) გამოყოფილ იქნას მიწის ისეთი სივრცეები, რომლებიც ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნება მსხვილ კოლმეურნეობათა მოსაწყობად.

6) აუცილებლად იქნას ცნობილი ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო იარაღის (ტრაქტორები, მანქანები და სხვ.). მიწოდება პირველ რიგში კოლმეურნეობათათვის და აგრეთვე დამხმარე წარმოებათა განვითარება სას.-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებლად (წისქვილები, ზეთის სახდელი ქარხნები და სხ.).

ამასთან ერთად, კოლმეურნეობათათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდების დარგში არსებული დეფექტების აღმოფხვრის მიზნით წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს შეისწავლოს და გამოარკვიოს მანქანებისა და იარაღების ტიპი ცალკე თვითეული რაიონისათვის.

წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს თავის დროზე წარადგინოს სათანადო ორგანოში კოლმეურნეობათათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოთხოვნილება.

7) კოლმეურნეობათათვის კრედიტების მიცემის დარგში შეტანილ იქნას მეტი გეგმიანობა და აღებულ იქნას კურსი კოლმეურნეობათათვის კრედიტების კომპლექტური წესით მიწოდებისაკენ, (ე. ი. კრედიტები თანაბრად უნდა იქნას განაწილებული წარმოების ყოველი ელემენტისათვის—მანქანებისა, საქონლისა, სამეურნეო შენობებისა, თესლისა და სასუქისათვის). ამასთან ერთად კრედიტების მიწოდება კოლმეურნეობათათვის აუცილებლად უნდა მოხდეს თვით კოლმეურნეობათა სამეურნეო გეგმების მიხედვით და შეთანხმებულ იქნას კოლმეურნეობათა ცენტრის მუშაობის გეგმასთან. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გააძლიეროს კონტროლი გაცემული კრედიტების სისწორით გამოყენებაზე.

8. სამუშაო ხელფასის ფორმა კოლმეურნეობებში უნდა ეფარდებოდეს კოლმეურნეობათა სხვადასხვა სახეებს და ემყარებოდეს შრომის პრინციპს. ხელფასის საკითხში უნდა დაცულ იქნას, როგორც კოლმეურნეობის ცალკე წევრთა ინტერესები, ისე კოლმეურნეობის საერთო ინტერესი, ამავე დროს უნდა წავაქეზოთ ხელფასის ცალ-ცალკე გაცემაზე გადასვლა.

9. ვინაიდან კოლმეურნეობათა მშენებლობაში მეტად სუსტია აგრონომიული ხელმძღვანელობა, წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების კომისარიატის ორგანოებს გააძლიერონ აგრონომიული დახმარება თავიანთ რაიონებში კოლმეურნეობებზე რაიაგრონომების მიმაგრების გზით.

10. დაუშვებლად ჩაითვალოს კოლმეურნეობებში დაქირავებული შრომის გამოყენება. ეს დასაშვებია მხოლოდ სეზონური მუშაობის დროს სათანადო კანონის საფუძველზე.

11. ც. კ.-ის პრეზიდიუმი „სოფლის კავშირი“-ს და სხვა დამმზადებელ ორგანოთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აუცილებელია კოლმეურნეობათა პროდუქციის გასაღების საქმე სავსებით ამ ორგანოთა ხელში გადავიდეს. ეს გადასვლა უნდა მოხდეს კონტრაქტაციისა და კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ სპეციალურ ხელშეკრულებათა დადების გზით. ხელშეკრულებაში უნდა გათვალისწინებული იქნას ის გარემოება, რომ კოლმეურნეობებმა უსათუოდ ჩააბარონ თავისი პროდუქცია დამამზადებელ ორგანოებს.

12. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს ცეკას პლენუმის უკანასკნელი დადგენილების თანახმად დააჩქაროს ყველა სახის კოლმეურნეობაში წევრთა სოციალური შემადგენლობის შემოწმება საერთოდ, კერძოდ კი—კოლმეურნეობების ხელმძღვანელი ნაწილისა,—იმ მიზნით, რომ განდევნილ იქნას კულაკური და სოციალურად უცხო ელემენტები. ამასთანავე საჭიროდ იქნას აღიარებული კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ შემადგენლობის (აქტივის) შესწავლის ჩატარება. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს შემუშაოს ღონისძიებანი კოლმეურნეობების მუშაკების მოსამზადებლად. ამ მიზნისთვის საჭიროდ იქნას აღიარებული მაზრებში კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მოსამზადებლად მოკლე ვადიანი კურსების მოწყობა.

13. წინადადება მიეცეს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს გააძლიეროს კოლმეურნეობებში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და უახლოეს ამოცანად დაისახოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კოლმეურნ. წევრთა შორის.

კოლმეურნეობათა ცენტრმა უნდა შეისწავლოს საკითხი კოლმეურნეობათა საკუთარი კაპიტალის დაგროვებისა და სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც მოხმარდება საბავშვო ბაგების, სკოლების, სამკითხველოების მოწყობის, შრომის უნარდაკარგულთა უზრუნველყოფას და სხვ.

14. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს ახალი სასწავლო წლიდან მაღალ და საშუალო სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებისა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების პროგრამებში შეიტანოს კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხები.

15. წინადადება მიეცეს სოფლად მუშაობის განყოფილებას, ფართოდ გააშუქოს პრესაში კოლმეურნეობათა ცხოვრებისა და მშენებლობის საკითხები, აგრეთვე მიიღოს ზომები იმისათვის, რომ გამოიცეს პოპულიარული საგლეხო ლიტერატურა კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხებზე.

16. კოლმეურნეობათა სრულიად საკავშირო ყრილობის დადგენილების თანახმად ახლო მომავალში მოწვეულ იქნას კოლმეურნეობათა სექციის საბჭო, იმ მიზნით, რომ სექცია გადაკეთებულ იქნას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალურ კავშირად.

17. საჭიროდ იქნას ცნობილი კოლმეურნეობათა სექციების მოწყობა აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

18. აღნიშნავს რა პარტიისა და კომკავშირის წევრების სუსტად ჩაბმას კოლმეურნეობათა მოძრაობაში, პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანოებს მიიღონ ზომები, პარტიული და კომკავშირელთა მასის ფართოდ ჩასაბმელად კოლმეურნეობათა მშენებლობაში.

მანევრები გორის მაზრაში

უკანასკნელი დღე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მანევრების უკანასკნელ დღეს „ლურჯებმა“ და „წითლებმა“ საუკეთესოდ ჩააბარეს გამოცდა ტაქტიკაში. ამ დღეს მათ მიერ შესრულებულ იქნა უძნელესი ტაქტიკური ამოცანა: მტრის დადევნება, ბრძოლის ველის დატოვება და უკან დახევა.

მდგომარეობა ამ დღეს იყო შემდეგნაირი: „ლურჯებმა“ არახელსაყრელი ოპერაციის შემდეგ, დაიხიეს ზურგის საზღვრისაკენ. უკან დახევა ჩატარდა სრული წესრიგით, რაც ასეთ შემთხვევაში, ძნელი შესასრულებელია. ყოველი მეთაური, ყოველი წითელი არმიელი შეგნებულად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და თავისი მოქმედებით უწყობდა ხელს ნაწილის მთლიანობის დაცვას, რომ, საჭირო მომენტში, ნაწილი მზად ყოფილიყო დაეწყო თავდასხმა.

ამ დღეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის, რომ წითელი არმიის ნაწილები საუკეთესოდ არიან მომზადებულნი და არმიელნი ნათლად არიან გარკვეულნი ტაქტიკურ ამოცანებში.

საუკეთესოდ იქნა ჩატარებული „ლურჯების“ მიერ ბრძოლის ველის დატოვება ანუ გამოსვლა ბრძოლიდან.

გაიცა სათანადო ბრძანება, „ლურჯების“ ერთმა ნაწილმა იწყო ბრძოლის ველის დატოვება შეუმჩნევლად, რათა მოწინააღმდეგეს არ გაეგო მათი განზრახვა და არ მიეღო სათანადო ზომები.

ბრძოლიდან გამოსვლა ჩატარდა სრული წესრიგით, გეგმიანად. არ ჰქონდა ადგილი არევ-დარევას, პანიკას, უაზრო მოქმედებას და სხვა.

„წითლებმა“ შეამჩნიეს, რომ „ლურჯების“ ერთი ნაწილი სტოვებს ბრძოლის ველს და იწყეს მზადება ხელის შესაშლელად.

„ლურჯებმა“ სწრაფად მიიღეს ზომები თავდაცვისათვის. იმ ნაწილებმა, რომლებიც ჯერ კიდევ იდგნენ თავის პოზიციებზე, აამუშავეს არტილერია და ტყვიამფრქვევები და მისცეს საშუალება ნაწილებს დაეტოვებიათ უმტკივნეულოდ ბრძოლის ველი.

ყურადღებას იპყრობდა ის გარემოება, რომ პოზიციების სწრაფი შეცვლა და არტილერიის მოქმედება, სავსებით ეთანხმებოდა სარდლების მიერ წინასწარ შემუშავებულ გეგმას.

ამ დღეს „წითლების“ მოქმედება იყო სავსებით მიზანშეწონილი. მათ დროულად შეიტყვეს „ლურჯების“ მიერ ბრძოლის ველის დატოვება და მოაწყვეს მტრის დადევნება. „წითლების“ მიერ თანდათანობით გამოყოფილ იქნა მტრის დასადევნებლად ეშელონები, რომლებიც სრული წესრიგით ასრულებდნენ თავის მოვალეობას.

ამ დღეს პირველად „ლურჯების“ მიერ გამოყენებულ იქნა მხრჩოლავი გაზები. მათ მიერ მოწამლულ იქნა მდ. ტელიანის ხევი ერთი მეოთხედი კილომეტრის მანძილზე, რათა ამით შეეჩერებინათ მოწინააღმდეგის წინსვლა.

ხევის მოწამვლამ გამოიღო საუკეთესო შედეგი: მოწინააღმდეგე იძულებული შეიქნა შეჩერებულიყო დიდის ხნით, რითაც ისარგებლეს „ლურჯებმა“ და გავიდნენ სამშვიდობოზე.

ელ. ხუციშვილი.

4 სექტემბერი, ქ. სურამი.

ალლუმი სურამში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

4 სექტემბერს, დილით, ქ. სურამის მახლობლად შესდგა წითელი არმიის ნაწილების გრანდიოზული ალლუმი-მიტინგი მანევრების დასრულების აღსანიშნავად.

რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ, თითქმის ორი კილომეტრის მანძილზე, გამწკრივებული იყვნენ მანევრებში მონაწილე წითელი არმიის ყველა ნაწილები. ცალკე იყვნენ გამოყოფილი თავდაცვა - ავიაქიმის და წითელი ჯვრის რაზმები.

სრულ 11 საათზე გამოჩნდა არმიის სარდლის მოადგილე ამხ. ფაბრიციუსი, რომელსაც თან ახლდნენ ადგილობრივი აღმასკომის, პარტკომის და ხაშურის რკინის გზის მუშების წარმომადგენელნი. ამხ. ფაბრიციუსმა, მისალმების და ალლუმის მიღების შემდეგ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა მანევრების მსვლელობის შესახებ.

— მე გადავსცემ არმიის სარდალს ამხ. ლევანდოვსკის — სთქვა ამხ. ფაბრიციუსმა — რათა მან აცნობოს სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს, რომ კავკასიის 1-ლი დივიზიის და 1-ლი ქართული დივიზიის ნაწილები წარმოადგენენ სავსებით ბრძოლისუნარიან ნაწილებს, რომლებსაც შეუძლიათ აწარმოონ ბრძოლა ყველა პირობებსა და გარემოებაში. ჩატარებულმა მანევრებმა სავსებით დაამტკიცა ეს.

ამხ. ფაბრიციუსის სიტყვის შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ხაშურის აღმასკომის, პარტკომის და რკინის გზის მუშების წარმომადგენლებმა. მათ მიულოცეს წითელ არმიელებს და მეთაურებს მორიგი გამარჯვება სწავლების ფრონტზე და აღუთქვეს, რომ სურამის და ხაშურის მშრომელი მოსახლეობა ყოველთვის მზად იქნება გვერდში ამოუდგეს წითელ არმიას.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ რუსული და ქართული ნაწილების წითელი არმიელები. მათ განაცხადეს, რომ შემდეგში გამოიჩენენ მეტ უნარს, რათა ღირსეულად შეასრულონ მეთაურთა ყოველივე დავალება და გაამართლონ ის იმედები, რომლებსაც ამყარებს მათზე სარდლობა და მშრომელები.

ალლუმის დასასრულს ამხ. ფაბრიციუსმა მიმართა სიტყვებით თავდაცვა-ავიაქიმის რაზმელებს. თავის სიტყვაში მან აღნიშნა რაზმელების საუკეთესო მოქმედება მანევრების დროს.

ალლუმის დასრულების შემდეგ ნაწილები მწყობრად დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ბინებზე.

ელ. ხუციშვილი.

მანევრების გარჩევა

4 სექტემბერს, დღის 3 საათზე, ქ. სურამის საზაფხულო კლუბში შესდგა მანევრების გარჩევა. გარჩევას დაესწრო არმიის სარდლის მოადგილე ამხ. ფაბრიციუსი, მანევრების მთავარი ხელმძღვანელი აპარატი, ნაწილების მეთაური და პოლიტ შემადგენლობა.

გარჩევაზე გამოირკვა რომ წითელი არმიის ნაწილების მიერ საზაფხულო მეცადინეობა ჩატარებულია წარმატებით და ნაწილებს საუკეთესოდ შეუთვისებიათ ბრძოლის წარმოების ფორმები და მეთოდები.

ვრცელი სიტყვა მანევრების მსვლელობის შესახებ წარმოსთქვა ამხ. ფაბრიციუსმა, რომელმაც ხაზი გაუსვა კავკ. წითელ-დროშოვან არმიის ნაწილების მომზადებას ბრძოლისათვის.

პარტიული ცხოვრება

თათბირი პარტ-ინფორმაციის შესახებ

მოსკოვი, 6 დეკემბერი. დაიხურა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან გამართული მეორე საკავშირო თათბირი ინფორმაციის შესახებ. რეზოლუციაში ამხ. ცირულის მთავარი მოხსენების გამო, თათბირმა აღნიშნა, რომ განხორციელებულია პარტიის სამეურნეო-პრაქტიკული ამოცანები, ფართოდ თვითკრიტიკის შემდგომი განვითარება. თათბირი მოითხოვს პარტიულ მუშაობისაგან მეტ მოქნილობას, პარტიული და უპარტიო მასების განწყობილების სწრაფად გაგებას და დაწვრილებით შესწავლას. ყოველივე ეს შეუძლებელია, თუ პარტიული ინფორმაციის საქმე კარგად არ იქნება დაყენებული, თუ არ მოხდება სერიოზული გარდატეხა მის მიმართ პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად თათბირმა სცნო საინფორმაციო მუშაობის ტემპის გაძლიერება. ინფორმაციამ უნდა გარდაქმნას მთელი თავისი მუშაობა იმ მხრივ, რომ მთავარი ყურადღება მიაქციოს პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას, დაწყებული ქვედა უჯრედებიდან. საჭიროა უფრო დაწვრილებით შესწავლილ იქნას მასიური მუშაობის სხვადასხვა ფორმების გამოცდილება.

პარტიული ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მთელი მისი მუშაობა აგებულია თითქმის მარტო წერილობით მასალაზე. თათბირმა დაადგინა—შემცირებულ იქნას წერილობითი მასალა და უფრო ფართოდ გამოყენებულ იქნას ცოცხალი კავშირის ყველა ფორმა (საუბარი ჩაბმულ ამხანაგებთან, სხვადასხვა გამოკვლევის მასალა, გაზეთებში მოთავსებული შენიშვნები, წერილები, ცალკე კომუნისტების და უპარტიო მუშების და გლეხების წინადადებები).

თათბირმა აღნიშნა საინფორმაციო მუშაობის სისუსტე თითქმის ყველა უპარტიო ორგანიზაციაში და საჭიროდ სცნო, რომ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და პარტიულმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება მიაქციონ საინფორმაციო მუშაობის ხელმძღვანელობას, გადაათვალიერონ და განამტკიცონ საინფორმაციო მუშაკთა შემადგენლობა უპარტიო ორგანიზაციებში. ინფორმაციის მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნეს პარტიული აქტივი.

თათბირმა მიიღო სხვადასხვა პრაქტიკული წინადადება საინფორმაციო მუშაობის გასაუმჯობესებლად პარტიის ქვედა ფენებში და უპარტიო ორგანიზაციებში. (ადს).

საკ. კომკავშირის ცეკას პლენუმის გადადება

მოსკოვი, 6 სექტემბერი. საკავშირო კომკავშირის ც. კ. პლენუმი გადატანილია 10 ოქტომბრისათვის. (ადს).

მასიური მუშაობის ნაკლი და მიღწევები

ქუთაისი

ქუთაისის ორგანიზაციის უჯრედებში პარტიის ძირითადი დირექტივები მასიური მუშაობის შესახებ სუსტათ იყო შეთვისებული, ამიტომაც ქვედა საფეხურის ორგანიზაციებში მასიური მუშაობა მოისუსტებდა.

უკანასკნელ ხანებში მასიურ მუშაობას გაძლიერება დაეტყო. ბიუროების გადარჩევის შემდეგ ახალი ბიუროების მუშაობის მთავარი ამოცანა იყო მუშების მეტი ჩაბმა საწარმოო ცხოვრებაში, მეტი ყურადღება მიქცევა დაწესებულება-წარმოებებში მასიური მუშაობის გაძლიერებისა და საწარმოო ეკონომ-თათბირების გამოცოცხლებისათვის.

ქალაქად ამ მუშაობამ უკვე ნაყოფი გამოიღო. გაძლიერდა მუშების მონაწილეობა წარმოების ცხოვრებაში, საწარმოო კომისიების და თათბირების სხდომები სისტემატიურად იმართება, დასწრება თათბირებზე საშუალოდ 80—85 პროც. უდრის.

საწარმოო თათბირები დიდ როლს თამაშობენ წარმოების ცხოვრებაში. მაგ., მაუდის საქსოვ ფაბრიკაში წინად არ იყო საკმარისი სალებავი, არ ჰქონდათ წყალსაქაჩავი მანქანა, შემჩნეული იყო ტეხნიკური პერსონალის სისუსტეც, რის მიზეზით შრომის ნაყოფიერება არ იზრდებოდა. ამჟამად საწ. თათბირის მუშაობით ყველა ეს ნაკლი გამოსწორებულია.

ტყიბულის მაღაროებში საწარმოო თათბირების სხდომაზე გამოირკვა, რომ სამუშაოები არ არის მოწესრიგებული, ათის თავები არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას, ბინები შეუკეთებელია, მექანიკური სამქრო არ არის მასალებით უზრუნველყოფილი და ზოგიერთ სამუშაოზე მუშებს არა რაციონალურად იყენებენ.

ამას გარდა გამოირკვა, რომ ზოგიერთი საკითხები, რომელთა მოგვარება ადგილობრივ შეიძლება, გადააქვთ ტრესტში, სადაც ისინი მთელი კვირაობით განუხილავი რჩება. ცუდად არის დაყენებული საამშენებლო მასალის მოწოდების საქმე, მაგ. სახლების ასაგებად პირველ რიგში მოიტანეს სახურავი, რამოდენიმე თვის შემდეგ კი საძირკვლის მასალა, რის გამოც პროგრამის შესრულება დიდად შეფერხდა.

საწარმოო თათბირების წინადადებათა განხორციელების გზით ყველა ეს დეფექტი თანდათანობით ისპობა.

გაიხსნა ათისთავების მოსამზადებელი კურსები. განათლების საკითხი მოწესრიგდა. ბუღალტერიაში შტატი 19 კაციდან 9-დე შემცირდა და სხვ.

ნ. მესხი.

მეორე ყრილობის 25-ი წლის თავზე

ხაშური

29 აგვისტოს ხაშურის რკ. გზ. კლუბში შესდგა ქალაქის კომუჯრედების და დეპოს მუშების გაერთიანებული სხდომა, პარტიის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

ვრცელი მოხსენებით მეორე ყრილობისა და პარტიის 25 წლის თავის შესახებ გამოვიდა ამხ. თენგიზ ულენტი, რომელმაც დაწვრილებით გაშუქა პარტიის ბრძოლის პირობები მეორე ყრილობამდე და მის შემდეგ. მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ძველი მუშები.

საზეიმო სხდომამ მოხსენების გარშემო მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია: „ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 25 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა არ დაკარგა მარქსისტული გზა და მთელ რიგ გამარჯვებებს მიაღწია.

საზეიმო სხდომა აღუთქვამს პარტიას, რომ ის საჭირო მომენტში მზად იქნება მუშათა კლასის მონაპოვართა დასაცავად“.

არა.

ზუგდიდის მაზრა

კამპანიის კარგად ჩატარების მიზნით პარტიული კომიტეტის მიერ ადგილებზე დაგზავნილ იქნა სათანადო ცირკულიარი, რომლის მიხედვით აგვისტოს პირველი რიცხვიდან ეწყობოდა პარტიის და კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრებები, სადაც შუქდებოდა საკითხი პარტიის მე-2-რე ყრილობის შესახებ.

28 აგვისტოს ქალაქ ზუგდიდში შესდგა პარტიის, კომკავშირის და პროფკავშირის წევრთა გაერთიანებული კრება, სადაც დაახლოვებით 200-მდე კაცი დაესწრო. კრებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სამაზრკომის მდივანი ამხ. ჟვანია, რომელიც დეტალურად შეეხო მეორე ყრილობის მიერ გარჩეულ საკითხებს.

დასასრულ პირად მოგონებებით გამოვიდა რამოდენიმე ძველი მომუშავე.

ი. ქვარაცხელია.

ქალაქის რაიკომის პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედების მდივნებისა და საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების ფრაქციების წევრთა მონაწილეობით.

პირველ საკითხად ამხ. მებუკემ წაუკითხა პლენუმს გეგმა და პრაქტიკული ღონისძიებანი რაიონში სადელეგატო კრებათა გადარჩევის შესახებ.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. მარკმანის მოხსენება საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების მომავალ გადარჩევებზე.

მომხსენებელი შეჩერდა ამ კამპანიის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ საჭიროა კამპანია ჩატარდეს ფართო თვითკრიტიკის ლოზუნგით, რათა გამომჟღავნებულ იქნეს პროფესიონალურ ორგანიზაციების დეფექტები.

კრებები კამპანიის დროს ადგილობრივ მოეწყობა ორჯერ. პირველად მოისმენენ კომიტეტების მოქმედების ანგარიშს, მეორე კრებაზე კი მოხდება არჩევნები.

საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების „შემთხვევითი შემადგენლობათ“ თავიდან ასაცილებლად არჩევნები მოხდება მუშათა წყებებისა და აგრეთვე სამქროების მიხედვით.

ამხ. მარკმანის მოხსენების შესახებ პლენუმის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ავალებს ადგილობრივ პარტუჯრედებს ხელი შეუწყონ კამპანიის ჩატარებას და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასში.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. ციხელაშვილის მოხსენება პარტიული განათლების შესახებ.

ამხ. ციხელაშვილის სიტყვით, უკანასკნელ დრომდე პარტგანათლების საკითხებს პარტიული ფართო მასა სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. ყურადღება კი საჭიროა განსაკუთრებით დღეს, როდესაც პარტიული განათლება ვითარდება ნებაყოფლობის პრინციპზე.

ადგილობრივმა უჯრედებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიულ განათლებას, ეს საკითხი მათ თავისი მუშაობის ცენტრალურ საკითხად უნდა მიიჩნიონ.

ამჟამად ჩვენს წინ სდგას დიდი ამოცანა: უნდა დავასრულოთ პარტიული ქსელის სკოლების მოწყობა სექტემბრის განმავლობაში. ეს ამოცანა უნდა განვახორციელოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს.

მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო პრაქტიკული წინადადებები.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. მაისურაძის მოხსენება კომკავშირის რაიკომის მუშაობის შესახებ.

მუშა ახალგაზრდობა—სთქვა მომხსენებელმა,—ამჟამად აშკარად იჩენს მისწრაფებას თავისი კვალიფიკაციის აწევისაკენ. მაგრამ ამ მისწრაფების სავსებით დაკმაყოფილება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მოწაფეობასთან მუშაობა წარმოებაში სუსტადაა დაყენებული. ხშირად შეგირდის მოვალეობა ოსტატისათვის იარაღების მიწოდებით განისაზღვრება.

ახალგაზრდობის ეკონომიურ უზრუნველყოფის დარგში გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები. გასულ წელთან შედარებით, ახალგაზრდა მუშების თვიური ხელფასი 10 მანეთით გაიზარდა.

მუშა-ახალგაზრდობის ავტორიტეტი განმტკიცდა, კულტურულ, პროფესიონალურ და სხვა მუშაობაში ახალგაზრდობა კომკავშირის ხელმძღვანელობით მოწინავე რიგებში სდგას.

შეეხო რა ორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების საკითხს მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი სიძნელე, რის მიზეზადაც უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რაიონში მოსწავლე ახალგაზრდობის პროცენტი დიდია.

ახალგაზრდათა სექციების მუშაობა კლუბებში—სთქვა ამხ. მაისურაძემ,—გაუმჯობესდა, მიუხედავად ამისა სექციებს კიდევ ბევრი დეფექტი აქვთ, რომელთა გამოსასწორებლად სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული.

პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირზე, განსაკუთრებით კომუჯრედების მხრივ, ძლიერ მოისუსტებს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში ორატორებმა აღნიშნეს პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და გაძლიერების აუცილებლობა.

ეკონომმუშაობის დარგში ორატორები საჭიროდ სთვლიდნენ ურთიერთობის მოწესრიგებას ოსტატებსა და შეგირდებს შორის, რაც აუცილებელი პირობაა ახალი თაობისათვის კვალიფიკაციის მისაცემად.

აღნიშნულ იქნა აგრეთვე ავადმყოფური მოვლენები კომკავშირის ორგანიზაციაში და მათთან ბრძოლის აუცილებლობა.

მიღებულ რეზოლუციაში პლენუმმა ორგანიზაციის საერთო მდგომარეობა ჯანსაღად მიიჩნია. ჩატარებული მუშაობა კი სცნო დამაკმაყოფილებლად. კომკავშირის რაიკომს მიეცა მთელი რიგი პრაქტიკული მითითება.

ამით პლენუმი დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

სივიწროვეში და სიბნელეში ვიღრჩობით

(თბილისის ალმასკომის საყურადღებოდ)

თბილისის საბჭოს აქვს ერთად ერთი ელექტრო-მექანიკური ქარხანა „თემქა", რომელიც ასრულებს „ზაჰესი"-ს ელდენზე გადასაყვანი ქარხანა-ფაბრიკების, ქუჩა-ბინების განათების, ტელეგრაფ-ტელეფონების, რადიოსადგურების, ელექტრონის სადგურების სამუშაოებს, და აწარმოებს ელძრავების, შეკეთებას და სხვა ყოველგვარ სამექანიკო-საზეინკლო სამუშაოებს. ეს ქარხანა მუშაობას აწარმოებს როგორც თბილისში, ისე საქართველოში, და ნაწილობრივად ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ქალაქებშიაც. თბილისის საბჭოს ეს ერთად ერთი ქარხანა მოთავსებულია ყოფილ საცხოვრებელ შენობაში, რომელიც ქარხნისათვის სრულიად გამოუსადეგარია. შენობა პატარაა. ზრდილი და არც ეზო მიდამო აქვს იმდენი, რომ შესაძლებელი იყოს ქარხნის გაფართოება. ამის შესახებ თემქას მუშებმა მრავალჯერ აღძრეს სათანადო ორგანოების წინაშე საკითხი, და მოვითხოვდით ამხ. კალინინის სახელობის ქარხნის გადმოცემას. სამწუხაროდ ეს საკითხი დღემდის არ არის გადაწყვეტილი, მიუხედავად იმისა, რომ ამხ. კალინინის სახელობის ქარხანაში მუშაობს მხოლოდ 40—50 მუშა, იმ დროს, როდესაც იქ თავისუფლად თავსდებოდა უწინ 500-ზე მეტი მუშა, ამჟამად კალინინის სახელობის ქარხანა თითქმის ცარიელია. „თემქა" კი აუტანელ სივიწროვეს განიცდის. ამ მდგომარეობაში მუშაობა უხდება 200-ზე მეტ მუშას. გარდა ამისა, „თემქას" დაზგა და სამუშაო იარაღები ძალზე მცირე რაოდენობით და ისიც ძველი აქვს. მას არა აქვს აგრეთვე საკუთარი საბრუნავი თანხები, რის გამო ნაწარმოების დროზე დამზადება ვერ ხერხდება. დაზგა-იარაღების და მასალების შეძენაც შეუძლებელი ხდება. ყოველი ეს ხაზგასმით აღვნიშნეთ ერთხელ კიდევ მუშებმა „თემქას" კომუჯრედის ღია კრებაზე. 31 აგვისტოს თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგის საინფორმაციო მოხსენების დროს. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რათა ამხ. კალინინის სახელობის ქარხანა გადმოგვცეს „თემქას" გასაფართოებლად და გარდა ამისა მიეცეს „თემქას" საბრუნავი თანხები, დაზგა-სამუშაო იარაღების და საჭირო მასალების შესაძენად.

ამ დადგენილების თბილისის საბჭოს პრეზიდიუმში განსახილველად გადატანა კრებამ დაავალა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგეს და იმედი გამოსთქვა, რომ თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი მოგვაქცევს ყურადღებას, მიიღებს ზომებს „თემქას" ამხ. კალინინის სახელობის ქარხანაში გადასატანად და უზრუნველყოფს მას საბრუნავი თანხებით. კრებამ დაავალა აგრეთვე მუშა დეპუტატებს ეს საკითხები დასვან საფინანსო-სამრეწველო სექციის სხდომაზე, რათა სექციამ გამოჰყოს კომისია საკითხის ადგილობრივად შესასწავლად. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმო და საფინანსო სამრეწველო სექციავ, მოგვაქციე ყურადღება!

ზეინკალის თანაშემწე

სამტრედიის ძაფსალებ ქარხანაში

სამტრედიის ძაფსალებ ქარხანაში უმცროს მოანგარიშის თანამდებობაზე მსახურებს ვინმე ცომაია. მან თავისი ლაქუცობით ადმინისტრაციის წინაშე ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ მიანდვეს მუშებისათვის ჯამაგირის დარიგება. ამის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი არ გვექნებოდა, მაგრამ ცომაია სისტემატიურად აკლებს მუშებს ხელფასს, ზოგს 20 კაპ., ზოგს 50 კ და ზოგჯერ მეტსაც. ამასთანავე ის სასტიკათ უკრძალავს მუშებს ჯამაგირის მიღების დროს ფულის დათვლას.

ქარხანაში 500 მუშა მუშაობს. ჯამაგირი თვეში ორჯერ რიგდება და ცომაია ასეთი ხრიკებით კარგათ მოზრდილ თანხებს აგროვებს.

ამის შესახებ მუშებმა აცნობეს როგორც ქარხნის გამგეს, ისე ქარხკომსაც, მაგრამ ჯერჯერობით ზომები არავის არ მიუღია. საჭიროა ასეთი აფერისტობისათვის ცომაიას პასუხი მოსთხოვოს ქარხნის ადმინისტრაციამ.

დაინტერესებული.

მოგვაშორეთ გამხეცებული ხულიგანი

არსენალის ქუჩაზე, სახლი № 18, სხვათა შორის სცხოვრობს მ. სოლომონოვას ქალი, რომელმაც პირველ სექტემბერს უმიზეზოდ აუტეხა ჩხუბი ამავე სახლში მცხოვრებ ერთ-ერთ მდგმურს სოლომონოვამ ლანძღვა გინება არ იკმარა და ქვები დაუშინა მას. ცოტა ხნის შემდეგ სახლშიაც მიუვარდა მეორე სართულზე ქვებით ხელში, ჩალეწა ყველა ფანჯრები და მინის ნატეხებით დაიჭრა 5 წლის ბავში. ამ ამბის მოწმე დიდძალი ხალხი იყო, ხოლო სოლომონოვას ქმარი და მისი მეგობარი კი „სეირს" უყურებდენ.

სოლომონოვას ქალის მიერ ასეთი თავაშვებულება პირველი როდია. მან სცემა [illegible] ვამაკაძის ქალს, რისთვისაც სამი თვის ციხე ქონდა მისჯილი, რაც ორი წლის პირობითი სასჯელზე შეუცვალეს. ქვით თავში დასჭრა მეზობლის 12 წლის ქალი, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მერვე უბნის მილიციელს, სცემა მეზობელ ბაბაევის ქალს და სხვა. ერთი სიტყვით შეუძლებელია ამ ადამიანის მიერ ჩადენილი ყველა სიმხეცის ჩამოთვლა.

დაზარალებულმა აცნობა მერვე უბნის მილიციას, მაგრამ სათანადო ზომები არ მიუღიათ.

საჭიროა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიექცეს და ერთხელ და სამუდამოდ ალაგმონ ეს გახულიგნებული დედაკაცი.

მაყურებელი.

აფერისტი თანამშრომელი

თბილისის -1ლ საწარმოო შრომის სამაქარლამო კოლექტივში მსახურობდა ვინმე მიშა პაპიანცი სავაჭრო აგენტის თანამდებობაზე. ამ ვაჟბატონმა 130 მანეთი მიითვისა, ზოგი სახაზინო და ზოგიც თვით მოსამსახურეებს გამოსტყუა იმ მიზნით, რომ ვითომც მას შეეძლო თეთრეულების გამოტანა მუშკოოპიდან, რის შემდეგ პაპიანცი მიიმალა.

მან ეს აფერისტობაც არ იკმარა და სტუმრად ეწვია სოფ. ხაზანლუხში თავის ბიძაშვილ გლეხს პაპიანცს, როგორც ამ გლეხმა განაცხადა, მიშა პაპიანცი ერთი კვირა დარჩა მასთან და განუცხადა, ვითომც მას დავალება ქონდა სამაქარლამო კოლექტივისაგან შეეძინოს კარგი მეწველი ძროხა. გლეხმა აღუთქვა პაპიანცს თუ კარგ ფასს გაიმეტებდა ის მიყიდდა მას ძროხას. პაპიანცმა თავის მოკეთე გლეხს ძროხა გამოსტყუა და ფულის მისაღებად უბრალო ნაგლეჯი ქაღალდი მისცა გლეხს ასეთი მისამართით: ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. სამაქარლამო კოლექტივი № 96. გლეხი გამოცხადდა აღნიშნულ სამაქარლამოში ფულის მისაღებად, სადაც გაიგო, რომ არც ამ კოლექტივისათვის დაუკლია ამ ვაჟბატონს თავისი აფერისტობა.

საჭიროა მისი სამაგალითოდ დასჯა.

საბუთი.

მახინჯი გლეხკორთა შორის



„გლეხკორი" თ. სლისარენკო, რომელმაც პირადი ანგარების მიზნით მოაწყო თავის თავზე თავდასხმის სიმულიაცია. საქმეს ამ დღეებში საჯაროთ გაარჩევს აფხაზეთის უზენაესი სასამართლო.

შემნახველ სალაროების მუშაკთა თათბირი

5 აგვისტოს, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში გაიხსნა შემნახველ სალაროების მუშაკთა ამიერ-კავკასიის საოლქო თათბირი. თათბირის მიზანია — ჯამი გაუკეთოს შემნახველი სალაროების მუშაობას, გამონახოს გზები მოსახლეობის უფრო მეტად ჩასაბმელად შემნახველი სალაროების მუშაობაში და სწორი კალაპოტით წარმართოს სალაროების მუშაობა.

თათბირს ესწრება საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის 12 წარმომადგენელი და თბილისის ყველა ტიპის შემნახველ სალაროების მუშაკები.

პირველ სხდომაზე შემნახველ სალაროების სტრუქტურის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **საკიანმა.**

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხის რეალიზაცია ამიერ-კავკასიაში

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ა.-კ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. **საფარიანმა** განაცხადა:

— ა.-კ. ფინსახკომში მიღებულ წინასწარ ცნობებით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი მოსამზადებელი კამპანიის დაწყებიდან ხელის მოწერის ოფიციალურად გახსნის დღემდე, ე. ი. 1 სექტემბრამდე ამიერ-კავკასიაში გასაღებულია 3.120.000 მანეთის რაოდენობით. აქედან აზერბეიჯანში ხელის მოწერით შეგროვილია 1.850.000 მანეთი, საქართველოში—940.000 მანეთი და სომხეთში—330.000 მანეთი.

წინასწარი ხელის მოწერის თანხა უდრის ამიერ-კავკასიისათვის დაწესებულ საკონტროლო ციფრის 25 პროც. და თითქმის მთლიანად მოდის კოლექტიურ ხელისმოწერაზე. ეგრეთ წოდებული შეუკავშირებელი და კერძო სექტორები ხელის მოწერის გატარებას შეუდგნენ მხოლოდ მისი ოფიციალურად გახსნის დღიდან.

მოსამზადებელი მუშაობა ქალაქებში ხელის მოწერის გახსნის დღისათვის სავსებით დამთავრებული იყო. მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება სოფლებში კი დაგვიანდა; მიღებულია ზომები, რომ ამ კვირის ბოლოსთვის დამთავრებული იქნეს მოსამზადებელი მუშაობის ძირითადი ნაწილი. წინასწარი ხელის მოწერით ამიერ-კავკასიას უჭირავს თავისი წინანდელი მესამე ადგილი რუსეთისა და უკრაინის შემდეგ.

შედარებით მცირე ხელისმოწერა საქართველოში აიხსნება იმით, რომ საცდელი მობილიზაციის დღეებში საბჭოთა საზოგადოებრივობის მთელი ყურადღება თბილისში შეჩერებული იყო მობილიზაციაზე.

ხელის მოწერის საერთო თანხიდან პირველი გადასახდელის ნაწილი უკვე შეტანილია, მაგრამ ხელის მომწერთა დიდი ნაწილი გადასახდელის შეტანას დაიწყებს სექტემბრის შუა რიცხვებში. იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებული იქნენ ხელის მომწერლები, რომლებსაც პირველი გადასახდელი შეაქვთ, და აგრეთვე ის პირები, რომლებიც ნაღდ ფულზე იძენენ ობლიგაციებს, ყველა მთავარი და სამაზრო ქალაქები უზრუნველყოფილია ობლიგაციების საკმაო რაოდენობით.

ამ დღეებში მოსკოვიდან მიღებული იქნება ობლიგაციების ახალი პარტია 2,5 მილიონ მანეთის რაოდენობით.

სესხის ქრონიკა

7 მილიონის ობლიგაციები

ამ დღეებში მოსკოვიდან მიღებული იქნება 7 მილიონის ობლიგაციები, რომლებიც განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

მფრინავი მიტინგები

სახელმწიფო ბანკს განზრახული აქვს ამ დღეებში თბილისში მოაწყოს მფრინავი მიტინგები, რომლებზედაც წარმოთქმული იქნება სიტყვები ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ და იწარმოებს ხელის მოწერა სესხზე.

თავდაცვა-ავიაქიმის და თბ. საკომენდატოს თანამშრომლებში

გუშინ შესდგა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების და თბილისის საკომენდატოს თანამშრომლების გაერთიანებული კრება, რომელზედაც სათანადო მოხსენებების შემდეგ, დაადგინეს ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხელფასი.

ავტო-ტრანსპორტის მუშაკთა შორის

ავტო-ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე ერთხმად დაადგინეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხელფასი.

შავი ზღვის რკინის გზებში

სახელმწიფო ბანკში მიღებულ ცნობით შავი-ზღვის რკინის გზის სამუშაოების მუშებმა რიცხვით 300 კაცმა გადასწყვიტა ობლიგაციები შეიძინონ თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

აბრეშუმის ტრესტში

გუშინ შესდგა „აბრეშუმის ტრესტის" მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებამ დაადგინა „აბრეშუმის ტრესტი"-ს მუშა-მოსამსახურეებმა გამოუკლებლივ გადასდონ თითო თვის ხელფასი ობლიგაციების შესაძენად. მათი თვიური ხელფასი უდრის 6 155 მან.

წყალთა მეურნეობის სამმართველოში

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლებმა საერთო კრებაზე დაადგინეს ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხელფასი და გამოიწვიეს წყალთა სამმართველოს ახალციხის, აფხაზეთის, აჭარისტანის, გორის, კახეთის, ბორჩალოს განყოფილებათა თანამშრომლები და აგრეთვე ალაზნის, ტირიფონის და ფოთის სამელიორაციო სამუშაოების მუშა-მოსამსახურენი.

სახალხო კვების მუშაკთა კავშირის მეორე პლენუმი

მეხუთე სხდომა

გუშინ, დილით, მეხუთე სხდომაზე პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები, საორგანიზაციო, კულტურული და სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებათა მუშაობის შესახებ. რეზოლიუციებში პლენუმი იწონებს კავშირის მიერ ჩატარებულ მუშაობას და მიუთითებს მთელ რიგ ახალ ღონისძიებებზე, რომელიც აუცილებელია დღემდე არსებულ დეფექტების მოსასწორებლად.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ გამოვიდა ამხ. სიხარულიძე, რომელმაც ჯამი გაუკეთა პლენუმის მუშაობას და შეეხო სახალხო კვების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პლენუმის შემადგენლობის გაჯანსაღების მიზნით, პლენუმის შემადგენლობიდან გარიცხულ იქნა ორი კაცი: ვოსკანოვი და ნავრუზაშვილი, პირველი გაფლანგვისათვის და მეორე, საქმისადმი გულგრილობის გამო.

რაც შეეხება სახალხო კვების საკითხს, ჩვენში პლენუმმა გამოაშკარავა მრავალი დეფექტები, რომელიც ცეკავშირისა და მუშკოოპს გამოაჩნდათ, სახალხო კვების საქმეში.

სახალხო კვების საკითხის წესიერად დაყენებას ჩვენში, აფერხებდა, სუსტი ხელმძღვანელობა მუშკოოპის მხრივ.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად, სახალხო კვების კავშირმა თბილისის საბჭოს კოოპერატიულ სექციასთან ერთად ჩამოაყალიბა საუწყებათაშორისო კომისია, რომელმაც ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას და მუშკოოპს წინადადება მისცა გახსნას ოთხი ახალი სასადილო.

ამას გარდა მიღებულია ზომები დიეტური კვების შემოსაღებად.

სახალხო კვების საკითხს დიდი ყურადღება ექცევა საკავშირო მასშტაბით.

საკავშირო კოოპერატიულმა თათბირმა, რომელმაც განიხილა სახალხო კვების საკითხი საქართველოში, საქართველოს პროფსაბჭოს მიანდო აღნიშნული საქმის გამოჯანსაღება.

მომავალში, სასადილოები შევლენ „სახალხო კვების სისტემაში".

ამხ. სიხარულიძის მოხსენების შემდეგ პლენუმმა გამოჰყო კომისია, მუშკოოპის, ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების, ავტ. რესპუბლიკების და სახალხო კვების კავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

კომისიას დაევალა პრაქტიკულ მითითებების გამომუშავება სახალხო კვების საქმის გასაუმჯობესებლად ჩვენში.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

გაწვევა თბილისის მაზრაში

(საუბარი თბილისის მაზრის სამხედრო კომისარ ამხ. ხელაშვილთან)

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარმა ამხ. ხელაშვილმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში გაწვევის ზოგიერთი ორგანიზაციული მხარის შესახებ, განაცხადა შემდეგი:

წელს გარდა თბილისის მოქალაქეებისა, გაწვეულია თიანეთის, ერწოს, ყარაიაზის, ასურეთის და ავჭალის რაიონების ახალგაზრდობა. გასაწვევ ახალგაზრდობის დიდი ნაწილის თავმოყრა თბილისში დიდათ გაუადვილებს მუშაობის ჩატარებას სამხედრო კომისარიატს.

მანგლისის წალკის და ალბულაღის რაიონების გასაწვევ ახალგაზრდობისათვის ჩვენ ვქმნით დამატებითი გამწვევ პუნქტებს მანგლისსა და [illegible]-კალეთში.

ყველა გასაწვევმა ახალგაზრდამ მიიღო უწყება, რომელშიაც აღნიშნულია გამოცხადების დრო და ადგილი. ამის გამო გაწვეულს ძალიან ცოტა დრო დაეხარჯება გამწვევ კომისიაში შემოწმებაზე.

გაწვევის ტეხნიკა რჩება ისეთივე, როგორიც იყო გასულ წელს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მიმდინარე გაწვევაზე სავალდებულო იქნება პროფსაბჭოს, განათლების განყოფილების და კომკავშირის წარმომადგენლის დასწრება გამწვევ კომისიაში.

ყველა გასაწვევ წერტილზე კულტურული მუშაობა დაყენებული იქნება სათანადო სიმაღლეზე.

შესაძლებელია წელს პირველად იქნეს შემოღებული კენჭის ყრა გასაწვევთა ჩასარიცხად ჯარის სხვადასხვა გვარეობის ნაწილში. იმ შემთხვევაში, თუ რომ გაწვეულთა რაოდენობა იქნება ნორმალური, კენჭის ყრა არ მოხდება.

ყველა გასაწვევნი, რომლებიც იმყოფებიან შვებულებაში, ან წასული არიან სხვაგან, ვალდებულნი არიან გაწვევის მომენტში გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

მაზრებში გასაწვევ პუნქტებთან ჩვენ ვაწყობთ სპეციალურ ბინებს საწოლებით, სურსათი კი გაწვეულებმა უნდა იქონიონ თან.

მე დარწმუნებული ვარ—დასძინა ამხ. ხელაშვილმა,—რომ მიმდინარე გაწვევა თბილისსა და მის მაზრაში ჩატარდება ბრწყინვალედ, ვინაიდან ახალგაზრდობა მოწადინებულია იმსახუროს წითელ ჯარში.

შესაკრებ პუნქტზე

გაწვევა დაიწყო.

თბილისისა და მისი მაზრის ახალგაზრდობა ერთსულოვნად ცხადდება შესაკრებ პუნქტზე, რომ მოიხადოს თავისი ვალი მუშურ-გლეხურ სამშობლოს წინაშე.

შესაკრებ პუნქტის ეზო ლამაზად არის მორთული წითელი დროშებით. გასაწვევნი აქ იყრიან თავს და შემდეგ, მოაწესრიგებენ რა პირად დოკუმენტებს, ცხადდებიან გამწვევ კომისიაში ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

ეზოში მრავლად არიან ახალგაზრდები, თბილისელების გარდა არიან ჩამოსულნი ახლო-მახლო სოფლებიდან.

— ეს რა არის—ამბობს სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი—გუშინ უნდა გენახათ, რამდენი ხალხი მოვიდა. დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე ვმუშაობდით.

გასაწვევი ახალგაზრდები მშვენივრად გრძნობენ თავს, ოხუნჯობა, სიცილი, სიმღერა, ცეკვა-თამაში—ასე მხიარულად მიდიან გაწვეულნი წითელი ჯარის რიგებში.

— დასაღონებელი რა მაქვს?—იძახის წავკისიდან ჩამოსული ქოჩრიანი ახალგაზრდა—დედაჩემს მამაჩემი მოუვლის, მე კიდევ ცოლი არა მყავს და შვილი. ყაზარმაში რასაც არ ვისწავლი, ხომ არაფერს არ წავაგებ?

ძალაუნებურად გინდა შეადარო ეხლანდელ გაწვევა წითელ ჯარში, ძველ გაწვევას; მაგრამ შედარება შეუძლებელია. „სალდათათ წასვლა" თავზარსა სცემდა სოფელს და ქალაქს, ყველა სცდილობდა როგორმე დაეღწია თავი ყაზარმისაგან.

ეხლა კი:

— ხომ მაქვს უფლება, რომ უარი ვსთქვა შეღავათებზე? მინდა ვიმსახურო წითელ ჯარში—იძახის გასაწვევი ახალგაზრდა, რომელსაც აქვს კანონიერი უფლება შეღავათზე.

— ექიმი მეუბნება „ატსროჩკა" გეკუთვნისო, ჯანზე ვერა ხარ კარგათო. რის „ატსროჩკა", რა „ატსროჩკა", როდესაც შემიძლიან ხავსე ურემი ვზიდო—იკვეხის მეორე.

ასეთ ლაპარაკს ხშირად მოჰკრავთ ყურს გასაწვევ პუნქტზე.

ე.

გაწვევის დღიური

7 და 8 სექტემბერს იწარმოებს სხვადასხვა მაზრებიდან მიწერილ ახალგაზრდობის საექიმო შემოწმება. ეს ახალგაზრდები უნდა გამოცხადდნენ თბილისის ძირითად გამწვევ კომისიაში თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქუჩა, № 24).

ქ. თბილისის მე-3-ე სამილიციო უბანში მცხოვრები გასაწვევი ახალგაზრდები გაწვეულ იქნებიან 7, 8 და 10 სექტემბერში. ეს ახალგაზრდები ცხადდებიან თბილისის მე-2 დამატებით გამწვევ კომისიაში, რომელიც მოთავსებულია თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე. (სადგურის ქუჩა, № 24).

თბილისის მაზრის გარე-კახეთის უბანში (სართიჭალის, პატარძეულის, გომბორის, მარტყოფის, ნორიოს; საგარეჯოს და მანავის თემები) გაწვევა დაიწყება 12 სექტემბერს და გასტანს 6 დღეს.

გასაწვევი პუნქტი მოთავსებული იქნება სოფ. სართიჭალის თემაღმასკომის შენობაში.

სამელიორაციო ამხანაგობანი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ.

დადგენილების თანახმად. სამელიორაციო ამხანაგობა უნდა მოეწყოს უმთავრესად იმ მიზნით, რათა შეერთებულის ძალით აგებული, გამოყენებული, წესიერად შენახული და დაცული იქნეს ასაგები ან უკვე აგებული ჰიდრო-ტეხნიკური სისტემები, რომელთა დანიშნულებაა მიწის მორწყვა, დაშრობა, არხის და ხევის ნაპირების გამაგრება და სხვა.

ამხანაგობას შეუძლია აგრეთვე აწარმოოს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ე. ი. შეიძინოს სამეურნეო იარაღები და მანქანები, მიწის ხელოვნური სასუქები და ინსექტისიდები, კოლექტიურად დაამუშაოს მიწები, შემოიღოს უფრო შემოსავლიანი სამეურნეო კულტურები, გადაამუშაოს და გაასაღოს სასოფლო პროდუქტები და სხვა.

ყოველგვარ ჰიდრო - ტეხნიკურ სისტემის აგება-გამოყენების და შეკეთება-დაცვის საქმეში სამელიორაციო ამხანაგობა ექვემდებარება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დარგში „სოფლის კავშირს". სამელიორაციო ამხანაგობანი შედიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელში.

ყოველგვარი წინასწარი კვლევა, მაგ. ჰიდრო-ტეხნიკური, გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, საანალიზო, გეო-ბოტანიკური და აგრო-ეკონომიური ამა თუ იმ ტიპის მელიორაციის შესახებ იწარმოებს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. წყალთა მეურნეობის სამმართველო შეადგენს აგრეთვე ამა თუ იმ სამუშაოთა გეგმას, პროექტს და ხარჯთ-აღრიცხვას.

ჰიდრო-ტეხნიკურ სამუშაოს აწარმოებს წყალთა მეურნეობის აპარატი ან, წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანხმობითა და მისი უშუალო ტეხნიკური ხელმძღვანელობით, სამელიორაციო ამხანაგობა.

სამელიორაციო ამხანაგობებს თანხებს მისცემს საქართველოს სას. სამეურნეო ბანკი საკრედიტო ფონდიდან.

ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა ყოველწლიურად შეკეთებისა, ამ ნაგებობათა ექსპლოატაციისა, წყლის განაწილებისა, წყლის სარგებლობისათვის გადასახადის დაწესებისა და სამელიორაციო სესხის დაფარვის შესახებ სამელიორაციო ამხანაგობა შეადგენს სათანადო პროექტს და გაუგზავნის დასამტკიცებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

სამელიორაციო ამხანაგობებს ყოველგვარ აგრო-კულტურულ მუშაობაში ხელმძღვანელობას უწევს სოფლის კავშირი, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ზედამხედველობა სამელიორაციო ამხანაგობებზე ეკისრება სოფლის კავშირს.

საშემოდგომო თესვის კამპანია

სათესლე მასალის განაწილება

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა სათესლე მასალა მაზრებს შორის განაწილებული იქნეს შემდეგი სახით: ახალციხეს გადაეგზავნა 2000 ფუთი სათესლე ხორბალი; ბორჩალოს—4000 ფ. ხორბალი და 3000 ფუთი ქერი; გორის მაზრას—10.000 ფ. ხორბალი და 5000 ფ. ქერი; კახეთის მაზრას—19.000 ფ. ხორბალი და 11.000 ფ. ქერი; თბილისის მაზრას—7.000 ფ. ხორბალი და 3000 ფ. ქერი; სამხრეთ-ოსეთს—5000 ფ. ხორბალი და 1100 ფ. ქერი; ქუთაისის მაზრას—2000 ფ. ხორბალი; რაჭა-ლეჩხუმს—4.000 ფ. ხორბალი და 2000 ფ. ქერი; შორაპნის მაზრას—3000 ხორბალი. სულ 56.000 ფ. ხორბალი და 25.000 ქერი.

კომისიის დადგენილებით, ამ ხორბლის გარდა, რაც ხორბალი დამზადდება შემდეგში, განაწილებული იქნება მარტო გორის, თბილისის, ბორჩალოს და კახეთის მაზრებსა და სამხრეთ-ოსეთს შორის.

კომისიამ წინადადება მისცა საქართველოს მებამბეობის კომიტეტს სასწრაფოდ შეუდგეს მებამბეობის რაიონებში მოსახლეობისათვის სურსათის მიწოდებას, რომ გლეხებმა სათესლეთ დარიგებული ხორბლეული არ მოიხმარონ გამოსაკვებად და ყანები დროზე დათესონ.

ამასთან ერთად, წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა სათესლე მასალა არ დარჩეს გაურკვეველი და მოუწამლავი.

წინადადება მიეცა „სოფლის კავშირს" დაუყოვნებლივ აცნობოს რესპუბლიკანურ კომისიას, თუ რომელ მაზრაში რამდენ და რა სახის ნათესებზეა ჩატარებული კონტრაქტაცია.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდება მაზრებისათვის

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურმა კომისიამ დაამტკიცა მაზრებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების ცხრილი, რომლის მიხედვით **სიღნაღის მაზრას** მიეცემა 9075 მანეთის მანქანები, მათ შორის 7 სათესი მანქანა, 5 თეფშებიანი ფარცხი, 155 გუთანი, 5 რკინის კბილებიანი ფარცხი.

თელავის მაზრას მიეცემა: 5 სათესი მანქანა, 5 თეფშებიანი ფარცხი, 100 გუთანი, 3 რკინის კბილებიანი ფარცხი, სულ 5.395 მ. ღირებულების.

ბორჩალოს მაზრას—2 სათესი, 5 თეფშებიანი ფარცხი, 45 გუთანი; ღირებული 8160 მ. ბორჩალოს მაზრას უკვე გადაეგზავნა 15 გუთანი.

ყოფ. დუშეთის მაზრას—1 სათესი მანქანა, 4 თეფშებიანი ფარცხი, 95 გუთანი, სულ 3160 მანეთის.

ახალქალაქის მაზრას—5 თეფშებიანი ფარცხი და 45 გუთანი ღირებული სულ 2490 მანეთად. ახალქალაქის მაზრას უკვე გადაეგზავნა 10 გუთანი.

ახალციხის მაზრას—4 თეფშებიანი ფარცხი და 130 გუთანი—4300 მანეთის.

თბილისის მაზრას მიეცემა სულ 4464 მანეთის სასოფლოსამეურნეო მანქანები. მათ შორის 1 სათესი, 4 თეფშებიანი ფარცხი, 78 გუთანი, 3 რკინის კბილებიანი ფარცხი. აქედან 63 გუთანი უკვე გადაეგზავნა თბილისის მაზრას.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას 4 თეფშებიანი ფარცხი და 118 გუთანი.

გორის მაზრას—2 სათესი მანქანა, 5 თეფშებიანი ფარცხი, 3 რკინის კბილებიანი ფარცხი და 138 გუთანი, აქედან 78 გუთანი უკვე გადაიგზავნა ადგილობრივ.

შემოდგომის თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად მაზრებს შორის სულ განაწილებული იქნება 18 სათესი მანქანა, 41 თეფშებიანი ფარცხი, 855 გუთანი, და 14 რკინის კბილებიანი ფარცხი.

რესპუბლიკანურმა კომისიამ დაადგინა წინადადება მიეცეს მაზრებს, რათა ადგილობრივ არსებული ყველა მანქანა-იარაღები გამოყენებული იქნეს მთელი 100 პროცენტით.

ამასთან ერთად მაზრებს წინადადება მიეცათ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები ადგილობრივ მანქანა-იარაღების რაოდენობის და მათი მდგომარეობის შესახებ.

წინადადება მიეცა „სოფლის კავშირს" დაუყოვნებლივ შეუდგეს ბორჩალოს, გორის და კახეთის მაზრებში ახალ შემკეთებელ სახელოსნოების მოწყობას.

ცეკავშირს დაევალა, ტრაქტორებისათვის საჭირო სათბობი მასალა დაუბრკოლებლად მიაწოდოს იმ პუნქტებს, სადაც მუშაობენ ტრაქტორები.

თანხები მუშა-საქონლის და საკვების შესაძენად

თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ მუშა-საქონლის შესაძენად გადადებული თანხა მაზრებს შორის გაანაწილა შემდეგნაირად: კახეთს გადაეგზავნა 5600 მანეთი, ამავე მაზრაში კოლმეურნეობებს შორის გასანაწილებლად ადგილობრივ გადაეგზავნა 8448 მანეთი; თბილისის მაზრას მიეცა 16.2000 მანეთი, აქედან მუშა-საქონლის შესაძენად კოლმეურნეობებს გადაეცემა 11 000 მ.; გორის მაზრაში არსებულ კოლმეურნეობებს გადაეგზავნა 9.000 მანეთი, გლეხებისათვის დასარიგებლად—4000 მანეთი; ბორჩალოს მაზრას მიეცა 6500 მანეთი, აქედან კოლმეურნეობებისათვის დასარიგებლად—4.000 მან., ახალციხის მაზრას — 4.500 მან., აქედან კოლმეურნეობებისათვის—2000 მ.; შორაპნის მაზრას—6.100 მანეთი; ქუთაისს—5000 მ., რაჭა-ლეჩხუმს—9400 მ., აქედან კოლმეურნეობებისათვის დასარიგებლად—3000 მ., სენაკის მაზრას—45.00 მ. ზუგდიდის მაზრას—5000 მ., სამხრეთ-ოსეთს 38.76 მანეთი. მანეთი.

ამავე კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე საქონლის საკვების შესაძენად გადადებული 70000 მანეთი მაზრებს შორის განაწილდა შემდეგნაირად: ახალციხის მაზრას მიეცა—4000 მ., ბორჩალოს მაზრას—4000 მ., გორის მაზრას—9000 მ., კახეთის მაზრას—13000 მ., თბილისის მაზრას — 13.000 მანეთი, შორაპნის მაზრას—4000 მ., რაჭა-ლეჩხუმს—5000 მ., ქუთაისის მაზრას—4000 მ., სენაკის მაზრას—5000 მ., ზუგდიდის—5000 მანეთი და სამხრეთ-ოსეთს—4000 მანეთი.

თესვის ქრონიკა

თესვის კამპანიის მსვლელობის გამოკვლევა

თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ დაადგინა მაზრებში თესვის კამპანიის მსვლელობის გამოსარკვევად მიავლინოს შემდეგი ამხანაგები: გორის მაზრაში — ამხ. **ბაქრაძე**, ბორჩალოში ამხ. **ცაგარელი**, კახეთის მაზრაში—ამხ. **ნაცეტვარიძე**, თბილისის მაზრაში—ამხ. **სიხარულიძე** და ახალქალაქის მაზრაში—ამხ. **ა. კიზირია.**

ადგილობრივი კომისიები

რესპუბლიკანურმა კომისიამ დაადგინა წინადადება მისცეს მაზრებს რესპუბლიკანურ კომისიას აცნობონ თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამაზრო და სათემო კომისიების წევრთა გვარები და თანამდებობანი.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი მოწვეული იქნეს 2 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, შემდეგი დღის წესრიგით:

1) სრულიად საქ. პროფკავშირთა მე-7 ყრილობის მოწვევის შესახებ (ამხ. მაჩაიძე).

2) კერძო წარმოებებში პროფმუშაობის შესახებ (ამხ. ანთიძე და არაქელოვი).

3) შრომის სასამართლოების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ (ამხ. გოდაბრელიძე და ამიროვი).

4) სახალხო განათლების სისტემის შესახებ (ამხ. კანდელაკი და მხითაროვი).

5) კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის შესახებ (ამხ. გოდაბრელიძე და სმუს წარმომადგენელი).

მყინვარ-წვერისაკენ

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

წერილი მესამე*)

შეხვედრა საკუთარ აჩრდილებთან

გაუმარჯოს ჩვენ სიმტკიცეს!—უკვე იაგორას ნიშზე ვართ და ექსპედიციის არც ერთ წევრი არ გამოგვკლებია. რა უჭოთ, თუ ზოგიერთ ჩვენგანს ცოტათი გული ერევა, თავი სტკივა და ოდნავ სუნთქვა უძნელდება. განა შეიძლება ოთხი ათასი ორას მეტრის სიმაღლეზე იყო და თავს სავსებით ნორმალურად გრძნობდე?

იაგორას ნიში—ეს კლდოვანი კუნძულია ყინვარებს შუა აღმართული. აქ არის ჩვენი მეორე ღამის სათევი. სასწრაფოდ ვასუფთავებთ ადგილს ქვებისაგან და ვშლით კარვებს. ერთ საათში კარვები მზადაა. ვიხდით ბანდულებს, ვცვლით დასველებულ წინდებს და გასაშრობათ ქვებზე ვაფენთ. მზე ჩადის. ჩვენს ქვემოდ მთებში ჩაწვა ღრუბელი. ჯანღი ნელნელა ზევით მოიწევს, მაგრამ ძალა არ ყოფნის და ჩვენს ქვეით ჩერდება. ჩამომავალი მზის სხივები ჩვენს მიღმით ადგებიან ღრუბელს და ჩვენ პირდაპირ ჩაწოლილ ღრუბელში, როგორც ეკრანის ტილოზე,—ვხედავთ გარკვევით კლდეების და ჩვენი საკუთარი თავის სილუეტებს-აჩრდილებს. შევირხევით,—ჩვენი ლანდებიც შეირხევიან, გავჩერდებით—ისინიც გაჩერდებიან. მირაჟია, მირაჟი. რომელსაც მეცნიერებაში, მგონი,—ბროკენის მოვლენას ეძახიან. როცა ღრუბელს მზის შუქი შორდება, მირაჟიც ქრება. ჩვენი თვალი ხარბათ იჭერს ჩვენს წინ გადაშლილ პანორამას. ის მწვერვალები, რომელნიც სტეფანწმინდაში და კიდევ უფრო მაღლა ამაყათ დაგვცქეროდენ თავს, ახლა დაბლიდან მორჩილებით გვიხრიან ქუდს. ხანდახან ღრუბლით შეიბურვიან, თითქოს დარცხვენილნი სახეს მანდილით იფარავენო.

ჩვენს სიმაღლეს ამ ახლო მიდამოებში მყინვარ წვერი თუ აღემატება, ეხლა ჩვენ ვართ ამაყი და თავს უძლეველათ ვგრძნობთ. ფრთებს გვასხამს იმედი, რომ ჩვენ შეუპოვრობას ამ გადალახულ მთებივით განაგებდა მყინვარ-წვერიც. თუ მან დასახმარებლად არ მოუწოდა თავის ერთგულ მოკავშირეებს: ნისლს, ქარს, თოვლსა და ქარ-ბუქს. ჯერ-ჯერობით ჩვენ მას წყრომის ნიშნებს არ ვამჩნევთ; პირიქით,—დღემდე სტუმარ მოყვარე მასპინძელივით გვიღიმის და გვეპატიჟება. ამ წუთშიდაც ჩამავალი მზის შუქი მას „თავზე ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა" და ისიც განსაკუთრებით მშვიდი და ლმობიერია.

შავი მანდილით იკვრება
ხევ-ხუენი. მთისა ყელები,
ცის ტატნად მისდევს მთის წვერებს
მზის სხივნი, როგორც გველები.

ყველაზე უკანასკნელად, გველივით დაკლაკნულ სხივების გვირგვინს იხდის მყინვარ-წვერი, თითქოს მოსასვენებლად ემზადებაო.

ღამდება. ჩვენც ვემზადებით დასაძინებლად. საჭმელი უკვე მივიღეთ, თუმცა მადიანად არ გვიჭამია. აწეული სულიერი განწყობილება და აგრეთვე გაიშვიათებული ჰაერი მოქმედობს. მაჯის ცემა, რასაკვირველია, გახშირებულია. მას, ვისაც დაბლობში მაჯის ცემა 70—80 ჰქონდა, ეხლა აქვს 120—130. სუნთქვაც გაორკეცებულია. მთის ჰავასთან შეგუება მაინც და მაინც ძვირად არ გვიჯდება: ოდნავი თავის ტკივილი, გულის რევა, აწეული ტემპერატურა იმდენათ არ გვაწუხებს, რომ რომელიმე ჩვენგანს უკან დაბრუნება აფიქრებინოს. სიცივითაც არ ცივა. სანამ მზე ჩავიდოდა, შეგვეძლო უნაბდოთ ჯდომა, ეხლა სიცივე ორ-სამ გრადუსს უდრის ნულს ქვევით. ამ სიცივეში კარავის სითბო პირველად სასიამოვნოთ გვიღიტინებს ძვალ-რბილში, მაგრამ ძილი აქ, საბერწესთან შედარებით უფრო მოუსვენარია. მჟავბადი, მჟავბადი არ არის საკმაო. გვაწუხებს სივიწროვე, ნეკნები გვტკივა ცალ გვერდზე წოლით. გადაბრუნებას ვერ ვახერხებთ, ვბორგავთ, [illegible] ხან ერთი, ხან მეორე. ფეხების თავისუფლად გაშლა მიუღწეველი იდეალია; პირდაპირ დავკუტდით. ასეთ წამებაში თვითეული ჩვენგანი შენატრის მალე გათენებას რომ ადრე დავაღწიოთ თავი კარავის საშინელ ტყვეობას.

გახედავ ცას, (თუ კარვის კიდეზე წევხარ) მაგრამ მთვარე ირონიულად შემოგცინებს—ჯერ რა დროს გათენებააო. ეცდები დაიძინო, მაგრამ გაათენებ ძილ-ღვიძილში. დგება სანატრელი რიჟრაჟი. აღმოსავლეთით მტრედის ფრათ იმოსება ცის ტატნობი. გადაღმა მთებიდან ნელ-ნელა ამოდის მზე. იგი ჯერ არ სჩანს, მაგრამ მისგან ისარივით გამოტყორცნილი პირველი სხივი ესობა მყინვარ-წვერის უმაღლეს წერტილს. ნახევარ საათში ჩვენი ნაბინავარი ოქროსფერ სამოსელშია გახვეული. იღვიძებს ცოცხალ ბუნების წარმომადგენელი ამ ყინულებში—ჩვენი ექსპედიცია. იწყება ფუსფუსი-მზადება გზის გასაგრძელებლად. ბანდულებში ვაფენთ ახალ თივას და ვიცვამთ მშრალ წინდებზე. პირის დაბანა გვინდა, მაგრამ არ შეიძლება—სახეები დამწვარი, დასიებული გვაქვს, ზოგიერთს დამსკდარი. დაბლა კლდის ძირში ჩამომავალი ნაკადული რომელსაც გზა ყინულებში აქვს გაკვლეული, წუხელი გაუყინავს. ვამტვრევთ თხელ ზედაპირს და ვიბანთ მხოლოდ ხელებს. გამგზავრება არ გვეჩქარება: უკანასკნელ ღამის სათევამდე ოთხი-ხუთი კილომეტრია, რომლის გავლასაც გვიან გასულნიც მოვასწრებთ. თოვლ-ყინულზე ლოდინს ისევ აქ მშრალ კუნძულზე დაცდა სჯობია.

ამით ვსარგებლობ და ერთს საათს ნაბადში გახვეული, წუხანდელი უძილობით დაქანცული მზის გულზე გაფიცხებული ტკბილად ვიძინებ.

როცა გამოვიღვიძე, მე თვალი მოვკარ მიმავალ ამხანაგებს. ღონე მოცემული მივყვები უკან.

ყინულის აკროპოლთან, ხმაურას ახლო

ისევ ყინვარებზე სიარული. აქ ისინი უფრო სახიფათო არიან, ხშირია თოვლით გადაფარული ნაპრალები. ყოველ წუთში გაისმის გზას გაფრთხილება. ბანდული გამეხსნა. ჩამოვრჩი. ვჩქარობ დავეწიო და ამ სიჩქარეში ვცდი ნაფეხურს.

ვაიმე თავო, უბედურო!—მარჯვენა ფეხით ვეშვები ნაპრალისაკენ, მაგრამ კორპუსი ინსტინქტიურად უკან იხნიქება და ხელები ყინულის კიდეზე მაგრათ ჩამოსიპილ ყავარჯენს ებჯინება. ფეხი ადვილათ ამოვიღე. ნაპრალის ზედაპირზე თოვლი გადაიფანტა და ჩავხედე: ვიწრო აღმოჩნდა, ალბად არ ჩავეტეოდი. მეტი სიფრთხილით გავყევი კვალდაკვალ ნაფეხურებს. ჩვენი ექიმი ძალიან ჩამორჩა, მასაც უმტყუნა ბანდულებმა: თასმები შეეხსნა და სიარულს უშლის. ორ ყავარჯენზე დაყრდნობილი ძლივს მოაბიჯებს და თან იძახის: „мои бандули меня надули".

სვიმონი გვაძლევს შეჩერების ნიშანს. ყინულოვანი მინდორი სპეტაკი თოვლით არის დაფარული. მისგან არეკილი სხივები ხედვას გვიშლის. ფერადი სათვალეებიც არ გვშველის. ჩვენს გვერდით ყინულის მაღალი კედელია აღმართული. ერთგან კედელი გამოქვაბულია და სიღრმეში შეჭრილ ქვაბულზე ზევიდან ჩამოშვებულია სწორი ყინულის სვეტები. ერთმანეთზე სიმეტრიულად მიწყობილი სვეტები აკროპოლის კოლონებსა ჰგავს. მართლაც, ბუნება დიდი ხელოვანია: უბრალო თოვლიდან ქმნის ასეთ მშვენიერებას. კინოს თვალს, რასაკვირველია, არც ეს დარჩა შეუმჩნეველი.

დავტოვეთ ყინულოვანი მღვიმე და როგორც იქნა, თავიც დავაღწიეთ გერგეტის ყინვარს. ეხლა ჩვენ იმ საკვირველ მთის პირდაპირ ვისვენებთ, რომლისათვისაც შარშანდელ ექსპედიციას «ხმაურა» დაურქმევია. ამ მთას ერთ წუთსაც ვერ ნახავთ დაწყნარებულს: მთის მკერდზე ხმაურით ჩამოდის თოვლი და მიწა და ხანდახან დამაყრუებელი ხუილით მოგორავს კლდიდან მოგლეჯილი ლოდები. კინოს სურს გადაიღოს მთაზე გამოგორებული ქვა, ამისთვის საჭიროა მისი კიდევ უფრო აღშფოთება. ამ მიზნით სოსოს მიერ თქმულ „ალავერდის" საპასუხოთ „ოო"-ზე ხმის ამაღლებით, რაც ძალი და ღონე გვაქვს, ვყვირით „იახზი-ოოოლ", მაგრამ ამაოდ: კლდიდან სცვივა მხოლოდ ხრეში და მიწა.

ჩვენ უკმაყოფილოთ გავშორდით ხმაურას. მხოლოდ შემდეგ მოგვესმა დაგორებულ ქვის აურ-ზაური და ხევის გულიდან ამოსკდარი ყრუ გუგუნი. ოპერატორები არ დარჩენილან გულდაწყვეტილნი: მათ მოესწრათ გადაღება.

ხმაურადან წასულებს დიდხანს არ გვივლია. ერთ საათში თავი ამოვყევით ეგრედწოდებულ თოვლ-ყინულა მინდორზე, ანუ, როგორც მეცნიერებაში ეძახიან,—ფირნის ველზე,—სწორედ მყინვარ-წვერის წვერის ძირში.

— ჩვენი უმდაბლესი სალამი ხევის პატარძალს*). ჩვენ უკვე შენ ფეხთ ქვეშ ვართ და ხვალ დილისთვის ველით შენგან მისაპატიჟებლად გამოწვდილ ხელებს!

იანვარი აგვისტოში

7 აგვისტო. თოვლ-ყინულა ველი. ნაშუადღევის 5 საათზე მოვაღწიეთ ამ ველამდე. იგი სპეტაკი, ახალი თოვლით არის დაფარული, მისი სიმაღლე მგონი ერთ არშინს არ უნდა აღემატებოდეს. თოვლს ქვეით ყინულია. ვინ დასთვლის რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეზე?

თოვლ-ყინულა ველი გერგეტის ყინვარის მასაზრდოებელი წყაროა. აქ გროვდება მყინვარ წვერის წვეტიდან ჩამოცურებული თოვლი და ყინული. ველი ყინვარების ცენტრშია. დასავლეთით აქედან დაშვებულია [illegible] ყინვარი, სამხრეთ-აღმოსავლეთით გერგეტის, ჩრდილო-აღმოსავლეთით აბანოს ყინვარი და ჩრდილო-დასავლეთით—(ყინვარ წვერის გადაღმა) დევდორაკის ყინვარი. ამ ყინვარებით შემორტყმულ ველიდან აღმართულია კონუსი. აი რატომ ქვია ამ კონუსის წვერს—ყინვართა წვერი, ანუ მყინვარ-წვერი.

ერთხანს დავდიოდით ამ სუფრასავით გაშლილ თეთრ მინდორზე. რაღაც უცნაური სასიამოვნო განცდაა: იანვარი აგვისტოში. უღრუბლო, უსაზღვრო ლაჟვარდ ცაზე მზე კაშკაშებს. მზეს აქაც ზაფხულის მზის მცხუნვარება აქვს. მზის სიმცხუნვარე და თოვლ-ყინულის სიცივე ერთმანეთს ეჭიდებიან. სხივების სიმწვავესა გრძნობ, მაგრამ ამავე დროს ცივა კიდეც. ირგვლივ სპეტაკი თოვლი. ბჭყვიალა ხამცეცები, ნაზი ფიფქები.

მივდი-მოვდივარ, (აქ ნაპრალების არ გეშინია) მივაკვლევ ნათოვს, ვშორდები ბანაკს, დავეხეტიალობ და მახარებს თოვლი, როგორც ზამთარში, (როცა დილით გაღვიძებული პირველად ხედავ თეთრად შესუდრულ მიდამოს). რა მყუდროებაა. ასეა სოფლად ზამთარში. მაგრამ იქ მდუმარებას ხანდახან დაარღვევს ძაღლის შორეული ყეფა, ან თოვლით დახუნძლულ ხის შტოებიდან ფიფქების [illegible]. აქ კი მუდამ ხანგრძლივი, დაურღვეველი სიჩუმეა.

ჩვენ დავარღვიეთ მხოლოდ ეხლა, რადგან ეს არის ჩვენი უკანასკნელი ღამის სათევი. აქ უნდა გავშალოთ კარვები. გავშალოთ საჩქაროდ, სანამ მზე ჩავიდოდეს, სანამ სიცივე-ყინვა გაბატონდებოდეს ამ მიდამოების უკონკურენტო მბრძანებელი.

იწყება გახურებული მუშაობა. შემოვიხაზეთ კარვების გასაშლელი მოედანი. და რაც შეგვიძლია ვტკეპნით მას. ვამკვრივებთ ახალ თოვლს. დატკეპნილ კვადრატის შუა ხაზზე ვარჭობთ მეტრნახევრიან ჯოხებს და მასზე ვეჭიმავთ ბრეზენტს. მაგრამ პალოებს, რომელზედაც თოკით მიბმულია ბრეზენტის კიდეები, რბილი, მსუბუქი თოვლი ვერ იკავებს. კარავის ყოველ გაჭიმვაზე თოვლში ჩარჭობილი პალო ზევით ამორბის, არ ჩერდება. სიზიფის შრომაა: უნაყოფო და უშედეგო. ვტკეპნით, ვამაგრებთ პალოს ჩასასობ ზედაპირს და დიდი წვალებით ვარჭობთ პალოებს. კარავის კიდეებს ყოველი მხრიდან ვაყრით თოვლს იმ მიზნით, რომ არ დარჩეს ღია ადგილი და კარვის შიგნით სიცივემ არ შემოატანოს. კარვები უკვე მზად არის, მაგრამ მათმა მოწყობამ შეიწირა ჩვენი ძალ-ღონე: საშინლად მოვტყდით, დავიქანცეთ 4.600 მეტრის სიმაღლეზე, სადაც ერთი დაღუნვაც კი გულის ძგერას იწვევს, ასეთი გამაწამებელი შრომა ერთი კაცის მიერ ათი ფუთის სიმძიმის აწევას უდრის.

წამების ღამე

მზე ამოეფარა შავ-ნაბადას ქედს და ყინვამაც მაშინვე გვაგრძნობინა თავისი სუსხი. სად გინდა გაექცე ამ სიცივეს? თავშესაფარი მზად არის, მაგრამ საეჭვოა, რომ ყინვისათვის იგი შეუვალი აღმოჩნდეს. რაც უნდა თბილად დაიხურო, ქვევიდან ყინულს მაინც ვერსად წაუხვალ. ნუ თუ მისგან დაგვიცავს ძირს გაფენილი ქეჩა, ან ნაბადი? ძალიან საეჭვოა. მაგრამ რა უნდა ქნა მანამდე, სანამ დაწოლის დრო მოვიდოდეს? ჯერ შვიდ საათზე მეტი არ არის. ეხლა რომ დაწვე, რა მოგასვენებს, რა გაგაძლებინებს გათენებამდე—კარვის სივიწროვეში, შეხუთულ ჰაერში, მოკრუნჩხულს, ცალ გვერდზე მწოლიარეს? შეიძლება დაქანცულს მალე დაგეძინოს, მაგრამ სამ-ოთხ საათს შემდეგ გამოგეღვიძება და შემდეგ უნდა იწვალო, იბორგო მთელი ღამის განმავლობაში. სჯობია ისევ ნაადრევად არ შეაფარო თავი კარავს, სჯობია ისევ გაშლილ ველზე და სად ჰაერზე შეებრძოლო ყინვა-სიცივეს. იქნება რამეთი გაერთოთ მაინც. მაგრამ ესეც ფუჭი იმედია. ცეკვა-სიმღერაზე ფიქრიც მეტია: ყველა ისე მოქანცულა, მოდუნებულა, რომ ხმის ამოღების უნარი აქვთ დაკარგული. თვით დაუღალავი მარია სერგეევნაც ისე მოეშვა, რომ ჩაის ადუღებაზედაც კი ხელი აიღო. (თუმცა არსად ჩაი ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც აქ.) ფედია ლეონტოვიჩიც შეურიგდა უჩაიობას.

გაქრა ჭამის მადა. თოვლზე დაფენილ ტილოზე ყრია საჭმელი: გალეტები, ნახმევი, კონსერვები, მაგრამ ხელს არავინ ჰკიდებს.

მხოლოდ ექ. სოსო ასლანიშვილი არ იშლის თავისას: ერთხელ მაინც მოასწრო ჩვენი მაჯების გასინჯვა.

დაღვრემილობა, აპატია, უგუნებობა. სადღაა წინა ღამის აღფრთოვანება, სიხალისე, სიცილი, საუბარი, ანეკდოტები. გულგრილად გავსცქერით თვით მყინვარ წვერსაც, რომელიც „ჩვენი მისწრაფების იყო საგანი" და თითქოს ეხლა აღარ არის.

ნუ თუ გვერევა, გვიმორჩილებს მთის სნეულება. დიახ ასეა. ამის ნიშნებიც აშკარაა. ორს თუ სამს უკვე წასკდა სისხლი ცხვირიდან. რამოდენიმე ხახა დაღებული ქლოშინებს. თვით მოხევეებიც, შედარებით ჩვენზე უფრო შეჩვეული მთის ჰავას, ვეღარ უძლებენ გათხელებულ ჰაერს. გახა და იაგორაც მოდუნდნენ, ეძალებიან კონიაკს.

ყინვამ მოუჭირა. დასველებულ ფეხის თითებს გვაყინავს. ვცდი ველზე რბენას,—იქნებ გავხურდე, მაგრამ რამოდენიმე წუთში ვიღლები. აუტანელი მდგომარეობაა. მეტი საშველი არ არის; უნდა წამოვწვე კარავში. მივძვრები სანამ შიგ ორი კაცი ვართ, ოდნავ ვისვენებთ. წარმოიდგინეთ, თბილა. ძირს დაგებულ ქეჩაში ყინულის სიცივე ვერ ატანს; კიდევ კარგი! ვფიქრობ: შეიძლება, ღამე მშვიდ ძილში გავატაროთ, მაგრამ ამ თავის დაიმედებას ბოლო ელება. როცა კარავში შემოლაგდა დანარჩენი ოთხიც.

ისევ სივიწროვე, მოკრუნჩხული ფეხები, ცალ გვერდზე წოლა, დუშილი, უძილობა. გული სცემს, სცემს შეუჩერებლად. ვფიქრობ. რაზე არ ვიცი. ვფიქრობ ჩვენს ბედში მყოფზე, ყველა ტანჯულზე, წამებულზე, ვფიქრობ ომზე, ფრონტებზე, ჯარისკაცებზე, რომლებიც ასეთ პალატკებში, ასეთ ყინვებში, სანგრებში თვეობით იწვენ, წლობით იტანჯებოდენ. მოიპოვებიან ამ ქვეყნად ვაჟ-ბატონები, რომლებსაც კიდევ აქვთ განზრახვა გაიმეორონ ეს ჯოჯოხეთი. არასოდეს. ვიდრე ეს მოხდებოდეს სჯობს დაინგრეს, დაილეწოს სათავე ამ უბედურების. ომი ომს, ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს.

მშვიდობა, მშვიდობა. სად არის ეს მშვიდობა? გული უფრო სცემს. სცემს ბარაბანივით. ხანდახან იგი, როგორც ოთახში გამომწყვდეული ჩიტი ფანჯარას, ისე მოეხეთქება მკერდს და მე ნერვიულად შევხტები ხოლმე. სული მეხუთება. მეტი ჰაერი, მეტი ჰაერი მინდა. პირი დაფჩენილი მაქვს, ვსუნთქავ,—ვსუნთქავ, ფილტვებში ჰაერი არ ჩადის. ამომშრა ხახა. მწყურია. ვიხრჩობი წყურვილით. თავქვეშ მაქვს წყლით სავსე მათარა. მიმაქვს ტუჩებთან, პირში წყალი არ ჩადის: გაუყინავს. მინდა გავყო ხელი კარავს გარედ თოვლის გამოსაღებად. ბრეზენტის კიდეები ყინვას თოვლზე დაუყინავს, ისე მაგრად, რომ თოვლის გამოღება შეუძლებელია. რა ვქნა? ვიხრჩობი უჰაერობით და წყურვილით.

დაძაბუნებულ სხეულში ფეხს იკიდებს სულმოკლეობა; ოღონდ გადავრჩე ამ სატანჯველს და თავს დავანებებ ყველაფერს. არ მინდა არც მყინვარწვერი, არც მისი სიმაღლის დაძლევა. მოვესწრები კი დილას? გულის ცემა შეჩერდა. ნუ თუ სული მძვრება? დავიყვირო? გავაღვიძო სოსო? რას გიშველის?

სანამ გვიან არ არის, სჯობს გავალ გარედ. ვაბიჯებ ამხანაგების სხეულზე და დიდის წვალებით თავს ვაღწევ კარავს. წელში ძლივს ვიმართები. ფეხებს ძლივს ვადგამ. გული ისევ ანახლებს მაგრად ცემას. კიდეც რომ გავათენო, ნუ თუ შევძლებ ასე ღონემიხდილი წვერზე ასვლას? როგორ მოვტყუვდი! არც ისე ადვილი ყოფილა ყინვარ-წვერის დაპყრობა.

ნუ თუ უნდა დავბრუნდე სამარცხვინოდ დამარცხებული? არა, არ დავბრუნდები,—ვგრძნობ ეს ჩემი „არ დავბრუნდები" იმდენად მტკიცე და კატეგორიული ხდება, რამდენადაც სად ჰაერზე ღონე მემატება.

დავბანცალობ გაყინულ თოვლიან მინდორზე, თეთრი ღამეა. მთვარე ზედ თავზე დასცქერის ჩვენს ბანაკს. ცაზე ერთი ღრუბელიც არ არის.

კარგა დიდ მანძილზე ვშორდები ჩვენს ღამის სათევს. პირი დაფჩენილი მაქვს. ჰაერი მაინც არ მყოფნის. ვერ გამიგია,— ამ ვრცელ თეთრ მინდორზე ნუ თუ იმდენი ჰაერიც არ არის, რომ ჩემი ფილტვები ამოავსოს. ჩემს ზურგს უკან ყინვარ-წვერია. წინ შავ-ნაბადას მთა. ისიც თეთრ სუდარაში გახვეული! ფიწალივით მაღლა აწვდილი მისი კლდოვანი ორწვერი მკრთალ სინათლეში შავ ანაფორაში ჩაცმულ ბერ-მონაზვნებს გავს.

თითქოს ლოცულობენ.

ეს წყეული მთვარე გაჩერებულა, ერთ ალაგს. გადახრას არ ფიქრობს. რა ცივი, ჯოუტი და გულქვაა!

სიჩუმეა. ჩემ ყურამდე არ აღწევს მძინარეთა ოხვრა და ხშირი სუნთქვა.

აღმოსავლეთით ჩვენ ქვემოდ მთებს შუა და მათ გადაღმა ღრუბელი დაწყნარებული ზღვასავით ერთ დონეზეა გაწოლილი და მწვერვალები ღრუბლებში ყელამდე ჩაყვინთულ მთების ისე სჩანან, როგორც პატარა კლდოვანი კუნძულები დიდ ოკეანეში. ეს ღრუბლები რომ ჩვენკენ დაიძვრენ, რა გადაგვარჩენს?

ცივა. შევალ ისევ კარავში, ვეცდები დავიძინო. ვუახლოვდები ღამის სათევს. ოხვრა, კვნესა, ზმუილი. როგორ გავს ბრძოლის ველზე უპატრონოდ მიტოვებულ დაჭრილ ჯარისკაცთა ღამის სათევს!

მოხევეებს ერთად მოუყრიათ თავი და მღერიან წყნარი ხმით. (ისინი კარვის გარედ ათევენ ღამეს თავიანთი ნაბდების ამარა). რა ამღერებთ ამ ოჯახქორებს? მგონი ეს სიმწრის სგანაა. მღერა შეუმჩნევლად ზმუილში გადადის. ცივა. მაგრამ კარავში გადატანილი წამება რომ მაგონდება, შესვლას ვერ ვბედავ. ჩამოვჯდები მაინც აგერ ტომარაში გახვეულ ბარგზე.

— «Чорт, кто это сел на меня»?

—მომესმა ტომრიდან კაცის ხმა..

ტომარაში, რომლითაც ჩვენი ბარგი მეგონა შეკრული, საბანში გამოხვეული ოპერატორი ლეონტოვიჩი ყოფილა შეხვეული.

— «Извини, я думал, что ты мешок».

— «Так и есть; он пустой мешок».—

იხუმრა ვიღაცამ კარვიდან. ალბად ჩემსავით უძილობით გაწამებულმა. მივძვრები კარავში. ისევ სუნთქვის შეხუთვაა. ისევ სად ჰაერზე გამოსვლა.

ასეთ წამებაში, როგორც იქნა ვეღირსე გათენებას.

წრიაპებით და წერაქინით

— აბა წამოდექით,—მოემზადეთ—გაისმა სვიმონის ბრძანება. ტურისტები თანდათან სოროებიდან გამოძვრებ. ვაკვირდები მათ, განთიადის ჯერ კიდევ მკრთალ სინათლეზე ვეძებ: გალურჯებულ მოკუმშულ სახეებს. ჩაზნელებულ თვალებს. გაზით მოწამლულ ადამიანის ცხვირივით, გასიებულ, გაშავებულ და გაგრძელებულ ცხვირებს.

— მიიღეთ „ზავხოზისგან" შოკოლადი, ნიორი—გაისმა მეორე ბრძანება.

დღე მშვენიერი დადგა. ჩვენს მაღლა,—ცაზე და მყინვარ წვერზე ერთი ღრუბელიც არა სჩანს, [illegible] შორს სამხრეთით მცირე რამ ნისლის ნაწყვეტი მთას აკრავს ბუმბულივით.

გვშორდება გიტო, გულის ფრიალის გამო, მან უარი განაცხადა წამოსვლაზე, და ბეთლემის მონასტრისაკენ, რომლის წარწერების—ამოკითხვასა და გადაღებას იგი აპირებს.

ბანდულებში ახალი თივა ჩავაფინეთ და ფეხებზე მკვრივად მაგრათ თასმებით შევიმაგრეთ. ეხლა წრიაპები უნდა მივიმაგროთ. წრიაპების ფეხზე მიბმა დიდ ოსტატობაა. ჩვენ ეს არ ვიცით.

— აბა სანდრო, აბა იობა, გამიკეთე წრიაპები. აწუხებენ აქეთ-იქიდან მოხევეებს.

— გივარგი, თუ ძმა ხარ მაგრად მომაბი, ხომ იცი მაგის იმედით ვბედავ ასვლას,—ევედრება ჩემი ბარგის მზიდი.

ჯავრი ნუ გაქვს, მაგრად არის მიკრული. —დამამშვიდა გივარგიმ, როცა ჩემთან მორჩა.

ეხლა მთელი პრობლემა ჩემთვის, თუ როგორ ჩავიცვა. გაფრთხილებული ვიყავი, თუ ასვლის წინ კარგ ამინდს დაიჭერთ, თბილი ტანსაცმლით დიდად არ დაიმძიმოთ თავი, რადგან ყოველი გირვანქის ზიდვა საშინლად გაგაწამებსო. მაგრამ ამავე დროს ასეთი რჩევაც მქონდა მოცემული: ამინდს ნუ ენდობი, იგი ელვისებური სისწრაფით იცვლება, მსუბუქად ჩაცმული თავს საფრთხეში ჩაიგდებო.

რომელი დამეჯერებინა?

— ეს სამი დღეა მყინვარ წვერს ნისლის ნაგლეჯიც არ გაკარებია. ეხლა, რა ღმერთი გაუწყრება,—გადავწყვიტე. ბოლოს და მხოლოდ თბილი პერანგისა და პიჯაკის ამარა გავყევ წინ მიმავალ ამხანაგებს კვალს. ქვევით ველზე უყარაულოდ დავტოვეთ მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა. (მე შენ გიტყვი, ვინმე მოიპარავს).

შეუდექით ნელ-ნელა წოწვს.—აბა მარჯვედ და ფრთხილად, ნამდვილი ასვლა აქედან იწყება.—გვარიგებს უფროსი.

მივაბიჯებ ყოჩაღად. პირდაპირ გენიალური გამოგონება ყოფილა ეს წრიაპები, რომელიც იმდენად უფრო იმედიანად კიდებს კბილს ზედაპირს, რამდენათ ყინული უფრო მაგარია. ხელი რომ ვინმემ გაჰკრას, არ დაცურდები.

გახა, იაგორა და სიმონი რიგ-რიგობით სჭრიან საფეხურს საფეხურებზე.

ავდივართ უხმოდ, მდუმარედ. თითქოს გასასვენებელ პროცესიას მივყვებოდეთ. უბრალო ხმის ამოღება დაღლილობას აძლიერებს. ყოველ 5—10 ნაბიჯის შემდეგ შესვენება ყავარჯენზე დაყრდნობით. დასვენების დროს თვალს გადავავლებთ ხოლმე ამოვლილ აღმართს. გამწკრივებულ რაზმის უკან მოჰყვება ექიმი, სულ ბოლოში კინო-მუშაკები და აპარატის მზიდველი მოხევეები. მაგვიწვევს და უფრო მეტად მოგვიძლევს ამ უკანასკნელთა ამტანობა. ჩვენ ჩვენ თავს ძლივს მივათრევთ, მიხა წიკლაური და იაგორა კი ზურგზე ფუთნახევრიანი აპარატით და სამფეხით, ჩვენზე ყოჩაღად მიაბიჯებენ.

ვუახლოვდებით შუა წოწს. მოხევეებს აპარატს გარდა რეჟისორი ლებედევიც გაუხდიათ ამოსათრევი. სუნთქვა ძნელდება ყოველ ნაბიჯის ადგმისთანავე. გული [illegible] მას.

უკვე დავივიწყე ალპინისტის ერთი ათმცნებათაგანი („არა ისუნთქო ხახით"). პირი დაფჩენილი მაქვს წყლიდან ამოგდებული თევზივით. ვსუნთქავ, ცხვირითაც, პირითაც, ნეტავი ყურებითაც შემეძლოს სუნთქვა.

თავს ძალას ვატან, რომ მეორე მცნებაც არ დავარღვიო („არ დაჯდე ყოველ შესვენებისასა"), დამჯდარი შესვენება მოქანცულს სხეულს ისე ტკბილად აღუნებს, ისე შლის სახსრებში, რომ დიდი ძალა და უფრო მეტი ნებისყოფაა საჭირო, რომ ფეხზე წამოდგე. თუ ღმერთო გაგიწყრა და თვალიც დახუჭე, ძილი ისე შეუმჩნევლად, ქურდულად ჩაგითრევს, რომ ვერაფერი გამოგაღვიძებს. თუ არავინ წამოგიშველა,—გაიყინები.

— მეტი აღარ შემიძლია—იძახის სახაროვას ქალი და იკეცება.

— ახ, ღმერთო ჩემო, მხოლოდ ერთ წუთს მივეგდები,—ამბობს მეორე და ისიც ჯდება. ცდება მესამეც, მეოთხეც და ამგვარად თითქმის ამავლათა ერთი მესამედი ყინულზე მიწოლილი ისვენებს.

— წამოდექით,—იძახის მრისხანედ სიმონი. მცირე მანძილი და დაგვრჩა, ცოტა მოთმინება კიდევ.

დგებიან, ვიხედები ზევით—(მართლა ცოტა და დაგვრჩა ასავლელი?)

თვალი მოვკარით ყინვარ-წვერზე მცირე ნისლის ნაგლეჯს, რომელიც თანდათან იზრდებოდა.

— საიდან გაჩნდა ასე უცბად? ნუ თუ დაიძრა ის ღრუბელი, რომელიც წუხელი ჩვენს დაბლა იყო გაწოლილი და დილით კი სადღაც გაქრა. გავხედე იმ მხრისკენ. შავი ღრუბლები იორიზე გადასულ მხედრებივით მოქრიან ჩვენკენ,—ყინვარ წვერისაკენ.

მთაზე ნისლები
აჩქარებულნი, მღერითა...

რამდენად უფრო ზევით მივიწევთ, უფრო მეტად ვეხვევით მოზღვავებულ ნისლის სამოსელში. თვითეული ჩვენგანი ხედავს მხოლოდ მის წინ მიმავალ ამხანაგს. სასტიკად გვაღელვებს და გვაღონებს დარის ასეთი უეცარი გამოცვლა.

მაინც არ ვდრკებით. ავდივართ ნელა, ფრთხილად, როგორც ღამე მავალი კაცი მთის ბილიკზე; სუნთქვა თანდათან უფრო სჭირს. ხახა შრება. პირში წვეთი ნერწყვი აღარ არის.

ქვევიდან ძლიერი ქროლვით გვაწვება ნისლი. წყალი, ერთი წვეთი წყალი [illegible]. ამაზე მეტი განსაცდელი მე აღარ [illegible]. ეხლა გამომადგა შემონახული ლიმონი, ტლანქი ტყავის ხელთათმანებიანი ძლივს ამოვიძვრე ის ჯიბიდან.

მოვკბიჩე თავი, მოვწუწნე, გალბა, დასველდა ყელი, დავიწაფე. პირი ვერ მოვაშორე. მოვსულიერდი, ძალ-ღონე მომემატა. [illegible] ამხანაგებმა, მოხევეს, დამიზრა გახარება (ვხედავ —ჩემი მშველელი ამ ყინულოვან კლდეზე მხოლოდ ეს ლიმონია). მაგრამ უარი მაინც ვერ ვუთხარი ვერც ერთს. დამრჩა მხოლოდ პატარა ნაჭერი. [illegible] გზა და გზა.—ყოველი ათი ნაბიჯის ადგმაზე.

ნისლი სქელდება. სულ აღარაფერი სჩანს. მოისმის მხოლოდ წერაქინების და ალპენშტოკების წკარუნი ყინულზე. ვჩერდებით. ჩემზე წინ მიმავალი სადღაც გაჰქრა. (ნუ თუ [illegible] და ის უბედური? როგორ ვერ შევამჩნიე?) ვდგამ რამდენიმე ნაბიჯს და ვხედავ სიმონ ჯაფარიძის გამოწვდილ ხელს. მეც ვუწვდი ხელს და იგი მიტაცებს ზევით ერთი მეტრის სიმაღლეზე. ასე ამოჰყავს დანარჩენებიც.

ყველანი, ექიმიანათ ვაკეზე—უნაგირაზე ვართ. მოსვლისთანავე ამოიტანეს აპარატები.

ზოგი დაჯდა, ზოგი ყავარჯენზე დაყრდნობილი ვისვენებთ. ვდუმვართ.

ქარი ძლიერდება, საშინელი ძალით მოდიან და მოდიან ღრუბლები. იწყება თოვა, თოვას სდევს ხოშაკალა; ქარი სახეში სცემს გაყინულ თოვლს. [illegible] უკანიდან ქარი გაგვეკვეთება საშინელი სიმძლავრით და მიგვაქანებს ნაპრალისაკენ. ჩვენ უხმოდ ვეფინებით ძირს თოვლზე. [illegible] ყინულოვან კლდეზე არ გადაგვისროლოს. ვყვირით, ერთი-მეორის ხმა არ გვესმის. ქარბუქში მოისმის გრძელი შემზარავი სტვენა და ღმუილი.

ბუნება გიჟდება: თოვლი, სეტყვა, ხოშაკალა, [illegible] ღრუბლის წვეთები, ელვა, ქუხილი, თვალის დასაბრმავებლად გადაკრული: ლაჟვარდი ცა; შემდეგ ისევ ღრუბლები, ისევ თოვა, ქუხილი და შემზარავი სტვენა.

რისხვაა, რისხვა გამწყრალ მყინვარის.

ნუ თუ დავიღუპებით?

ჩვენ მარჯვნით გაფითრებულნი დგანან მეგზურები და სვიმონთან ერთად თათბირობენ. მეგზურები (ეს ამბავი შემდეგ გავიგეთ) დაჟინებით მოითხოვენ არ განვაგრძოთ გზა, და როგორც კი ქარბუქი ჩადგება, უკან დავბრუნდეთ.

— მეტი წილი გამოუცდელნი არიან, დაიღუპებიანო—ამბობენ ისინი.

მყინვარ-წვერზე

ბუნება ოდნავ წყნარდება, ქარბუქი ჩადგა.

— აბა, ვისაც ღონე შეგწევთ მომყევით,—იერიშზე გადასულ სარდალსავით ყვირის სვიმონი.

მთელი რაზმი ერთი კაცივით ფეხზე დგება და მიჰყვება მას.

ავდივართ 80 გრ. დაქიდულ მოყინულ კლდეზე. ისევ ქარბუქი. სუსხიანი ქარი და ხოშაკალა ცხვირ-პირსა გვჩხლეტს. ვერ გვშველის მასკა და მატყლის ჩაფხუტები. ნაფეხურებზე მაგრად ვეჭიდებით წრიაპებს და ცალი ხელით ვებღაუჭებით წერაქინით გამოთხრილ ხვრელის ჩასაკიდებელს. მივიწევთ ნელა. [illegible] კლდე ცხვირ წინ ისეა აწვდილი, რომ მთელი სახით ვეხებით მას. აქეთ იქით კლდებზე გადახედვაც ვერ ვბედავთ. სიმაღლესაგან შეიძლება თავბრუ დაგვესხას და გადმოვარდეთ.

და ასე ნაბიჯ-ნაბიჯით მივიწევთ.

დაქიდულ კლდეს მოვრჩით, ფეხი ვაკეზე მიდგას, [illegible] მომღიმარი სახით, ჩემკენ მომავალს.

ნუ თუ აქ ვართ?—ვეკითხები ჩემს თავს. გახა მეხვევა და მკოცნის.

— ავედით ავედით, მოგილოცავ მყინვარწვერზე ასვლას,—ამ სიტყვებით მეგებება და მკოცნის იაგორაც.

ამ სამახარობლო ამბით ვეხვევით ყველანი სათითაოდ ამხანაგებს.

საყოველთაო მილოცვა, გადახვევა.

— ვაშააააა,—ურაააა. გაუმარჯოს ექსპედიციას, მის სარეკორდო ასვლას მყინვარწვერზე,—ერთხმად ვიძახით, [illegible]

ერთხანს დუმილი, გაშტერება; თითქოს არავის სჯეროდეს, რომ მყინვარ-წვერზე ასვლა სინამდვილეა.

შემდეგ ისევ სიცილი, სიხარულისა და აღტაცება.

მოხევეებს ამოაქვთ აპარატი.

სიმონი გარბის პროფესორ დიდებულიძის მიერ დადგმულ მეტეოროლოგიურ ბუდრუგანას სანახავად. იგი ორი არშინის სიღრმეზე თოვლით დამარხული აღმოჩნდა. ეძებს, პოულობს, შემდეგ გვაუწყებს, რომ გასულ ზაფხულს თერმომეტრი მინიმუმ—66 გრადუსს გვიჩვენებს.

ტერმომეტრის შემოწმება—ეს დიდი მისიაც შესრულებულია.

სწორედ გვაქვს საფუძველი ზეიმისათვის. ტაში და ფანდური; ცეკვავენ მოხევეები, ჩვენი ბანაკი. ვეცდებით ყველა სათითაოდ.

ოპერატორი ბელიაკოვი შეუჩერებლად ატრიალებს კინო აპარატს.

დატკბა ამინდი. თითქოს არ სეტყვა გადაიარა, ქარს მოაქვს მხოლოდ ღრუბლები.

ხანდახან ერთი თუ ორი წამით შეჩერდება ღრუბლების ქროლვა და მაშინ თავს დაგვცემს ლაჟვარდოვანი ცა, და ჩვენ ვხედავთ:

— აზერბეიჯანულ კავკასიონის ქედს—[illegible]

— ცაში ატყორცნილს მთის თეთრ მწვერვალებს—იალბუზს, დიხტაუს, კოშტანტაუს.

— პატარა და დიდ მთებს ძმა ბიჭებით [illegible]

ვხედავთ:

— ჩრდილოეთ კავკასიის დაბა ქალაქებს მდინარეებს, პურისა და სიმინდის ყანებს.

— რუსეთის ველებს, თვალუწვდენელ რუსეთის ველებს.

გულში თავის თავად იბადება სულ უბრალო, მარტივი სიტყვა მისალმებისათვის.

— სალამი შენდა დაგრეხილო კავკასიონო! პურის ველებო, სათიბებო, სიმინდის ყანებო!

— სალამი შენდა საბჭოების დიდო ქვეყანავ!

— სალამი ყველას ყინვარების მაღლა წვერიდან.

(დასასრული იქნება)

ვ. წულუკიძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 192—202.

*) მოხევეები მყინვარ-წვერს ხევის პატარძალს ეძახიან.

ქრონიკა

ახალი დანიშვნები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგე ამხ. **ალ. ფირალიშვილი** სასწავლებლად გაგზავნის გამო განთავისუფლებულია კულტგანყოფილების გამგის თანამდებობიდან და გამომცემლობა „შრომა“-ს გამგეობის წევრობიდან. დროებით ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილების გამგის მოვალეობის შესრულება დაევალა ამხ. **ხვედელიძეს.**

სამუშაოდან განთავისუფლებულია აგრეთვე საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. **ელბაქიძე,** მისი ს. მ. უ. საბჭოში გადაყვანის გამო, და შრომის დაცვის განყოფილების გამგეთ წამოყენებულია ამხ. **სოხანაშვილი.**

ნათესების მდგომარეობა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ცნობით სიმინდის ნათესების მდგომარეობა 1 სექტემბრისათვის შეფასებული იყო 3,1 ნიშნით, ვენახები—3,3; ხილის ბაღები—2,7; თამბაქო—2.7; ბამბა—2;9 და სათიბები—3,0.

ახალციხის მაზრის დაბლობ ადგილებში მოსავალი აკრეფილია; თბილისის მაზრაში იდგა ცივი და ქარიანი ამინდები; ქუთაისის და სენაკის მაზრებში იდგა წვიმიანი ამინდები. აჭარისტანში იდგა გვალვა.

ახალი სახელწოდება აბრეშუმის ქარხნებს

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა საქართველოში არსებულ აბრეშუმის ქარხნებს ამიერიდან ეწოდოს შემდეგი სახელები: ქუთაისის აბრეშუმის ქარხანას „ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის ქარხანა“; ოზურგეთისას: „პარიზის კომუნის სახელობის აბრეშუმის ქარხანა“; თელავისას: „25 თებერვლის სახ. აბრეშუმის ქარხანა“. სამტრედიის აბრეშუმის ქარხანას: „საბჭოთა საქართველოს აბრეშუმის ქარხანა“; თბილისის აბრეშუმის ქარხანას: „წითელი ფეიქარი“. პირველ საგრენაჟო სადგურს: „წითელი ვარსკვლავი“; მეორეს—„მესამე ინტერნაციონალის სახ. საგრენაჟო სადგური“; და მესამეს: „პროფინტერნის სახ. საგრენაჟო სადგური“.

ფერო-მარგანეცის ქარხანა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის გეგმაში შეიტანა ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება. 1928—29 წლის საკონტროლო ციფრებში შეტანილ იქნა 20.000 მანეთი საცდელ ელექტრო-ღუმელის მოსაწყობათ, რომელიც იმუშავებს ზაჰესის ენერგიით. ფერო-მარგანეცის ქარხნის გეგმის დასამუშავებლად პრეზიდიუმმა გადასდო 50.000 მ.

შინამრეწველობის გასაძლიერებლად

სახ. მეურ. უმ. საბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა რესპუბლიკანურ ბიუჯეტიდან შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირის ძირითადი თანხის გასადიდებლად გადადებული იქნეს 50.000 მანეთი.

ფანერის ქარხანა

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა თბილისის ალმასკომის განკარგულებაში მყოფი ფანერის დამამზადებელი ქარხანა გადაეცეს სატყეო ტრესტს. ვინაიდან საქართველოში დამზადებულ ფანერებზე დიდი მოთხოვნილებაა უცხოეთში, სასოფლო-სამეურნეო უმ. საბჭომ გადასწყვიტა გააფართოოს აღნიშნული ქარხანა და შეუდგეს საექსპორტო მასალის დამზადებას.

კრედიტები უღარიბეს გლეხებს

თბილისის ალმასკომის სააღგილ-მამულო განყოფილების ცნობით თბილისის მაზრაში უღარიბეს გლეხებს შორის გასანაწილებლად მე-3 და მე-4 კვარტალის ანგარიშში გადადებული იქნა 8980 მანეთი. ეს თანხა გადაეცა მაზრაში არსებულ საკრედიტო ამხანაგობებს უღარიბეს გლეხებს შორის გასანაწილებლად. სათანადო დადგენილების მიხედვით აღნიშნული თანხა განაწილებული იქნა შემდეგ თემებს შორის: ასურეთის მიეცა—350 მან., აღბულახს—400 მ., ერწოს—650 მან., მარტყოფს—1272 მან., სართიჭალას 500 მ. თიანეთს—650 მ., წალკას—200 მ., დუშეთს—1176 მ., ნატახტარს—704 მ., ფასანაურს—200 მ., ავჭალას—472 მ., დიღომს—472 მ. მანგლისს—472 მ., საგარეჯოს—472 მ. მუხრანს—472 მ., კოლმეურნეობას „მეურნეს“—472 მან.

ამიერ-კავკასიის ტყეების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის ტყეების მდგომარეობის გამოსაკვლევათ დაარსდა საგანგებო კომისია—ამხ. ბაგიროვის თავმჯდომარეობით.

თბილისის ალმასკომში

◆ **დაზღვევა.** თბ. ალმასკომმა წინადადება მისცა თემალმასკომებს ჩატარონ კამპანია თემებში სასოფლო მეურნეობის სტიქიურ უბედურებისაგან დასაზღვევათ.

◆ **საჩვენებელი თემი.** საგეგმო კომისიამ შეადგინა თბ. მაზრაში საჩვენებელი თემის მოწყობის გეგმა. თემის მოწყობა დაიწყება მიმდინარე წლიდან.

სხვადასხვა

◆ **სასელექციო სადგური.** განზრახულია წელს ოზურგეთში მოეწყოს სასელექციო სადგური.

კრებები და მოხსენებები

— დღეს, 7 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ახალ მუშათა კლუბში, გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს საზღვარგარეთის განყოფილების გამგე ამხ. პავჩინსკი წაიკითხავს მოხსენებას კელოგის პაქტის შესახებ.

კლუბისა და კავშირის (მბეჭდავების) შესვლა უფასოა.

ხელოვნების ქრონიკა

— **ტოლსტოის იუბილეში** მონაწილეობის მისაღებათ მოსკოვში გაიგზავნა სანდრო ეული.

— **მედსანშრომის მუშაკთა** კლუბში დღეს გამართება სიმფონიური კონცერტი ბერდიაევის მონაწილეობით.

— **ტრამვაის მუშათა კლუბში** შაბათს წარმოდგენილი იქნება „რელსები გუგუნებენ“.

◆ **მუშათა თეატრის რუსული** სექტორი შეუდგა სამზადისო მუშაობას. მთავარ რეჟისორად მიწვეულია ტატიშჩევი.

შემთხვევები

ქურდობა

5 სექტემბერს გაქურდეს დიმიტრი ზაბლოცკის ბინა (მატინოვის ქ. № 19) წაიღეს 300 მ. ნივთები. ამავე დღეს გაქურდეს ხაჩატურ ხაჩატუროვის ბინა (პლეხ. გამზ. № 39) წაიღეს 100 მ. ნივთები.

ჯიბგირობა

5 სექტემბერს ტრამვაის ვაგონში მოქ. ანატოლ ბატაევს ამოაცალეს 50 მ.

აცილებული უბედურება

5 სექტემბერს № ლეგიონის წითელ არმიელი მერაბიშვილი ფურგუნიდან მტკვარში ყრიდა ნაგავს, რის დროსაც ცხენები დაფრთხა და ფურგუნი გადავარდა მტკვარში, ფურგუნმა თან გადიყოლია ცხენები და მერაბიშვილი. წყალში დამხმარე პუნქტის დახმარებით დახრჩობას გადარჩენილი იქნენ როგორც ცხენები ისე მერაბიშვილი.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

მუშურ რაიონების მომარაგება პირველი მოთხოვნილების საგნებით

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) ამხ. საკიანის მოხსენება მუშური რაიონების მომარაგების შესახებ პირველ მოთხოვნილების საგნებით.

მოხსენების გამო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრული იქნეს შუამდგომლობა ა. კ. პროფსაბჭოს საშუალებით საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წინაშე, რათა საქართველოს ყველა მუშური რაიონები პირველ მოთხოვნილების საგნებით მომარაგების მხრივ ჩარიცხული იქნეს პირველ კატეგორიაში. საქართველოს ვაჭრობის კომისარიატთან არსებულ საგანგებო კომისიაში საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლად გამოყოფილი იქნა ამხ. ავანოვი.

მოხსენების გარშემო პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. **საკიანის, ავანოვის, მარკმანის, ავეტისოვის და ზანდურიანის** შემადგენლობით. კომისიას დაევალა წინადადებების დამუშავება დაამთავროს სამი დღის განმავლობაში.

პროფმუშაობა მოჯამაგირეთა შორის

პროფმუშაობის გასაძლიერებლად თბილისის მაზრის მოჯამაგირეთა შორის გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. **ანთიძის, სიხარულიძის და დოლიძის** შემადგენლობით, რომელსაც დაევალა პრაქტიკულ წინადადებების გამომუშავება.

ბიულეტენების ბოროტად გამოყენების შესახებ

ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმმა მოისმინა სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს უფროსის ამხ. ნარჩემაშვილის მოხსენება ავადმყოფობის ბიულეტენის ბოროტად გამოყენების შესახებ ზოგიერთ მუშა-მოსამსახურეების მიერ.

ვინაიდან ასეთი ბოროტმოქმედება არა მარტო მატერიალურ ზარალს აყენებს დამზღვევ სალაროს, არამედ გამხრწნელ გავლენას ახდენს ჩამორჩენილ მუშებზე, რომელთა წრეშიაც აქვს ადგილი ბოროტმოქმედებას, ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა აუცილებლად იქნეს ცნობილი საჩვენებელი გასამართლების მოწყობა ერთ-ერთ მუშათა კლუბში, რისთვისაც გამოყოფილი უნდა იქნეს 20-მდე ბოროტმოქმედი. ამასთანავე დამზღვევ სალარომ უნდა გააძლიეროს კონტროლი ბინებზე მწოლიარე ავადმყოფებზე.

შრომის კოლექტივების ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ

ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს შრომის სახალხო კომისარიატს, რათა უმუშევართა კოლექტივებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები არ იქნეს შეჩერებული და თავის დროზე გადაეცეს კოლექტივთა სამმართველოს.

საბიბლიოთეკო კურსები

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა საბიბლიოთეკო კურსები, გაიხსნას ა. წ. 7 ნოემბერს რისთვისაც ს. პ. ქ. ს. თანხებიდან გადადებულია 1.200 მანეთი. კურსებზე ადგილები განაწილებულია შემდეგნაირად: ბათომი—2; სოხუმი 2, რკინის გზა—3, წყალსანთა კავშირი 1. სამთამადნო—2; საბჭ. მუშ. 2; განათლების მუშაკები—2; აღმშენებლები—1; ტრანსპორტელები—2; ქიმიკოსთა—1; გემო-კვების—1; ფეიქართა—2; ხეზე მომუშავეთა—2. მსმენელთათვის სტიპენდიების დანიშვნა დაევალა კავშირების ც. გამგეობებს.

სასამართლო

მხეცები

ივნისის წვიმიანი და ბნელი ღამე იყო...

უკვე შუაღამეზე გადაცილებული იყო, როცა ღარიბი გლეხი **ისაკ შავლიაშვილი** შეშინებული წამოვარდა ლოგინიდან. თოფის ხმამ გამოაღვიძა.

შავლიაშვილის ცოლ-შვილს ტკბილად ეძინა. რომ არ დაერღვია მათთვის ძილი, ისაკი ფეხაკრეფით მივიდა ფანჯარასთან, გადასწია ფარდა და ეზოს გადაავლო თვალი.

ცხენებიდან გადმოხტა ორი შეიარაღებული კაცი და ჩქარი ნაბიჯით გაემართა ისაკის სახლისაკენ.

ისაკის ჟრუანტელმა დაუარა ტანში. იგრძნო, კეთილი განზრახვით არ ესტუმრებოდნენ შეიარაღებულები.

ისაკიმ მაგრად ჩაკეტა კარები. მაგრამ ამ დროს იხრიალა ფანჯრის მინებმა და თოფის ლულა გამოჩნდა ოთახში.

— გააღეთ კარები, თქვენ მამაძაღლებო!—ისმის ხმა.

გაეღვიძა შავლიაშვილის ცოლს. შეშინებულმა ქალმა შვილებს გადააფარა სახეზე საბანი, თვითონ წამოდგა და სისხლი რომ არ დაღვრილიყო, რომ მისი ქმარი ამ ჯიუტობისათვის არ გამხდარიყო ტყვიის მსხვერპლი—მაშინვე კარები გააღო და თავაზიანად უთხრა „სტუმრებს“: „მობრძანდითო“.

გაიღო კარი და გამოჩნდა თოფით ხელში რუბენ ავეტისოვი.

რუბენი იცნეს შავლიაშვილებმა. რუბენი თბილისიდან დროებით ესტუმრა სოფელ ახაშენს (სიღნაღის მაზრა). დროებით მუშაობს ადგილობრივ ალმასკომში. ისინი ცუდ რამეს არ მოელიან შავლიაშვილები.

ავეტისოვი შევიდა ოთახში. კარებთან გამოჩნდა მისი ამხანაგი არჩილ მამულოვი.

ორივე ზარხოშათ არიან.

— აბა გამოიყვანე შენი პატარა გოგონა; მინდა ავხედ-დავხედო. თუ დამიჯდება თვალში,—სთქვა რუბენმა და ულვაშზე ხელი გადაისვა.

— ბატონო, თქვენი საკადრისი ქალი სად მყავს. კოჭლია, ცალი თვალი სულ არ აქვს. გზაში რომ შეგვხვდეს არ შეხედავთ, გარდა ამისა, ჯერ სულ ბავშია, 14 წლის... დაბრძანდით... ვახშამს გავაწყობთ, ვიქეიფოთ...—შავლიაშვილს უნდა როგორმე მოალბოს მხეცების გული.

რუბენმა თოფის კონდახი ჩაარტყა შავლიაშვილს და გაექანა იმ ოთახისაკენ, სადაც ისაკის ახალგაზრდა გოგონა იწვა. სტაცა ქალს თმაში ხელი და გაითრია მეორე ოთახში.

ატირებული მშობლები რუბენ ავეტისოვმა ჩაკეტა უკანა ოთახში, თითონ კი დაიმარტოხელა პატარა გოგონა.

უკანა ოთახიდან ისმოდა მშობლების გულშემზარავი ტირილი და ძახილი: „არ დაგვღუპოთ“!

წინა ოთახში კი მწარე ხმით ჰკიოდა მხეცის ხელში ჩავარდნილი გოგონა. ორჯერ იჯერა გული რუბენმა და შემდეგ ქალი თავის ამხანაგს გადაულოცა.

არჩილ მამულოვმა აივანზე გაიყვანა გრძნობა დაკარგული ქალი და იქ დაიცხრო ჟინი. მშობლები უკვე უკანა კარებიდან გამოსულიყვნენ ეზოში. შორიდან უყურებდნენ, როგორ აწვალებდნენ მხეცები მათ ქალიშვილს და გულდაკოდილნი თავში ხელებს იცემდნენ.

დასრულდა წამება. „რაინდები“ მოახტნენ ცხენებს და მოჰქუსლეს.

— კრინტი არ დასძრათ, თუ სიცოცხლე გინდათ,—უკანასკნელად დაიძახა რუბენმა.

გათენებისას ეს ამბავი ეცნობა ადგილობრივ მილიციას, რომელმაც აღმოაჩინა თავდასხმელები და დააპატიმრა.

ამბავი მოხდა წელს 8 ივნისს სოფელ ახაშენში (სიღნაღის მაზრა). ამ მხეცობამ აღშფოთება გამოიწვია ადგილობრივ გლეხებში, რომლებიც მოითხოვდნენ.. დამნაშავეების სასტიკად დასჯას.

საქმე გაარჩია სიღნაღის სასამართლომ.

ორივე მხეცს მიესაჯა ექვს-ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

დანაკლისი, რომელიც ჯეჯილივით იზრდებოდა

სამსონ მიხეილის ძე ბეკურაშვილი იყო ცეკავშირის სტამბის გამგე და მოლარეც.

მიუხედავად იმისა, რომ ბეკურაშვილს ნდობის თვალით უყურებდა გამგეობა, ყოველ შემთხვევისათვის სარევიზიო კომისიამ საჭიროდ სცნო სალაროს გადასინჯვა თვითონ გამგის თანდასწრებით.

სალაროში მაინცდამაინც დიდი არაფერი აღმოჩენილა დანაკლისის სახით. სულ რაღაც 168 მანეთამდე, რაზედაც ლაპარაკიც „არ ღირს“. არც სარევიზიო კომისია დარჩენილა დიდად უკმაყოფილო ამ მცირე დანაკლისით, მაგრამ როცა დებიტორების წიგნები გადასინჯეს, აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა დაწესებულებებიდან მიღებული იყო მთელი რიგი თანხები, რომელიც სადღაც „მიმალულიყო“.

დანაკლისი მიემატა დანაკლისს, და ბეკურაშვილს უკვე მაგარი საყვედური უთხრეს 106 მანეთის მითვისებისათვის და აღუძრეს სათანადო „პატივისცემა“.

ბეკურაშვილი ავარდა, დავარდა და უნდობლობა გამოუცხადა სარევიზიო კომისიას.

ცეკავშირის გამგეობამ გაიგო ეს ამბავი და დანიშნა ხელახალი რევიზია. გასული წლის 20 დეკემბერს ახალი რევიზიის დასკვნა ასეთი იყო: დანაკლისი უდრის არა 1106 მანეთს, არამედ 1839 მანეთს.

კიდევ ავარდა და დავარდა ბეკურაშვილი, სასტიკი პროტესტი განაცხადა.

გამგეობამ ამ დანაკლისის სისწორის შემოწმება მიანდო ინსტრუქტორ-კონტროლიორებს.

იანგარიშეს ხელახლა ყველაფერი და ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა უდავოდ სცნეს, რომ დანაკლისი უდრის 1912 მანეთს. შემდგა ოქმი, ბეკურაშვილი მოხსნეს სამსახურიდან. საქმე გადაეცა სასამართლოს.

საქმის გარჩევა უკვე დაიწყო თბილისის სასამართლოში. ცეკავშირის გამგეობის წარმომადგენელი სასამართლოში აცხადებს, რომ გაფლანგული თანხა გაცილებით მეტია და ადგენს დამატებით მასალებს.

საქმე გადაიდო. დაინიშნა ხელახალი გამოძიება. დანაკლისი ავიდა 2320 მანეთამდე.

აქ ჯერ-ჯერობით შეჩერებულია დანაკლისის ზრდა. საქმის გამოძიება დამთავრებულია და უნდა გაირჩეს ამ დღეებში, თუ კიდევ არ აღმოჩნდა ახალი დანაკლისი.

გერ.

მიტინგი-გამოძახება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **მარკმანის** მოხსენება მიტინგ-გამოძახების კამპანიის ჩატარების შედეგების შესახებ.

მოხსენების გამო პრეზიდიუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია პროფკავშირების სრულიად არადამაკმაყოფილებელი მონაწილეობა მუშკორის მიტინგ-გამოძახების კამპანიაში.

რეზოლიუცია აღნიშნავს აგრეთვე, რომ კავშირების ც. გ. გეგმიან და სისტემატიურ მუშაობას არ აწარმოებდნენ კავშირების წევრთა ჩასაბმელად კოოპერაციაში.

კავშირებს წინადადება მიეცათ სასწრაფოდ შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი კავშირების წევრთა კოოპერაციაში ჩასაბმელად და ამ უკანასკნელთა მიერ სრული პაის დასაფარავად.

კავშირებმა კოოპერაციის მუშაობას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რაც შეტანილი უნდა იქნეს საკავშირო ორგანიზაციების მუშაობის საერთო გეგმაში.

გაცხოველებული და გაძლიერებული უნდა იქნეს კოოპერატიულ კომისიების მუშაობა.

ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს კოოპერაციას თავის წევრების სანაზარო ოპერაციების მოწყობის საქმეში. ამასთანავე კავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საუკეთესო კოოპერატიულ კომისიის კონკურსის ჩატარებაში.

მატყლის კონტრაქტაცია

მატყლის დამზადება ამიერ-კავკასიაში მომავალი წლიდან კონტრაქტაციის წესით იწარმოებს.

მატყლის კონტრაქტაციას მთლიანად ჩაატარებს კოოპერაცია.

მომავალ წლისათვის სულ ნავარაუდევია 3500000 მანეთის მატყლის დამზადება. აქედან მატყლის დამზადება რესპუბლიკებში ასე განაწილებული:

გაზაფხულის მატყლი საქართველოში დამზადდება 97.305 ფუთი (საერთო რაოდენობა).

შემოდგომის მატყლი: აზერბეიჯანში დამზადდება 128.850 ფუთი. საქართველოში—93.562 ფ. და სომხეთში 21.910 ფუთი.

ბატკნის მატყლი: საქართველოში დამზადება—21.597 ფუთი, აზერბეიჯანში—24.250 ფუთი და სომხეთში—13.980 ფუთი.

დამზადებულ მატყლის საერთო რაოდენობიდან ამიერ-კავკასიის მატყლის დამმუშავებელ მრეწველობას გადაეცემა 70.000 ფუთი, თუ არ ჩავთვლით თბილისის მაუდის საქსოვ ქარხანას.

1927—28 წლის განმავლობაში მატყლის კონტრაქტაცია ვერ ჩატარდა, მაგრამ სას.-სამ. ძირითად ორგანიზაციებს მატყლის დასამზადებლად დაურიგდათ ავანსები.

მომავალი წლის მატყლის კონტრაქტაცია დაიწყება დეკემბერში და იანვარში ე. ი. იმ დროს, როდესაც მეცხვარეები საჭიროებენ ფულს, მარილს და ცხვრისათვის სხვა საჭირო საქონელს. ამ დროისათვის კოოპერაცია მომარაგებულია თანხებით და საქონლით საერთოდ მეცხვარეებს აღნიშნულ ვადებში მიეცემათ ჩაბარებული მატყლის 25 პროცენტის ღირებულება.

საკონვენციო ბიურო

1928—29 წლის მატყლის დამზადების კამპანიის ხელის შესაწყობათ დაარსდება საკონვენციო ბიურო.

ახალი სასწავლო წელი

ა.-კ. კომ. უნივერსიტეტში

26 კომუნარის სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებულ საღამოს კომუნისტური უნივერსიტეტში მსმენელთა მიღება დაიწყო 5 სექტემბრიდან. სამანდატო კომისია მუშაობას შეუდგა გუშინდლიდან. დღეს საღამოს ექვს საათზე იწარმოებს აკადემიური გამოცდა. მსმენელები უსათუოდ უნდა გამოცხადდნენ 9 სექტემბრამდე.

აჭარისტანის განათ. კომისარიატის ცნობა

აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატი 15 სექტემბერს იწვევს მასწავლებელთა საორგანიზაციო თათბირს.

აჭარისტანის ქალაქის სკოლებში ნორმალური მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბრიდან, მაზრის სკოლებში კი 1 ოქტომბრიდან.

პედაგოგიური ინსტიტუტის სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტთან გაერთიანება

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით დამდეგ სასწავლო წლიდან თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი შეერთებული იქნება სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტთან.

ინსტიტუტის ყველა მსმენელები გადაირიცხებიან უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის შესაფერ დარგებზე. ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტები ჩაირიცხებიან სახ. უნ. პედ. ფაკულტეტის პირველ კურსზე, მეორე კურსის—მეორე კურსზე და მესამე კურსის—მესამე კურსზე.

ინსტიტუტიდან სახ. უნ. პედაგოგიურ ფაკულტეტზე გადარიცხული სტუდენტები ვალდებულნი არიან ამავე ფაკულტეტის მიერ შერჩევით და განსაზღვრულ დროზე ჩააბარონ გამოცდები იმ ძირითად სპეციალურ საგნებში, რომელიც არ გაუვლიათ პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ინსტიტუტის იმ სტუდენტებს, რომელთაც ეძლევათ სტიპენდია, სტიპენდია მიეცემათ სახ. უნ. ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგაც.

სტუდენტებს, რომელთაც დანიშნული ქონდათ საშემოდგომო დამატებითი გამოცდები, ვალდებულნი არიან ასეთები ჩააბარონ თვით ინსტიტუტში, რის შემდეგ გადაირიცხებიან სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე. ინსტიტუტში დამატებითი გამოცდები იწარმოებს დღეიდან 12 სექტემბრამდე.

რკინის გზებზე

მორიგი დაუდევრობა

5 სექტემბერს, მატ. № 21-მა გაუჩერებლად გაიარა სადგ. პირსოგატი. სასწრაფოდ მიღებულ ზომების შემდეგ მატარებელი შეაჩერეს გასასვლელ ისრებთან.

მთავარი კონდუქტორის ნიშნის შემდეგ, მემანქანე პოლიაკოვმა, დაიწყო მატარებლის უკან დაბრუნება.

დაბრუნების დროს ერთ-ერთ ისარზე, მატარებლის შემადგენლობის შუა ნაწილიდან ლიანდაგს ასცდა ორი ცისტერნა.

მოძრაობის აღსადგენად აჯიკაბულიდან გამოწვეულ იქნა დამხმარე მატარებელი. მატარებლის მოძრაობა აღდგენილ იქნა 5 საათის შემდეგ.

მემანქანე პოლიაკოვის დაუდევრობის გამო იგვიანებენ სამხ. მატ. № 3 3 საათით და 57 წუთით და მატ. № 4 2 საათით და 31 წუთით.

ტეხნიკ დემუროვის გამოგონება

დღემდე, ამიერ-კავკასიის რკინისგზის სადგურებზე სიგნალიზაცია სწარმოებდა კვერცხების ძველი აპარატებით. აღნიშნულ საქმის რაციონალიზაციისათვის კავშირის მასშტაბით სწარმოებს დაცხოველებული მუშაობა.

ა.-კ. რკინისგზებზე მომუშავე ტეხნიკმა დემუროვმა, ამ დღეებში ა.-კ. რკინისგზების გამოგონებათა ბიუროს წარუდგინა სიგნალიზაციის გაუმჯობესებული საშუალება.

ამხ. დემუროვის გამოგონება მნიშვნელოვნათ გააიაფებს სიგნალიზაციის აპარატების ღირებულებას.

ახალი აპარატი განთავისუფლებულია ზედმეტ ნაწილებისაგან, რითაც საგრძნობლად გაუადვილდებათ მუშაობა სადგურის მორიგეებს.

გამოგონებათა ბიურომ დემუროვის გამოგონება სასურველად სცნო და იმავე დროს აღნიშნული გამოგონება ა.-კ. რკინისგზებისათვის აუცილებლად აღიარა.

ა.-კ. რკინისგზების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე, ნება დართოს შემოიღოს აღნიშნული გამოგონება ა.-კ. რკინისგზებზე.

მეცნიერება და ტეხნიკა

მილიკენის სხივები

ამერიკელ ფიზიკოს მილლიკენის მიერ აღმოჩენილი სხივები (ე. წ. „მილლიკენის სხივები“) დიდი ხნის განმავლობაში გამოცანას წარმოადგენდენ ფიზიკოსებისათვის. ამ სხივების არსებობა სიცხადით შეიძლება გამორკვეულ იქნეს მთიან ადგილებში, ზღვებზე და საერთოდ ყველგან, სადაც ჰაერი თავისუფალია მტვერისაგან. მილლიკენის სხივები წააგავს რენტგენის სხივებს, მაგრამ მათზე გაცილებით ძლიერი და „მაგარია“. თუ რამდენად ძლიერია ამ სხივების მოქმედება ეს იქედანაც სჩანს, რომ მილლიკენის სხივებს ვერ იკავებს 5 მეტრის სისქე ტყვიის კედელი, რენტგენის სხივებს კი რამდენიმე მილიმეტრის სისქე ტყვიის ფირფიტაც კი იჭერს. მილლიკენის სხივებს იონიზაციის (მოლეკულის დაშლა დადებითად და უარყოფითად დატენილ ნაწილაკებად) უდიდესი ძალა აქვს. ამ მოვლენას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმების განვითარებისათვის. ზოგიერთმა მეცნიერმა ის მოსაზრებაც კი გამოსთქვა, რომ მილლიკენის სხივები სიცოცხლის წყაროს წარმოადგენენ დედამიწაზე, ამ რამდენიმე ხნის წინად თვით მილლიკენმა ჩაატარა ამ სხივების დეტალური შესწავლა, რომლითაც დაამტკიცა, რომ ეს სხივები დედამიწაზე სამყაროს სივრციდან მოდიან. მილლიკენის აზრით, ეს სხივები ჩნდება სამყაროს სივრცეში მატერიის წარმოშობის პროცესის დროს. ამ პროცესების კერას წარმოადგენენ ე. წ. ხვიისებური ნისლოვანებანი.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 7 სექტემბერი

დღეს, 7 სექტემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.
მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.
საუბარი მუშკორთა საერთაშორისო კავშირზე—ქართულ ენაზე.
შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—მოხს. რუსულ ენაზე.
ტეხნიკური კონსულტაცია.
როგორ მიმდინარეობს თვითკრიტიკა—თურქულ ენაზე.
ფეხმძიმეების ჰიგიენა—თურქულ ენაზე.
გაზეთი ოსურ ენაზე.
გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.
8 სექტემბრის პროგრამის გადაცემა.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 7 აგვისტოს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: დავით ლოლაძეს, მარგარიტა გოსანევსკაიას, ვიქტორ გუბელსკი, ბართლომე კალაძე, ანდრონიკ საკოვი, ვასილ ელისეევ, ნიკიტა სილარენკო, ლიუდმილა ტერ-ასატუროვი, ლევუზის ზარიევა, გაიანე აკოპოვა, გრიგოლ ოსეპოვსკი, ევა შახბაზოვა, არმენაკ ტუმასოვი, ნიკოლოზ კაკაბაძე, ელისაბედ კინველი, ილია თურქოვსკი, კონსტანტინე მალაღაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ვლადიმერ ადამია, სერგო ჯავახიძე, მიხეილ ანტონოვიჩი, ადამ დიანიკოვი, მარგარიტა ზარაფიშვილი, მოისეს საფაროვი, მასკ განცევიჩი, ელენე მალინსკაია, ეკატერინე კატაევა, ფალავანდიშვილი, ანიკო მამიკონიანი, ვანო ბაღდასაროვი, ა. ხატისოვი, პოლია ხეცურიანი, თამარ ქართველიშვილი, გიორგი დარჩიევი, გერასიმე ოსიპოვი, ლევ გოლდენბერგი, ნინო ქორჩილავა, ქრისტეფორ ვეზელოვი, სოკრატ ტერ-ვართანოვი, შუშანიკ მინასია, არშალუზ ბაგრამოვი, ტერ-ოგანეზოვი, ნატალია ვეკუა, ქეთევან დალაქიშვილი, სოლომონ ჯორჯაძე, თამარ ხერუმოვა და დავით არაბიძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: პეტრე გორელაშვილი, ვილგელმ ერგარტი და მარჯარ და არუთინოვი.

მედსექციიდან: ანნა ედიარსკაია, კლავდია კუტეინიკოვა, გეტოვა-მოლინა, მარიამ ჩიბაია, ლიდა რამიშვილი და ნინო დალაქიშვილი.

მატარებლების მიმოსვლის ცხრილი

მატარებლების გასვლა თბილისიდან

მატ. № 1	ლენინგრადში, კვირ.	— 9 ს. 00 წ.
„ № 1	მოსკოვში, შაბათობით და ოთხშაბათობით	— 9 ს. 00 წ.
„ № 9	მოსკოვ-ყაზ. ყოვ.-დღე	— 1 ს. 45 წ.
„ № 10	ბათომში „	— 8 ს. 35 წ.
„ № 9	ერევანში „	—11 ს. 00 წ.
„ № 8	ბაქოში „	—11 ს. 30 წ.
„ № 8	ჯულფაში „	— 6 ს. 00 წ.
„ № 8	თელავში „	—11 ს. 50 წ.
„ № 4	ბათომში „	— 8 ს. 00 წ.
„ № 12	ფოთში „	— 7 ს. 00 წ.
„ № 14	ბათომში „	— 5 ს. 45 წ.
„ № 18	თელავში „	— 8 ს. 05 წ.
„ № 20	ბორჯომში „	— 2 ს. 45 წ.
„ № 24	გორში შაბათობით და უქმე დღეების წინ	— 1 ს. 40 წ.

თბილისში მოსვლა

მატ. № 2	ლენინგრად., პარასკ.	— 5 ს. 30 წ.
„ № 2	მოსკოვიდან, ხუთშაბათობით და ორშაბ.	— 5 ს. 30 წ.
„ № 10	მოსკოვ-ყაზ. ყოვ.-დღე	— 4 ს. 00 წ.
„ № 9	ბათომიდან „	— 7 ს. 10 წ.
„ № 10	ერევნიდან „	— 6 ს. 00 წ.
„ № 4	ბაქოდან „	— 7 ს. 00 წ.
„ № 4	ჯულფიდან „	—11 ს. 45 წ.
„ № 4	თელავიდან „	— 5 ს. 00 წ.
„ № 8	ბათომიდან „	10 ს. 30 წ.
„ № 11	ფოთიდან „	— 8 ს. 40 წ.
„ № 13	ბათომიდან „	— 5 ს. 35 წ.
„ № 14	თელავიდან „	— 4 ს. 45 წ.
„ № 12	ბორჯომიდან „	— 6 ს. 40 წ.
„ № 25	გორიდან კვირაობით და უქმე დღეებში	— 8 ს. 05 წ.

მატარებლების მიმოსვლის საათები ნაჩვენებია მოსკოვის დროით, რომელიც ადგილობრივს ერთი საათით ჩამორჩება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამელიორაციო ამხანაგობა მოეწყობა უმთავრესად იმ მიზნით, რათა შეერთებულის ძალით ააგოს, გამოიყენოს, წესიერად შეინახოს და დაიცვას ასაგები ან უკვე აგებული ჰიდრო-ტეხნიკური სისტემები, რომელთა დანიშნულებაა მიწის მორწყვა, დაშრობა, არხის და ხევის ნაპირების გამაგრება და სხვა.

ამხანაგობას შეუძლიან აგრეთვე აწარმოოს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ე. ი. შეიძინოს სამეურნეო იარაღი და მანქანები, მიწის ხელოვნური სასუქები და ინსექტისიდები, კოლექტიურად დაამუშაოს მიწები, შემოიღოს უფრო შემოსავლიანი სამეურნეო კულტურები, გადაამუშაოს და გაასაღოს სასოფლო პროდუქტები და სხვა.

2. ყოველგვარ ჰიდრო-ტეხნიკურ სისტემის აგება-გამოყენების და შეკეთება-დაცვის საქმეში სამელიორაციო ამხანაგობა ექვემდებარება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დარგში—სოფლის კავშირს. სამელიორაციო ამხანაგობანი შედიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელში (თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 30-ის დადგენილებისა).

3. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო და სოფლის კავშირი გამოიკვლევენ ერთად ამა თუ იმ რაიონში სამელიორაციო ამხანაგობის დაარსების საჭიროებას.

4. სამელიორაციო ამხანაგობის წესდებას დაამტკიცებს სოფლის კავშირი საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით და ამის შემდეგ იგი გაიგზავნება სარეგისტრაციოთ კოოპერაციის საქმეთა სამმართველოში.

5. ყოველგვარი წინასწარი კვლევა, მაგ. ჰიდროტეხნიკური, გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, საანალიზო, გეო-ბოტანიკური და აგრო-ეკონომიური ამა თუ იმ ტიპის მელიორაციის შესახებ იწარმოება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით (თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 16-ის დადგენილებისა); წყალთა მეურნეობის სამმართველო შეადგენს აგრეთვე ამა თუ იმ სამუშაოთა გეგმას, პროექტს და ხარჯთ-აღრიცხვას.

6. ჰიდრო-ტეხნიკურ სამუშაოს აწარმოებს წყალთა მეურნეობის აპარატი ან, წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანხმობით და მისი უშუალო ტეხნიკური ხელმძღვანელობით, სამელიორაციო ამხანაგობა.

7. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი მისცემს ამხანაგობას თანხებს საკრედიტო ფონდიდან თანახმად წესდებისა—წყალთა მეურნეობის სამმართველოს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით.

8. ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა ყოველწლიურად შეკეთებისა, ამ ნაგებობათა ექსპლოატაციისა, წყლის განაწილებისა, წყლის სარგებლობისათვის გადასახადის დაწესებისა და სამელიორაციო სესხის დაფარვის შესახებ სამელიორაციო ამხანაგობა შეადგენს სათანადო პროექტს და გაუგზავნის დასამტკიცებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

9. სამელიორაციო ამხანაგობებს ყოველგვარ აგრო-კულტურულ მუშაობაში ხელმძღვანელობას უწევს სოფლის კავშირი, საქართველოს ს.ს.რ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

10. სამელიორაციო ამხანაგობების მოქმედებათა ყოველწლიურ რევიზიის წესრიგს შეიმუშავებენ ერთად წყალთა მეურნეობის სამმართველო და სოფლის კავშირი; ესენივე მოახდენენ ამ რევიზიას.

11. სოფლის კავშირი გაუწევს სამელიორაციო ამხანაგობებს სრულ ზედამხედველობას, რათა ყოველი ხარჯი წესისამებრ იყოს შესრულებული და ანგარიშში გატარებული. საერთოდ კი ყოველგვარი შემოსავალ-გასავლის ანგარიშწარმოება ემყარებოდეს ბუხჰალტრიის წესს და გამართლებული იყოს სათანადო დოკუმენტებით.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1928 წ. აგვისტოს 21.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვევით ჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს, 7 სექტემბერს დილის 10 საათზე გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. კვირიკაძესთან.

ისააკოვი, პუზული, კრასილნიკოვი, იანუშევსკაია, სვირიდოვი, შმაროვა; ლოსიევა; პროტასიევი; პროტასოვა; ანანინი, ვართაპეტოვი, და სიდოროვა.

დღეს, 7 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება, მეოთხე რაიკომთან არსებულ მე-67 კომუჯრედის დახურული კრება. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის, ქალაქის რაიკომის შენობაში (სოლოლაკის ქუჩა № 7), დღეს 7 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე შესდგება ქალთა ორგანიზატორებისა და ქალაქის რაიონის ქალთა კომისიების გაერთიანებული თათბირი.

აღნიშნული ამხანაგები დღეისათვის განთავისუფლდებიან პარტ კრებებისაგან.

დამწუხრებული: მეუღლე გოგუცა, შვილები: ნინა, ილია, ძმები: ირაკლი, ტიტე ოჯახობითურთ, დაი მაგდანი აუწყებენ საზოგადოებას, რომ სოფ. ქვიანში, 9 სექტემბერს, დღის 12 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ სახ. უნივერსიტეტის ლექტორის

დავით ედემის-ძე ართმელაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის ხსოვნის აღსანიშნავად. 4065

დამწუხრებული ბიძა ილიკო, ცოლის ძმა დიმიტრი, ცოლის და თამარა წულუკიძეები და ბეჟან ტატიშვილი მეუღლით აუწყებენ საზოგადოებას, რომ სოფ. ქვიანში, 9 სექტემბერს, დილის 12 საათზე, მათთვის დაუვიწყარი სიძის და ქვისლის

დავით ედემის-ძე ართმელაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4065

თავზარდაცემულნი მეუღლე ვერა; დედა სოფიო, ძმები: ბარნაბა, ანდრო, გრიშა და ჟენია, დები: აგრაფინა, მარიამ და ვერა, სიძეები: ვასო ლოლუა, მალაქია ნაჭყებია და ილიკო კობახიძე, რძლები—ნინა და ქსენია, ძმისშვილები—ვალოდია და ნურა, დისშვილები: ძიბა, ბუცა, თინა, კოკი, ოთარი და ჯუმბერი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 4 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქ. თბილისის მე-2 საავადმყოფოში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

კონდრატე კონსტანტინეს-ძე ბუკია

გამოსვენება მოხდება ქ. ფოთში ა. წ. 9 სექტემბერს, დღის 4 საათზე, როზინის ქუჩა, საკუთარი სახლიდან. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	საუკეთესო სურათის **აბრეკ ზაურ-ის** ახალი ეგზემპლიარი
საზაფხულო ეთერი	ოლღა ტრეტიაკოვა და ნიროვი ორიგინალურ კომედიაში **ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი**
საზაფხულო დარბაზი	საზღვარ-გარეთის ნაწარმოებთა შორის საუკეთესო კომედია **ნეპტუნი**
საზაფხულო პალასი	მხატვრული დრამა **მორევი** რეჟ. პეტროვ-ბიტოვი
პროლეტარი ავლაბარი	პირლ უაიტი სურათში **ნიუ-იორკის საიდუმლოებანი** 1 და 2 სერია ერთად.

ანონსი: ამ დღეებში კაპიტალური რემონტის შემდეგ გაიხსნება ახალი კინო-მინიონი. 0—9

კინო-ეთერი
დღეს და ყოველდღე
ოლღა ტრეტიაკოვა და ნიროვი
ორიგინალურ კომედიაში
2
მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.
ნ. 1558

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
დღეს, 7 სექტემბერს,
სიმფონიური კონცერტი
ვალერი ბერდიაევის უკანასკნელი გასტროლთაგანი
პროგრამაში—ბეთჰოვენი, ჩაიკოვსკი და სპენდიაროვი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. უამინდობის გამო კონცერტი არ გადაიდება.
ბაღში—კინო.
შემდეგი კონცერტი 8 სექტემბერს, საბჭოთა—სავაჭრო მოსამსახ. კლუბში ნ. 1558

თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
თ. ზ. გოგია
ამით აცხადებს, რომ ის 11 სექტემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 29 პუშკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გეურქამღებრიშვილის მოძრავ ქონებას; კასურ წითელ ღვინოს 50 ვედროს და 9 ცალს, ცარიელი კასრებს თითო 60 ვედროიანს შეფასებულს 395 მანეთად, ივანე გოდერძიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. პირველი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 2 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 2331 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4070

მუშფაკის ლექტორი ამზადებს
ყველა საგნებში შრომის სკოლის ყოველ ჯგუფისთვის და აგრეთვე საზოგადო განათლებისთვის.
ტროცკის ქ. 14, მეორე სართული, ბინა 12. 4045

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე
ამით აცხადებს, რომ ის 10 სექტემბერს 1928 წ. დღის 4 საათზე სახლში № 111 ანდრეევის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ყაზახიშვილის მოძრავ ქონებას: სკამებს, მაგიდებს, სპილენძეულობას, საყინულეს და ბინის ხაზაკებს შეფასებულს 351 მ., საკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 29 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 3795 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4079

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე. (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35. 13—1.

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

თბილისის ქალაქის ტრამვაი
ამით აცხადებს, რომ 1928 წ. 8 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ტრამვაის კანტორაში (მუშტაიდის შესახვევი, № 8)
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
800 კუბ. საჟენი ქვიშის მოსაზიდად თბილისის ტრამვაის საჭიროებისათვის.
ქვიშის მოზიდვის ტეხნიკური პირობების გაგება შეიძლება ტრამვაის კანტორაში ყოველდღე—მეცადინეობის დროს.
ნ. 1556 ტრამვაი.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე
ამით აცხადებს, რომ ის 10 სექტემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 174, კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბანტაძის მოძრავ ქონებას: საწერ მაგიდას, სკამებს, ნოხს, დიდი ზომის სარკეს და სხვ. შეფასებულს 369 მანეთად, საკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 23 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 3700 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4078

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე
ამით აცხადებს, რომ ის 11 სექტემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 19 კახეთის მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ხუციშვილის სასადილო „დარიალი“-ს მოწყობილობას შეფასებულს 120 მანეთად, საკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 20 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 3250 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4077

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106
მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.
25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილ 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი —11—78. 25—1

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებაი, უძლილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დაიკარგა
ცენტ. ზღიტ. სად. მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის ბეჭედი, ჩ. გ. 4071

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 1250 გაცემული მეჯვრისხევის თემ ალმასკომიდან ვანო სანდროს-ძე თოდაძის სახელზე, ჩ. გ. 4075

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ფორმა № 4, მოცემული ქუთაისის 1-ლი რაიმილიციის მიერ აპ. ნუცუბიძის სახელზე, ჩ. გ. 4067

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი, თინა გრატიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4064

დაიკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი, გრიშა ახვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 4068

დაიკარგა: პირადი წიგნაკი № 5401, ვალოდია რაბაროვსკის სახელზე, ჩ. გ. 4072

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 039091, ჩ. გ. 4069

დაიკარგა: ს. კ. პ. (ბ) საკანდიდატო ბარათი № 1048, დავით ზაქარიას-ძე ლალიევის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1557

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი გიორგი ბოსტოღანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4074

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი და სამხედრო აღრიცხვის ბარათი ჩოხატაურის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ მოცემული იოსებ დ. მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 4073

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.